

ს | ი | ფ | ე



საპროვალოს იურიდიული ფირმების ასოციაციის
ქართული №1



A | L | F | G



ASSOCIATION OF LAW FIRMS OF GEORGIA

რედაქტორი: გვიად კორძაძე

ადმინისტრაციული რედაქტორი: თინათინ შულაროვა

ნომერზე მუშაობდნენ: თამთა სეზისკვერაძე, თამარ გურბენიძე

დიზაინი და დაკაბადონება: შპს „ბიარტი“

სტამბა: შპს „ბიარტი“



აკრძალულია ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება კომერციული მიზნით ა.ა.ი.პ. საქართველოს იურიდიული ფონდების ასოციაციის ნებართვის გარეშე.

- ◇ 3 სიფა-ს 2015 წლის ანგარიში
- 3 საგანმანათლებლო ღონისძიებები
- 6 საჯარო შეხვედრები, კონფერენციები
- 10 პრო ბონო
- 11 სტაჟირების კონცეფცია
- 12 კორპორატიული ეთიკა
- 13 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცვლილებების პროექტი
- 35 განხორციელებული პროექტები / გამოცემები
- 35 კვლევა და რეკომენდაციები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მხარეთა შეჭიბრებითობის და თანასწორობის უზრუნველყოფისთვის
- 39 სახელმძღვანელო ადვოკატებისთვის ფულის გათეთრების პრევენციული ზომების თაობაზე
- ◇ 52 სოლომონ II-ის მიერ ჯრუფის მონასტრისთვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის სიგელი
- ◇ 54 მიმდინარე პროექტები
- 54 მხარეთა თანასწორობისა და შეჭიბრებითობის მონიტორინგი სისხლის სამართლის პროცესში
- 54 იურიდიული დახმარებისა და სტრატეგიული სამართალწარმოების სერვისები ქვემო ქართლში
- ◇ 55 ნინო ბოგვარაძე - 1958 წლის ნიუ იორკის კონვენციის V(1)(ე) მუხლი: სასამართლოს დისკრეციი თუ ვალდებულება?
- ◇ 77 დავით თაბატაძე: გამოსაყენებელი სამართლის და კომპეტენტური სასამართლოს განსაზღვრა ელექტრონული ხელშეკრულებით
- ◇ 88 ბექა ინჯია - „გამყოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინის თავისებურებები არბიტრაჟში
- ◇ 100 სიფა – მრავალი ორბანიზაციის ნაწილი!
- ◇ 101 ადვოკატთა კლუბი



იურიდიული პროფესიის განვითარებისა და ადვოკატთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია თავისი წევრი ადვოკატებისათვის ყოველწლიურად მართავს სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო ღონისძიებებს. სიფა-ს წევრ ადვოკატებს შესაძლებლობა აქვთ დაესწრონ და მონაწილეობა მიიღონ ტრენინგებში, სემინარებსა თუ კონფერენციებში. სიფა ამ კუთხით აქტიურად თანამშრომლობს, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან.

საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციას 2015 წლის ოქტომბერში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ მიენიჭა ინსტიტუციური აკრედიტაცია, რაც ნიშნავს, რომ მომდევნო სამი წლის განმავლობაში სიფა-ს მიერ დაგეგმილ ღონისძიებაში სიფა-ს წევრი ადვოკატის მონაწილეობა ავტომატურად იქნება აკრედიტებული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ.

❖ წერილობითი კონკურსი სტუდენტებისთვის



2015 წლის 10 მარტს, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციასა და ქართულ-ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაციას შორის დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, სიფა-მ გამოსცხადა წერილობითი კონკურსი სტუდენტებისთვის. კონკურსი მიმდინარეობდა სამი თვის განმავლობაში. 2015 წლის 29 მაისს გამოვლინდა წერილობითი კონკურსის გამარჯვებული, ჯემალ გრძელიშვილი. გამარჯვებულმა გაიარა 3 თვიანი სტაჟირება „კორმადის საადვოკატო ბიუროში“ და გაემგზავრა ინსტიტუციური სასწავლო ვიზიტით ნორვეგიაში, სადაც მოინახულა და მიიღო ინფორმაცია სასამართლოს, ადმინისტრაციული ორგანოებისა და პროკურატორის მუშაობის შესახებ. სიფა განაგრძობს აქტიურ თანამშრომლობას ქართულ-ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაციასთან.



ღირსეულობის გადამდისუფარობის საფრთხის შემცირების აქტიურობის საკითხები

სიფა-ს ადვოკატები აქტიურად მუშაობენ გადამდისუფარობის კანონმდებლობის დახვეწაზე. ასოციაციის ფარგლებში არსებულმა გადამდისუფარობის სამართლის რეფორმის სამუშაო ჯგუფმა სათანადო შეფასება მისცა მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული ბიზნესის წარმოების სიმართლის ყოველწლიური კვლევის შედეგებს დაკავშირებულს საქართველოსთან.

ასოციაცია ხაზს უსვამს, რომ ეფექტური საქმისწარმოების სისტემის დანერგვა ხელს შეუწყობს ეკონომიკის გაჯანსაღებას, გაკოტრებული კომპანიების ბაზრიდან გასვლას და კომპანიების დიდი ნაწილის რეაბილიტაციას.

2015 წლის 17-18 აპრილს, სასტუმრო „თბილისი მარიოტში“, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამამ (CLDP) სიფა-ს ადვოკატებისთვის ჩაატარა ორდღიანი ტრენინგი გადამდისუფარობის სამართალში.

ტრენინგებს უძღვებოდნენ ამერიკელი და ევროპელი ექსპერტები. სასემინარო მუშაობისას ადვოკატები გაეცნენ გადამდისუფარობის კანონმდებლობაში არსებულ უახლეს ტენდენციებსა და განვითარებას, ყურადღება გამახვილდა რეაბილიტაციის პროცესსა და ამ პროცესში მონაწილე პირების რისკებზე, აშშ-ის და ევროპულ გადამდისუფარობის კანონმდებლობასა და მოდელურ კანონზე.

სიფა ამ საკითხზე განაგრძობს აქტიურ თანამშრომლობას საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან და USAID-ის პროექტ G4G-სთან.



ღირსეულობის ევროკავშირის კონკურენციის სამართალში

2015 წლის 5 ივნისს, სასტუმრო თბილისი მარიოტში, სიფა-ს წევრ იურიდიული კომპანიის ადვოკატებს ჩაუტარდა ტრენინგი ევროკავშირის კონკურენციის სამართალში. ტრენინგს ხელმძღვანელობდა, ცნობილი ექსპერტი,

ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორი და საერთაშორისო იურიდიულ ფორმა „კონტრასტი“-ს მმართველი პარტნიორი ფილიპ ტუიტსხაივერი. ტრენინგზე განხილული იყო საკითხები, როგორცაა ევროკავშირის და ევროკომისიის როლი და მიმართვის პროცედურა, კონკურენციის სამართლის არსი, საქმეების გამოძიების





დაწყების პროცესი, რა უფლებამოსილება გააჩნია ევროკომისიას, რას მოიცავს ვერტიკალური და ჰორიზონტალური შეთანხმებები, კარტელური შეთანხმებები, ბაზარზე დომინანტური პოზიციის კომპანიების გამოვლენის კრიტერიუმები; მტკიცების ტვირთის გადანაწილება კონკურენციის სამართლის საქმეებზე სასამართლოში და კომპანიისთვის დაკისრებული სანქციების გამოთვლის წესი ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ.

ღირეწინგბი სახელშეკრულებო და დელიქტური მოთხოვნების სისტემა საშოქალაქო კოდექსის მიხედვით

2015 წლის, 28 ივლისს, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციამ (სიფა) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრთან თანამშრომლობით და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის (GIZ) მხარდაჭერით ჩაატარა ტრენინგი თემაზე „სახელშეკრულებო და დელიქტური მოთხოვნების სისტემა საშოქალაქო კოდექსის მიხედვით“.



ტრენინგს უძღვებოდნენ გიორგი ბათლიძე, იურიდიული ფირმების ასოციაციის წევრი კომპანია BLC-ის პარტნიორი და გიორგი ვაშაკიძე, იურიდიული განათლების სპეციალისტი. ტრენინგზე განხილული იყო ისეთი საკითხები როგორცაა, მეორადი სახელშეკრულებო მოთხოვნების სისტემა საშოქალაქო სამართალში, ზიანის ანაზღაურება გულისხმირების ვალდებულების დარღვევისათვის, ვადის გადაცილებისათვის და შესრულების სანაცვლოდ. ტრენერებმა ყურადღება გაამახვილეს ხელშეკრულებიდან გასვლის, მოშლის და შეწყვეტის სამართლებრივ ინსტიტუტებს შორის განსხვავებაზე. ტრენერებმა ასევე მიმოიხილეს დელიქტური სამართლის ადგილი ვალდებულებით სამართლის სისტემაში, დელიქტური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძვლები და გენერალური დელიქტის შემადგენლობა. განხილულ იქნა აგრეთვე ევროპული დელიქტური სისტემები.

ღირეწინგბი ინტელექტუალური საკუთრების სამართალში





2015 წლის 17 სექტემბერს, ამერიკის შეერთებული შტატების კომერციული სამართლის დეპარტამენტის „კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის“ (CLDP) ფარგლებში საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის წევრი იურიდიული კომპანიების ადვოკატებისთვის ჩატარდა ტრენინგი ინტელექტუალურ საკუთრების სამართალში.

ტრენინგზე განიხილეს საავტორო უფლებების და სასაქონლო ნიშნების სამართლის აქტუალური საკითხები, მათ შორის საავტორო უფლების და სასაქონლო ნიშნების გადაფარვის შემთხვევები, ე.წ. „grey“ სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებული დავები, ზიანის გამოთვლის წესი.

ტრენინგის მონაწილეებმა გაუზიარეს ერთმანეთს გამოცდილება ამერიკული და ქართული კანონმდებლობის თაობაზე, რაც მათ სამომავლო საქმიანობის განხორციელებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში დაეხმარება.

ტრენინგი ორგანიზებული იყო საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს (TI) მიერ, ჰოლანდიის საელჩოს გრანტის ფარგლებში.

◈ შეხვედრა კონკურენციის სამართლის აქტუალურ საკითხებზე დუსელდორფის სამხარეო სასამართლოს კარტელის სენატის თავმჯდომარესთან



2015 წლის 8 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის წევრი კომპანიების ადვოკატების სამუშაო შეხვედრა, კონკურენციის სამართლის დოქტორ, პროფესორ იურგენ კიუჰნენთან. პროფესორი იურგენ კიუჰნენი წარმოადგენს დიუსელდორფის სამხარეო სასამართლოს, კარტელის სენატის თავმჯდომარე მოსამართლეს.

პროფესორ კიუჰნენმა განიხილა კონკურენციის სამართლის აქტუალური საკითხები. კერძოდ, ყურადღება გამახვილდა ისეთ თემებზე, როგორიცაა კარტელური შეთანხმებების აკრძალვა, ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები, ბაზრის



ინფორმაციის სისტემები, მოკვლევის პროცესის დაწყება და პროცესის პრინციპები. შეხვედრაზე მონაწილეებმა განიხილეს აგრეთვე საკანონმდებლო და პრაქტიკაში არსებული ხარვეზები და ისაუბრეს მათი აღმოფხვრის გზებზე.

შეხვედრა ორგანიზებული იყო გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) და საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის მიერ.

ინსტიტუციური სასამართლოს გადაწყვეტილებების მიმოხილვა

2015 წლის 1 ივნისს, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“, ევროკავშირის პროექტის, „საკონსტიტუციო სასამართლოს მხარდაჭერა საქართველოში“, მხარდაჭერით გაიმართა დისკუსია თემაზე, „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების მიმოხილვა“. შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს იურიდიული ფირმების



ასოციაციის წევრი იურიდიული კომპანიის ადვოკატები, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები ქეთი ერემამე, ლალი ფაფიაშვილი და კონსტანტინე ვარძელაშვილი, ევროკავშირის პროექტის „საკონსტიტუციო სასამართლოს მხარდაჭერა საქართველოში“ ხელმძღვანელი გიორგი ტულუში. შეხვედრაზე მოსამართლეებმა წარმოადგინეს ბოლო წლების სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საკონსტიტუციო წარდგინების ინსტიტუტსა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების საკითხებზე. დისკუსიის მონაწილეებმა აგრეთვე განიხილეს ისეთი საკითხები, როგორიცაა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უგულებელყოფა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ, საკონსტიტუციო სასამართლოს როლი კანონშემოქმედებით საქმიანობაში და ადვოკატის როლი საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ხელშეწყობაში. შეხვედრის მიმდინარეობისას ადვოკატებმა გამოხატეს მოსაზრება, რომ სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტში ადვოკატების ჩართულობა გააუმჯობესებს ადვოკატის როლს და მონაწილეობას მართლმსაჯულების პროცესში. შეხვედრის ბოლოს, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებმა გამოთქვეს სურვილი და მზადყოფნა მონაწილეობა მიიღონ სიფას მიერ ორგანიზებულ მსგავს დისკუსიებსა თუ კონფერენციებში.



ქსაქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ირიბი მტკიცებულებების თაობაზე



2015 წლის 28 ივლისს, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“, საქართველოს იურიდიული ფორმების ასოციაციამ ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მხარდაჭერით გამართა შეხვედრა თემაზე „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ირიბი მტკიცებულებების თაობაზე“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისა და პირის ბრალდებულად ცნობის შესაძლებლობას ითვალისწინებს.

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები, ქეთი ერემაძე და მაია კოპალეიშვილი, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ბარამიძე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ზაზა მეიშვილი, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმაღაძე, აგრეთვე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და საქართველოს იურიდიული ფორმების ასოციაციის წევრი ადვოკატები.



კომპანიის დირექტორების და პარტნიორების გაშვოლი პასუხისმგებლობა



2015 წლის 24 ნოემბერს, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“, გაიმართა კონფერენცია თემაზე „კომპანიის დირექტორების და პარტნიორების გაშვოლი პასუხისმგებლობა“. კონფერენციაზე მოხსენებით წარსდგნენ: ნინო ბაქაქური, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე და გიორგი ბათლიძე, ადვოკატი, „სიფა“-ს წევრი იურიდიული კომპანია „ბი-ელ-სი“-ს პარტნიორი.

კონფერენციაზე განიხილეს კომპანიის დირექტორთა პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძვლები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მათ შორის მიმოიხილეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება. სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილ იქნა, რომ გარკვეულ საგამონაკლისო შემთხვევებში დირექტორს და/ან პარტნიორს შესაძლოა დაეკისროს პასუხისმგებლობა კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებისათვის, რაც გულისხმობს, რომ სათანადო წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, კომპანიის პარტნიორი და/ან დირექტორი პერსონალურად ზდება პასუხისმგებელი კომპანიის კრედიტორების წინაშე.

ღონისძიებას ესწრებოდნენ „სიფა“-ს წევრი იურიდიული კომპანიის ადვოკატები, ასოცირებული წევრები და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები.



◇ პრო ბონო

საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია იურიდიული ფირმების, საადვოკატო ბიუროების კორპორაციული უფლებებისა და ინტერესების დაცვასთან, ადვოკატის პროფესიის განმტკიცებასთან და ადვოკატის უფლებების ხელშეწყობასთან ერთად, მიზნად ისახავს პრო ბონო კულტურის დამკვიდრებას და გაძლიერებას საქართველოში. სიფა სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, მოქმედი მემორანდუმების საფუძველზე, ბენეფიციარს სთავაზობს უფასო იურიდიულ მომსახურებას და წარმომადგენლობას უწყვეს სასამართლოში.

სიფა პრო ბონო სერვისების მიწოდების შესახებ მემორანდუმის თანახმად მეორე წელია თანამშრომლობს იურიდიული დახმარების სამსახურთან.

ასოციაცია აგრეთვე თანამშრომლობს ორგანიზაცია PILNET-თან. 2015 წლის 13-14 ნოემბერს ასოციაციის აღმსრულებელმა დირექტორმა მონაწილეობა მიიღო PILNET-ის ორგანიზებულ პრო ბონო ფორუმში, ქალაქ – რომში. ფორუმის მიზანს წარმოადგენდა პრო ბონო საქმიანობის ხელშეწყობა და განვითარება, რომელსაც ესწრებოდნენ ადვოკატები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წამყვანი იურიდიული კომპანიებიდან. სიფა ყოველწლიურად მონაწილეობს PILNET-ის მიერ ორგანიზებულ პრო ბონო ფორუმში. 2014 წლის 5-7 ნოემბერს ასოციაციის აღმსრულებელმა დირექტორმა მონაწილეობა მიიღო ქალაქ ლონდონში გამართულ ფორუმში. PILNET- თან თანამშრომლობით, იგეგმება პრო ბონო ქსელის ჩამოყალიბება, რომლის ჩამოყალიბებას და შექმნას PILNET-ის კიდეც ერთი პარტნიორი ორგანიზაცია კონსტიტუციის 42-ე მუხლი შეუწყობს ხელს. კერძოდ, ქსელი გააერთიანებს საქართველოში არსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს იურიდიული დახმარების სამსახურს, ადვოკატთა ასოციაციას და იურიდიულ კომპანიებს. ქსელის მიზანი იქნება ერთმანეთთან დააკავშიროს არასამთავრობო ორგანიზაციები, იურიდიული კომპანიები და მოქალაქეები, უფასო იურიდიული მომსახურების გაწევის მიზნით, განისაზღვროს სფეროები, რომელი ორგანიზაცია რა ნაწილში გაუწევს მოქალაქეებს სრულ უფასო მომსახურებას და სასამართლოში წარმომადგენლობას.

სიფა აქტიურად თანამშრომლობს საქართველოში პრო ბონო კულტურის ჩამოყალიბების მსურველ სხვა ორგანიზაციებთან. 2015 წლის 15 ოქტომბერს, იურიდიული ფირმების ასოციაცია საქართველოს „პრო ბონო ქსელის“ დამფუძნებელი წევრი გახდა. საქართველოს „პრო ბონო ქსელი“ წარმოადგენს საქართველოში მოქმედი ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიების არაფორმალურ გაერთიანებას, რომელთაც სურთ საკუთარი ექსპერტიზისა და პროფესიული რესურსების ჩართვა საზოგადოებრივი მიზნების განხორციელებაში. „პრო ბონო ქსელის“ საქმიანობის საექსპერტო და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას ახორციელებს „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“(CSRDG).



სტაჟირების წესები

საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციამ შეიმუშავა ადვოკატის სტაჟირების გავლის წესები.

სტაჟირების დღეს მოქმედი მოდელი ვერ პასუხობს კანონით დადგენილ მოთხოვნებს სტაჟირების გავლის მსურველთათვის. „ადვოკატთა შესახებ“ კანონით დადგენილია მხოლოდ სტაჟირების გავლის სავალდებულობა, თუმცა არც აღნიშნული კანონი და არც სხვა კანონები თუ კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტები არ ითვალისწინებენ სტაჟირების გავლის კონკრეტულ წესს და პროცედურებს, საკანონმდებლო ხარვეზის არსებობა კი რეალურ დაბრკოლებას ქმნის პროფესიაში შესვლის მსურველთათვის.

სიფა-ს სტაჟირების გავლის კონცეფციისა და სტაჟირების გავლის წესების თანახმად დგინდება მინიმალური ზღვარი სტაჟირების გავლის მსურველთათვის. პირი, რომელსაც სურს გაიაროს სტაჟირება საადვოკატო ბიუროში/ ადვოკატთან, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ორ პირობას: ფლობდეს იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრის დიპლომს და ჩაბარებული ჰქონდეს ადვოკატთა (პროკურატურის მუშაკთა, მოსამართლეთა) საკვალიფიკაციო გამოცდები. სტაჟირების დასაწყებად აუცილებელია გასაუბრების ეტაპის გავლა. იურიდიულ კომპანიას/ადვოკატს შეუძლია დაადგინოს დამატებითი მოთხოვნები ან/და წესები სტაჟირების გავლის მსურველთათვის. სტაჟირების პროგრამა შედგება სპეციალიზაციის მიხედვით და მოიცავს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებზე ორიენტირებულ სასწავლო კურსს, რომელიც შედგება თეორიული სწავლებისგან და პრაქტიკული კურსისგან. თეორიული სწავლების კურსი მოიცავს შემდეგ საგნებს: პროფესიული ეთიკა, სამართლებრივი მართლწერა, სასამართლო უნარ-ჩვევები. პროგრამის თანახმად, სიფა ქმნის სტაჟირების გავლის კომისიას, რომელიც იქნება პასუხისმგებელი ორგანო სტაჟირის პროცესის ზედამხედველობის და სტაჟირების პროგრამის განსაზღვრა-დამტკიცების კუთხით. იურიდიულ კომპანიაში სტაჟირების პრაქტიკული ნაწილის გავლისას სტაჟირის საქმიანობას და დადგენილი სტაჟირების პროგრამის შესრულების მონიტორინგს ზედამხედველი პირი ან/და ადვოკატი უზრუნველყოფს.

მიმდინარე წელს სიფა იწყებს სტაჟირების წესების ამოქმედებას წევრი იურიდიული კომპანიების/საადვოკატო ბიუროების ბაზაზე.

ასოციაცია გეგმავს მოამზადოს საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი სიფა-ს მიერ შემუშავებული სტაჟირების პროგრამის მიხედვით, რომელიც ხელს შეუწყობს სტაჟირების სისტემის განვითარებას და სამართლებრივი ბაზის სრულყოფას, სტაჟირების ფარგლებში პრაქტიკული უნარ-ჩვევების პროგრამის შემუშავებას და დანერგვას იურიდიულ კომპანიებში.



კორპორატიული ეთიკა

კორპორატიული ეთიკის სტანდარტების დანერგვა საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. სამუშაო ჯგუფი გეგმავს შეიმუშაოს კორპორატიული ეთიკის დოკუმენტი, რომელიც მისაღები იქნება სიფა-ს წევრი იურიდიული კომპანიებისთვის. დოკუმენტი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ▶ ურთიერთობა დაქვემდებარებულ ადვოკატთან, პარალელთან, და პარტნიორებთან ;
- ▶ გამონაკლისი ინტერესთა კონფლიქტიდან;
- ▶ ორგანიზაცია, როგორც კლიენტი;
- ▶ კლიენტი, რომელიც შეზღუდულქმედუნარიანი პირია;
- ▶ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ეფექტური მექანიზმები;

სამუშაო ჯგუფი მუშაობს აგრეთვე მოდელური წესების (Guidelines) შემუშავებაზე ისეთ თემებზე, როგორიცაა:

- ▶ ინტერესთა კონფლიქტის შემოწმების წესები;
- ▶ ადვოკატის მიერ კლიენტის ანგარიშების გახსნის წესები;
- ▶ როდის გვიცავს კონფიდენციალობა ფულის გათეთრების საფრთხის ნაწილში, ანუ როდის უნდა გავცეთ/არ გავცეთ ინოფრმაცია ისე, რომ არც კანონი დავარღვიოთ და არც კონფიდენციალობის წესები.

Guideline-ების მიღება და დანერგვა ნებაყოფლობითია სიფას წევრი იურიდიული კომპანიებისთვის.



საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცვლილებები

საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციამ აქტიური მუშაობა გასწია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცვლილებების შემუშავების მიზნით. სიფა-ს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მომზადდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცვლილებათა პროექტი, რომელიც განსახილველად გადაეცა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კერძო სამართლის რეფორმის განმახორციელებელ საბჭოს.

პროექტის შემუშავება დაიწყო 2014 წლის 1 ოქტომბერს. მის შექმნაში ქართველი ადვოკატების გარდა მონაწილეობა მიიღო ვოშბორნის უნივერსიტეტის პროფესორმა სამოქალაქო საპროცესო სამართლის მიმართულებით, ბატონმა რორი ბაჰადურმა. გაიმართა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა პროექტის განსახილველად ქართველ მოსამართლეებთან 2015 წლის 1 მარტს და ადვოკატთა ასოციაციის წევრ ადვოკატებთან 2015 წლის 7 აპრილს, სამუშაო შეხვედრების შედეგად მიღებული მთელი რიგი კომენტარები და რეკომენდაციები გაზიარებულია საბოლოო პროექტში. სამოქალაქო საპროცესო ცვლილებების ჯგუფის ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფდა აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) „მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის და სამართლებრივი გაძლიერების პროგრამა“ (JILEP).

2016 წლის 22 იანვარს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კერძო სამართლის რეფორმის განმახორციელებელი საკონსულტაციო საბჭოს ფარგლებში, იუსტიციის სახლში გაიმართა სიფა-ს მიერ მომზადებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცვლილებების პროექტის განხილვა.

განხილვას ესწრებოდნენ იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის, მოსამართლეების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცვლილებათა პროექტი ეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები, დაუსწრებელი გადაწყვეტილება, წარმომადგენლობა და ადვოკატის ხარჯები, მოწმის დაკითხვის წესი, ექსპერტიზა, მოსამზადებელ სხდომაზე საქმის დასრულება, მედიაცია და არბიტრაჟი. ცვლილებების მთავარი მიზანია სამოქალაქო პროცესში მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის განმტკიცება და მართლმსაჯულების პროცესის ეფექტურობის და ეკონომიურობის ხელშეწყობა.

საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია მზადაა ითანამშრომლოს ყველა დაინტერესებულ მხარესთან შენიშვნების მიღების კუთხით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცვლილებებს მხარს უჭერს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის მიერ განხორციელებული პროექტი „საქართველოში კანონის უზენაესობის მხარდაჭერა“ (EWMI – PROLoG).



❖ შემოთავაზებული სვლილებების დასაბუთება

სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების უზრუნველყოფის და შეჯიბრობითობის პრინციპის განმტკიცების მიზნით აუცილებელია, რომ საქმის მომზადება, მტკიცებულებების წარდგენა, მოწმეთა დაკითხვა, ექსპერტების მოსაზრებების წარმოდგენა დასრულდეს საქმის მომზადების ეტაპზე. ამგვარად, სასამართლოს ექნება საშუალება გარემოებების დადგენა დაასრულოს საქმის მოსამზადებელ ეტაპზე, მთავარ სხდომაზე კი სამართლებრივი შეფასება მისცეს ფაქტობრივ გარემოებებს წარმოდგენილი მტკიცებულებების და მხარეთა შეჯიბრების საფუძველზე. აღნიშნულის მისაღწევად აუცილებელია:

პროცესის მონაწილე მხარეებს შეეზღუდოთ უფლება საქმის ნებისმიერ ეტაპზე წარადგინონ დამატებითი მტკიცებულებები, ვინაიდან აღნიშნული აფერხებს სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესს და მეორე მხარეს არ აძლევს საშუალებას მთავარი სხდომის დაწყებამდე, წინასწარ დაგეგმოს მისი სტრატეგია, ტაქტიკა, მოამზადოს მტკიცებულებები. აუცილებელია, რომ მოსამზადებელი პროცესის დასრულებამდე მხარისთვის ცნობილი იყოს, თუ რა გარემოებებზე ამყარებს მოსარჩელე სარჩელს, ხოლო მოპასუხე შესაგებელს. მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს ინიციატივით ექსპერტიზის დანიშვნა შესაძლებელი იყოს მხოლოდ მოსამზადებელ ეტაპზე, რათა გამოირიცხოს მთავარ სხდომაზე ახალი მტკიცებულების წარმოდგენის რისკი (იხ. სსსკ-ის მე-4, 103-ე, 219-ე, 162-ე, 163-ე, 168-ე და 173-ე მუხლების შემოთავაზებული რედაქცია).

შეიცვალოს მოწმის დაკითხვის არსებული წესი და პროცესში შესაძლებელი გახდეს მოწმის წერილობითი ჩვენების წარდგენა.

140-ე, 141-ე, 148-ე და 149-ე მუხლების შემოთავაზებული რედაქციის თანახმად, მხარეები მოსამზადებელ ეტაპზე სასამართლოს წარუდგენენ მოწმის წერილობით ჩვენებას. მეორე მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს მეორე მხარის მოწმის დაკითხვა საქმის მოსამზადებელ ეტაპზე. იმ შემთხვევაში, თუკი მოწმის ზეპირი ჩვენება ეწინააღმდეგება მის წერილობით ჩვენებას, უპირატესობა ენიჭება ზეპირ ჩვენებას, ხოლო ზეპირ სხდომაზე მოწმის გამოუცხადებლობის შემთხვევაში მისი წერილობითი ჩვენება კარგავს მტკიცებულების ძალას. შეჯიბრობითობის პრინციპის გათვალისწინებით, მოწმე პასუხობს მხოლოდ სასამართლოს და მხარის შეკითხვებს და არ აქვს უფლება თავისუფალი თხრობით ისაუბროს საქმის გარემოებების შესახებ.

მხარეთა წარმომადგენლების მიერ ახსნა-განმარტების მიცემას ჩაენაცვლოს შესავალი სიტყვა. არსებულ საპროცესო კოდექსში დამკვიდრებულ პრაქტიკით ახსნა-განმარტების ეტაპზე შესაბამის განმარტებას მხარეების გარდა იძლევიან მათი წარმომადგენლები. აღნიშნული წესი არასწორია, ვინაიდან ახსნა-განმარტება სსსკ-ის 103-ე მუხლის თანახმად წარმოადგენს მტკიცებულებას. შემოთავაზებული რედაქციით, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოებისას ახსნა-განმარტების ეტაპს ჩაენაცვლება მხარეთა და მათი წარმომადგენლების შესავალი



სიტყვა, სადაც წარმომადგენლები მოახსენებენ სასამართლოს საქმის გარემოებებს და ფაქტებს. მხარეთა ახსნა-განმარტება სასამართლოს წარედგინება წერილობითი სახით საქმის მომზადების ეტაპზე, ხოლო მტკიცებულებების გამოკვლევის ეტაპზე ხდება მათი ზეპირად წარმოდგენა. საკითხის შემოთავაზებული ფორმით გადაწყვეტა მნიშვნელოვანია სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას დროის ეკონომიის თვალსაზრისით და უზრუნველყოფს ეფექტური და სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას (იხ. სსკ-ის 102-ე, 127-ე, 128-ე, 130-ე, 217-ე, 220-ე, 221-ე, 222-ე და 225-ე მუხლების შემოთავაზებული რედაქცია).

ცვლილებები შევიდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიებების მარეგულირებელ ნორმებში. დღესდღეობით, უზრუნველყოფის ღონისძიებები, ხშირ შემთხვევაში, გამოიყენება შანტაჟის მექანიზმად მხარეების მიერ. რიგ შემთხვევებში უზრუნველყოფის გამოყენება სარჩელის აღძვრამდე ხდება ისე, რომ მოსამართლე არ ამოწმებს, სარჩელის წარმოსადგენად განმცხადებელს გააჩნია თუ არა რაიმე საფუძველი. რასაც შედეგად მოყვება მოპასუხის ქონებრივი უფლებების რამდენიმე თვით შეზღუდვა. განსაკუთრებით სენსიტიურია მოცემული თემა უზრუნველყოფის ისეთი ზომების გამოყენების შემთხვევაში, რომელსაც შედეგად საწარმოს საქმიანობის შეფერხება, ხშირად კი პარალიზება მოყვება. იმისათვის, რომ ზედმეტად არ შეიზღუდოს მოპასუხეთა ქონებრივი უფლებები და კანონიერი ინტერესები, თუმცა ამავე დროს, უზრუნველყოფილი იყოს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებადობა, აუცილებლად ჩავთვალოთ ამერიკული მოდელის ინტეგრირება. აღნიშნული მოდელი მიმართულია საბაზრო ეკონომიკის შეუფერხებლად მუშაობის პირობებში მხარეთა კანონიერი ინტერესების სრული დაცვისკენ. ჩვენ მიერ შემოთავაზებულია ორი სახის უზრუნველყოფის ზომა, ერთი - **დროებითი შეზღუდვის ბრძანება** და მეორე - **სარჩელის უზრუნველყოფის განჩინება**. ერთ შემთხვევაში, თუ განცხადება დროებით უზრუნველყოფაზე საკმარისად დასაბუთებულია (კრიტერიუმი დღევანდელი კანონმდებლობის იდენტურია), მეორე მხარის მონაწილეობის გარეშე ხდება ამ ღონისძიების გამოყენება. მეორე შემთხვევაში, ღონისძიების გამოყენებამდე აუცილებელია მეორე მხარის ინფორმირება და, ხშირ შემთხვევაში, ზეპირი მოსმენის ჩატარება მხარეთა არგუმენტების მოსასმენად. ორივე შემთხვევაში, საქმის მასალებს ემატება უზრუნველყოფის ზომაზე მსჯელობისას გამოყენებული მასალები და განიხილება სხვა ფაქტობრივ გარემოებებთან ერთად.

გარდა ამისა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის დღეს მოქმედი რედაქციით სარჩელის უზრუნველყოფის (დროებითი) ღონისძიება მიმართულია მხოლოდ სარჩელის, უფრო ზუსტად გადაწყვეტილების აღსრულებადობის უზრუნველყოფისკენ. დროებითი ღონისძიების ამგვარი ვიწრო გამოყენება შეუძლებელს ხდის გადაუდებელი ღონისძიების სახით იმგვარი ღონისძიების გამოყენებას, რომელიც დაიცავს მოსარჩელეს საქმის განხილვის პერიოდში წარმოშობილი ზიანისგან, ან/და ისეთი შემთხვევისაგან, როდესაც სარჩელის დაკმაყოფილების მიუხედავად, უფლების განხორციელება შეუძლებელი ხდება. შემოთავაზებული ცვლილებებით შესაძლებელია ისეთი ღონისძიების გამოყენება,



რომელიც უშუალოდ უკავშირდება დავის საგანს და/ან ემსახურება მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის შემცირების მიზანს.

ცვლილებებით გათვალისწინებულ ნოვაციას წარმოადგენს ისიც, რომ სარჩელის უზრუნველყოფის განჩინების გამოტანისას სასამართლო ასევე ითვალისწინებს მოპასუხისთვის მისაყენებელ ზიანს და აუცილებელ შემთხვევაში დაადგენს შებრუნების უზრუნველყოფის სახეს და ოდენობას (იხ. სსსკ-ის 191-ე, 192-ე, 197-ე, და 1971-ე მუხლების შემოთავაზებული რედაქცია).

ცვლილებების თანახმად დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გამოტანილ იქნას მხოლოდ მხარის მიერ შესაგებლის საპატიო მიზეზის გარეშე წარუდგენლობისას. დღევანდელი სახით დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი მოქმედებს ისე, რომ უმეტესწილად ჭიანჭურდება საქმის განხილვა და მხარის გამოუცხადებლობის მიზეზით გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება ხშირად უქმდება. ამასთან, სსსკ-ის 229-ე მუხლით გათვალისწინებული სანქცია ზედმეტად მკაცრია ისეთი პროცედურული ხასიათის დარღვევისთვის, როგორიცაა სასამართლო სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობა. ამიტომ, მიზანშეწონილია, დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოტანილ იქნას მხოლოდ შესაგებლის საპატიო მიზეზის გარეშე წარმოდგენლობისას, ხოლო მხარის პროცესზე გამოუცხადებლობის შედეგად გამოტანილ იქნას არა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, არამედ გადაწყვეტილება მხარის დაუსწრებლად. დაუშვებელია აგრეთვე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს. (იხ. სსსკ-ის 201-ე, 212-ე, 229-ე, 2321-ე, 233-ე, 236-ე, 238-ე, 240-ე, 241-ე და 387-ე მუხლების შემოთავაზებული რედაქცია).

სწრაფი, ეკონომიური და ეფექტური პროცესის უზრუნველყოფის მიზნით სსსკ-ს დამატოს დაჩქარებული გადაწყვეტილების ინსტიტუტი, XXVI¹ თავის სახით. დაჩქარებული გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნის უფლება აქვს მხარეს, ასევე სასამართლოს თავისი ინიციატივითაც. დაჩქარებული გადაწყვეტილება გამოდის იმ შემთხვევაში, როდესაც მოსამზადებელი სხდომის დასრულებისას ერთი მხარის მიერ წარმოდგენილია მტკიცებულებები, ხოლო მეორე მხარეს არ წარმოდგენია მტკიცებულებები და არც მტკიცებულებითი ხასიათის შუამდგომლობები თავისი პოზიციის დასასაბუთებლად.

ცვლილებები შევიდეს პირველი ინსტანციის სასამართლოში ადვოკატის წარმომადგენლობასთან დაკავშირებულ სსსკ-ის ნორმებში. ცვლილებათა პროექტის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ ადვოკატებს. ქმედუნარიანი პირი წარმომადგენელი შეიძლება იყოს მხოლოდ საკუთარი თავის დაცვისას და მხოლოდ მაგისტრატი მოსამართლის დაქვემდებარებულ საქმეებზე. ადვოკატის ხარჯები ანაზღაურდება მხარისა და ადვოკატს შორის დადებული ხელშეკრულების წარდგენის საფუძველზე, ხოლო ადვოკატის წარმომადგენლობის დადასტურება შესაძლებელია მხარის მიერ სასამართლო სხდომაზე სხდომის ოქმში შეტანის გზით. (იხ. სსსკ-ის 471-ე, 94-ე და 96-ე მუხლების შემოთავაზებული რედაქცია)



შემცირდეს კერძო საჩივრის და გადაწყვეტილების განმარტებისთვის დადგენილი ვადები, ხოლო გადაწყვეტილების განმარტებასთან ერთად შესაძლებელი გახდეს განჩინების განმარტებაც. გადაწყვეტილების განმარტებისთვის და კერძო საჩივრის განხილვისთვის სსსკ-ის 262-ე და 419-ე მუხლების მოქმედი რედაქციით დადგენილი ვადა არ შეესაბამება სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების პრინციპს და იწვევს სასამართლო რესურსების არასასურველ ხარჯვას. პრაქტიკაში პრობლემას იწვევს აგრეთვე განჩინების განმარტების არარსებობა. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით ვლინდება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების აღსრულებისას. კერძოდ: სარჩელის უზრუნველყოფის განჩინების შესახებ მოპასუხისათვის ცნობილი ხდება მხოლოდ მისი აღსრულების შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ აღსრულება მოხდა არასწორად, განჩინებაში მითითებული დათქმის ბუნდოვანების გამო, მისი განმარტება შეუძლებელია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლში მოცემული დასაშვებობის პირობების გამო. ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ვერ ხდება განჩინების განმარტება, მხარე იძულებულია დაშვებული უზუსტობის გამოსასწორებლად გაასაჩივროს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად გრძელდება მინიმუმ სამი თვე (პირველ ინსტანციაში განხილვის ვადა 20 დღე, აპელაციაში 2 თვე). მიზანშეწონილია, კერძო საჩივრის განხილვის ვადად დაწესდეს 15 დღე, ნაცვლად 2 თვისა. გადაწყვეტილების განმარტების ვადა შემცირდეს 1 თვემდე და დაწესდეს განჩინების განმარტების შესაძლებლობა განცხადების შეტანიდან 5 დღის განმავლობაში. (იხ. სსსკ-ის 262-ე და 419-ე მუხლების შემოთავაზებული რედაქცია).

გაიზარდოს საქმის წარმოების განახლებისთვის სსსკ-ის 426-ე მუხლით დადგენილი ერთ თვიანი ვადა, საერთო ხანდაზმულობის ვადა კი გაუქმდეს შემდეგი მიზეზების გამო: საქმის წარმოების განახლებისთვის დადგენილი 1 თვიანი ვადის ათვლა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლების არსებობა. აღნიშნული ვადა, უმეტეს შემთხვევაში, არასაკმარისია, რადგან შესაძლოა მხარისათვის ცნობილი გახდეს აღნიშნული გარემოებების არსებობა, მაგრამ ვერ ახდენდეს მისი უფლების რეალიზაციას იმ მიზეზის გამო, რომ ვერ აანალიზებს აღნიშნული გარემოების შინაარსს, საერთოდ არ იცნობს ამ უფლებას, ვერ აანალიზებს აღნიშნული გარემოება არის თუ არა საქმის განახლების საფუძველი. ჩამოთვლილი და სხვა ობიექტური მიზეზების გამო უმეტეს წილად ხდება 1 თვიანი ხანდაზმულობის ვადის გაშვება. ამიტომ, მიზანშეწონილია აღნიშნული 1 თვე გაიზარდოს 6 თვემდე, ხოლო გადაწყვეტილების ბათილობისა და საქმის წარმოების განახლებისთვის განცხადების შეტანის საერთო ხანდაზმულობის ვადა საერთოდ გაუქმდეს, ვინაიდან სამოქალაქო სტაბილურობისათვის ხანდაზმულობის ვადის არსებობა გამართლებულია მხოლოდ უფლების სავარაუდო დარღვევის შესახებ საფუძვლის შეტყობის შემთხვევებზე (რომელიც გათვალისწინებულია სსსკ-ის 426-ე მუხლის პირველი ნაწილით), ხოლო ზოგადი ვადის არსებობა, მითუმეტეს 5 წლიანი პერიოდი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ ნაწილს. აღნიშნული ვადის არსებობა უსაფუძვლოდ ზღუდავს მხარის კონსტიტუციურ



უფლებას მიმართოს სასამართლოს მისი უფლების დასაცავად.

საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლომ გამოიტანოს დასაბუთებული განჩინება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ავალდებულებს სასამართლოს საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას, რაც წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებულ სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის თაობაზე უნდა მოიცავდეს იმის დასაბუთებას, თუ რატომ იქნა უარყოფილი მხარის მოსაზრებები საკასაციო საჩივრის დასაშვებობის თაობაზე და რატომ ეთქვა მას უარი სასამართლოში საქმის მეორედ გადასინჯვაზე. მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის არგუმენტები და დასაბუთება წარმოდგენილი ჰქონდეს თავად საკასაციო საჩივრის შემომტან პირს, რაც მას დღეს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით არ მოეთხოვება. (იხ. სსსკ-ის 391-ე, 396-ე და 401-ე მუხლების შემოთავაზებული რედაქცია).

მორიგების შესახებ სასამართლოს შეთავაზება განხორციელდეს მოსამზადებელ ეტაპზე. (იხ. 205-ე, 217-ე და 218-ე მუხლების შემოთავაზებული რედაქცია) .

გარკვეული ცვლილებების შეტანა საჭირო მედიაციასა და არბიტრაჟთან დაკავშირებული რეგულაციებში. მიზანშეწონილია მედიატორი იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი. მედიაციას დაქვემდებარებული დავების კატეგორიას დაემატოს შრომითი-სამართლებრივი დავები, მედიაციის ორი შეხვედრის სავალდებულობა გაუქმდეს, ხოლო მედიაციის დავის ვადის გაგრძელება შესაძლებელი უნდა იყოს მხარეთა შეთანხმებით .

(იხ. სსსკ-ის 1871-ე, 1873-ე, 1875-ე, 1876-ე, 53-ე, 1877-ე, 1879-ე, 279-ე, 280-ე და 281-ე მუხლების შემოთავაზებული რედაქცია).

ასევე, მიზანშეწონილია სსსკ-ის 356¹³-ე, 356¹⁴-ე, 356²⁰-ე, 356²¹-ე, 356²²-ე და 356²⁴-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემოთავაზებული ცვლილებების მიხედვით.

◈ შემოთავაზებული ცვლილებები

მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქმის გარემოებათა გასარკვევად სასამართლოს, საქმის მოსამზადებელი ეტაპის დასრულებამდე, შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს ამ კოდექსში გათვალისწინებულ ღონისძიებებს. სასამართლოს მიერ აღნიშნული უფლება, უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ მხარეებს თანაბრად მიეცეთ შესაძლებლობა წარადგინონ მტკიცებულებები და არგუმენტაცია თავიანთი მოთხოვნის დასაბუთებლად.“



კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 47^ა მუხლი:

„47^ა ადვოკატის ხარჯები

ადვოკატის ხარჯები ანაზღაურდება მხარესა და ადვოკატს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. სასამართლოს შეუძლია დასაბუთებულად, თავისი ინიციატივით ან მეორე მხარის მოსაზრების გათვალისწინებით, შეამციროს არაგონივრულად მაღალი ადვოკატის ხარჯები.“

53-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. ამ მუხლით დადგენილი ხარჯების განაწილების წესი არ მოქმედებს ამ კოდექსის 1876-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში.“

83-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 83. მხარეთა საპროცესო უფლებები

მხარეები სარგებლობენ თანაბარი საპროცესო უფლებებით. მათ უფლება აქვთ, გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღონ ასლები, განაცხადონ აცილებანი, წარადგინონ მტკიცებულებანი, მათ შორის, ექსპერტის (საექსპერტო დაწესებულების) დასკვნები, სპეციალისტის ცნობები, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვან მხარეებს, მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, სასამართლოს წინაშე განაცხადონ შუამდგომლობები, მისცენ სასამართლოს წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინონ იმავე ტიპის საქმეზე სხვა სასამართლოს გადაწყვეტილებანი, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, გაასაჩივრონ სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები, წარადგინონ მორიგების აქტი საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე და ისარგებლონ ამ კოდექსით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებებით.“

94-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 94. პირები, რომლებიც შეიძლება იყვნენ წარმომადგენლებად სასამართლოში

“1. სასამართლოში მხარეების წარმომადგენლებად შეიძლება იყვნენ:

- ა) ადვოკატები;
- ბ) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ორგანიზაციების ხელმძღვანელები - ამ ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმეებზე.
- გ) სხვა ქმედურიანი პირები - მხოლოდ საკუთარი თავის დაცვისას, მაგისტრატი მოსამართლის დაქვემდებარებულ საქმეებზე.”

96-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ადვოკატის უფლებამოსილება დასტურდება:

- ა) ზეპირად, უფლებამოსილების დადასტურების სასამართლო სხდომის ოქმში შეტანით, თუკი მხარე წარმოდგენილია და ესწრება პროცესს.



ბ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობით ფიზიკური პირის წარმოდგენისას და კომპანიის ბლანკზე შესრულებული რწმუნების წარმოდგენით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის ხელმოწერით იურიდიული პირის წარმოდგენისას, თუკი სასამართლოზე წარმოდგენილია მხოლოდ ადვოკატი.

გ) ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.“

102-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება მხარეთა (მესამე პირთა) წერილობითი ახსნა-განმარტებით, მოწმეთა წერილობითი და/ან ზეპირი ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით.

103-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მოსამზადებელ სტადიაზე სასამართლოს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები. სასამართლო არ არის უფლებამოსილი მიუთითოს მხარეს კონკრეტული მტკიცებულების წარმოდგენის შესახებ.“

127-ე, 128-ე და 130 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 127. მხარეთა ახსნა-განმარტების მიღება

თუ სარჩელს (შესაგებელს, მესამე პირის პოზიციას) ხელს აწერს მხარე (მესამე პირი) სარჩელში (შესაგებელში, მესამე პირის პოზიციაში) მითითებული გარემოებები ჩათვლება მხარის (მესამე პირის) ახსნა-განმარტებად. თუ სარჩელს (შესაგებელს, მესამე პირის პოზიციას) ხელს აწერს მხარის (მესამე პირის) წარმომადგენელი, სარჩელს (შესაგებელს, მესამე პირის პოზიციას) შესაძლებელია თან ერთვოდეს მხარის (მესამე პირის) წერილობითი ახსნა-განმარტება.

მუხლის 128. მოსამართლეთა შეკითხვები

მოსამართლეს, მხარეთა დაკითხვის დროს, შეუძლია მხარის მიერ მიცემულ წერილობით ახსნა-განმარტებასთან დაკავშირებით მისცეს დამაზუსტებელი შეკითხვები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა სრულად და ზუსტად განსაზღვრას.“

მუხლი 130. ახსნა-განმარტების მიღება ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში

ერთი მხარის მიერ ახსნა-განმარტების წარმოდგენლობა ვერ დააბრკოლებს მეორე მხარის მიერ ახსნა-განმარტების მიღების შესაძლებლობას.“



140-ე მუხლის მე-3, მე-5, მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მხარე უფლებამოსილია საქმის მოსამზადებელ ეტაპზე წარადგინოს მოწმის წერილობითი ჩვენება. მხარე ან მხარის წარმომადგენელი ვალდებულია განუმარტოს მოწმეს მისი ვალდებულება ილაპარაკოს მხოლოდ სიმართლე და ფიცის ქვეშ მისცეს ჩვენება, რაც დაფიქსირებული უნდა იყოს წერილობით წარმოდგენილ ჩვენებაში, ასევე მიუთითოს მისი სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი.

5. მხარის მიერ წარმოდგენილი მოწმის წერილობით ჩვენებასთან დაკავშირებით, მეორე მხარეს აქვს უფლება მოითხოვოს აღნიშნული მოწმის სასამართლოში დაკითხვა. თუ მეორე მხარე აყენებს შუამდგომლობას მოწმის დაკითხვაზე, მოწმის დაკითხვა უნდა მოხდეს მოსამზადებელ ეტაპზე. თუ მხარე არ აყენებს ასეთ შუამდგომლობას საქმის მომზადების ეტაპზე, იგი კარგავს უფლებას დაკითხოს მოწმედ პირი, ვისი წერილობითი ჩვენებაც წარმოდგენილია საქმეში.

6. თუ მეორე მხარე აყენებს შუამდგომლობას მოწმის დაკითხვის თაობაზე, მოწმე იკითხება როგორც საქმეზე შემხებლობასთან, ასევე საქმის თაობაზე მისთვის ცნობილი გარემოებების თაობაზე. მეორე მხარეს და ასევე მოწმის წარმომდგენ მხარეს აქვს უფლება დაუსვას კითხვები მოწმეებს.

7. თუ გამოძახებული მოწმე არ გამოცხადდა სასამართლო პროცესზე, მოწმის წერილობით მიცემული ჩვენება კარგავს მტკიცებულების ძალას.

8. თუ სასამართლო პროცესზე მოწმის მიერ მიცემული ჩვენება ეწინააღმდეგება მის წერილობით ჩვენებას, უპირატესობა ენიჭება სასამართლო სხდომაზე მიცემულ ჩვენებას.

9. მოწმე შესაძლებელია დაიკითხოს მთავარ სხდომაზე, თუ გამოვლინდა ისეთი გარემოება, რომელიც არ იყო ცნობილი საქმის მოსამზადებელ ეტაპზე.”

141-ე მუხლს დავმატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) მოწმედ არ შეიძლება დაიკითხოს პირი, რომელიც ესწრებოდა იმავე საქმის განხილვას სასამართლოში, გარდა მხარისა და მესამე პირის.“

148-ე მუხლის მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მოწმის დაკითხვა იწყება მისი პიროვნების გარკვევით (სახელი, გვარი, საცხოვრებელი და საქმიანობის ადგილი და ა. შ.).

4. პირველად შეკითხვას აძლევს მხარე, რომლის ინიციატივითაც დაიბარეს მოწმე ან მხარის წარმომადგენელი, შემდეგ – მოწინააღმდეგე მხარე ან მისი წარმომადგენელი.

5. მხარეთა შეკითხვების დასრულების შემდეგ მოსამართლეს შეუძლია დამაზუსტებელი შეკითხვები დაუსვას მოწმეს მის მიერ ჩვენებაში აღწერილ



გარემოებებთან დაკავშირებით.

148-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს მე-3 პუნქტი

148-ე მუხლის დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 და მე-8 პუნქტები:

„7. ერთსა და იმავე საქმესთან დაკავშირებით დაბარებული მოწმეების დაკითხვა ხდება ერთსა და იმავე დღეს ან ისეთ ვითარებაში, როდესაც უზრუნველყოფილია მოწმის იზოლირება მხარეებისა და სხვა მოწმეებისგან.“

8. იმ შემთხვევაში, თუ შეკითხვა მიმანიშნებელია, უადგილო ან/და არ ემსახურება საქმის გამოკვლევას, სასამართლოს შეუძლია მხარის პროტესტის საფუძველზე მოხსნას ასეთი შეკითხვა.“

149-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 149. მოწმის განმეორებით დაკითხვა:

სასამართლოს შეუძლია დააკმაყოფილოს მხარის დასაბუთებული შუადგომლობა მოწმის მეორედ დაკითხვის თაობაზე, თუ გამოვლინდა, რომ მოწმის მიერ მიცემულ ჩვენებაში გარკვეული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.“

158-ე მუხლიდან ამოღებული იქნეს მესამე პუნქტი.

162-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 162. ექსპერტიზის დანიშვნა

1. თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, მომზადების ეტაპზე, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის და მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს მოტივირებული განჩინება.“

162-ე მუხლის დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი:

„2¹ ექსპერტი შეიძლება დაიკითხოს მის მიერ გაცემულ დასკვნასთან დაკავშირებით, მხარის შუადგომლობის საფუძველზე 140-ე მუხლით გათვალისწინებული მოწმის დაკითხვის წესების მიხედვით.“

163-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელშიც უნდა აღინიშნოს, თუ რა საკითხებზეა საჭირო ექსპერტიზის დასკვნა, თუ რა სპეციალური ცოდნა არის საჭირო საკითხის განმარტებისთვის, ვინ დაინიშნა ექსპერტად და რა მასალები წარედგინა ექსპერტს გამოსაკვლევად. აუცილებლობის შემთხვევაში ექსპერტიზის ჩასატარებლად სასამართლო ნიშნავს რამდენიმე ექსპერტს.“



168-ე მუხლიდან ამოღებულ იქნას მე-4 პუნქტი, ხოლო მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ექსპერტისათან დაკავშირებული გარემოებების გამოსარკვევად ექსპერტს, საქმის მოსამზადებელ ეტაპზე, უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, სასამართლოს მეშვეობით დაუსვას მხარეებსა და მოწმეებს შეკითხვები, მიიღოს მონაწილეობა მტკიცებულებათა დათვალიერებასა და შემოწმებაში, აგრეთვე განსაზღვროს დამატებითი მასალები, რომლის გარეშეც შეუძლებელია ექსპერტიზის ჩატარება.“

173-ე მუხლის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

„მუხლი 173. დამატებითი და განმეორებითი ექსპერტიზა

1. თუ ექსპერტის დასკვნა არ არის სრული ან გაურკვეველია, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით, მოსამზადებელ ეტაპზე, დანიშნოს დამატებითი ექსპერტიზა, თუ არსებობს ამ კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პირობები.

2. თუ სასამართლო არ ეთანხმება ექსპერტის დასკვნას დაუსაბუთებლობის მოტივით, აგრეთვე თუ რამდენიმე ექსპერტის დასკვნა ეწინააღმდეგება ერთმანეთს, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით, მოსამზადებელ ეტაპზე, დანიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა და მისი ჩატარება დაავალოს სხვა ექსპერტს ან ექსპერტებს, თუ არსებობს ამ კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობები.“

187¹-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სარჩელის სასამართლოში წარდგენის შემდეგ სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული საქმე შეიძლება გადაეცეს მედიატორს დავის მხარეთა შეთანხმებით დასრულების მიზნით.“

187²-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ1“ ქვეპუნქტი:

„გ¹) შრომით სამართლებრივ დავებზე;“

187³-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 187. სასამართლო მედიაციის ვადა

1. სასამართლო მედიაციის ვადა შეადგენს 45 დღეს, და მოიცავს სულ მცირე ერთ შეხვედრას.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვადა შეიძლება გაგრძელდეს მხარეთა შეთანხმებით.“

187⁴ -ე მუხლიდან ამოღებულ იქნას მე-4 პუნქტი

187⁵-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. თუ სასამართლო მედიაციისათვის კანონით დადგენილ ვადაში დავა მხარეთა შეთანხმებით არ დასრულდა, სასამართლო განაახლებს წარმოებას საერთო წესების

საპანონმდებლო ცვლილებების პროექტი

დაცვით.“

187 მუხლი ამოღებულ იქნას

191-ე, 192-ე, 193-ე და 194-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 191. სარჩელის უზრუნველყოფის და დროებითი შეზღუდვის ღონისძიებები

1. მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად.

2. მოსამართლე გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ, თუ, მოსამართლის შეფასებით არსებობს შემდეგი გარემოებების ერთობლიობა: არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების დასაბუთებული ალბათობა; სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში არსებობს დასაბუთებული მაღალი რისკი, რომ მისი აღსრულება შეუძლებელი გახდება მთლიანად ან ნაწილობრივ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე; თუ მხარეთა ინტერესების ბალანსის გათვალისწინებით და უზრუნველყოფის ზომის ადეკვატურობის შეფასებით, მოსამართლეს უჩნდება დასაბუთებული რწმენა, რომ უზრუნველყოფის ზომის გამოყენებით შესაძლებელია უფრო მაღალი ინტერესის დაცვა, ვიდრე შეზღუდვა; თუ უზრუნველყოფის ზომით გამოწვეული შესაძლო ზიანი დაბალანსებულია ან წარმოდგენილია სათანადო გარანტია მოსარჩელის მიერ ამ კოდექსის 199-ე მუხლის თანახმად.

3. მოსარჩელეს შეუძლია სარჩელის უზრუნველყოფასთან ერთად სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიღებამდე მოითხოვოს დროებითი შეზღუდვის ბრძანების გამოცემა, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც დროებითი შეზღუდვის ბრძანების გამოცემის გარეშე გაძნელდება ან შეუძლებელი გახდება დარღვეული თუ სადავო უფლების განხორციელება ან/და გადაწყვეტილების აღსრულება, აგრეთვე ფაქტები და გარემოებები იმ გამოუსწორებელი და იმწუთიერი ზიანის, ზარალის ან დანაკლისის შესახებ, რასაც განმცხადებელი განიცდის, თუ სასამართლო ბრძანების გამოცემამდე აცნობებს მეორე მხარეს და გამართავს მოსმენას. ამავე განცხადებაში მოსარჩელე წარმოადგენს შესაბამის დასაბუთებას, თუ დროებითი შეზღუდვის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია აუცილებლად.

4. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ დროებითი შეზღუდვის ბრძანების გამოცემლად გაძნელდება ან შეუძლებელი გახდება დარღვეული თუ სადავო უფლების განხორციელება ან/და გადაწყვეტილების აღსრულება, აგრეთვე, თუ მოსამართლის დასაბუთებული ვარაუდით, დროებითი შეზღუდვის დაუყოვნებლივ განხორციელების გარეშე გამოუსწორებელი და იმწუთიერი ზიანი ადგება განმცხადებელს, იგი, განცხადების მიღებიდან 24 (ოცდაოთხი) საათის ვადაში გამოიტანს განჩინებას დროებითი შეზღუდვის ბრძანების გამოცემის შესახებ.



დროებითი შეზღუდვის ბრძანება არ საჩივრდება.

5. დროებითი შეზღუდვის ბრძანება ძალაშია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულებამდე, არაუმეტეს 23 დღისა.

6. განცხადებას, რომლითაც პირი ითხოვს უძრავ ქონებაზე ყადაღის დადებას, უნდა დაერთოს ცნობა საჯარო რეესტრიდან ან შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება უძრავ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლება.

7. თუ დროებითი შეზღუდვის ბრძანების გამოცემის ან სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებას არ ახლავს ამ მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული ცნობა საჯარო რეესტრიდან ან შესაბამისი დოკუმენტი, ანდა სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლოს გამოაქვს განჩინება ხარვეზის თაობაზე და განმცხადებელს აძლევს ვადას მის შესავსებად. დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში სასამართლო თავისი განჩინებით განცხადებას განუხილველად დატოვებს, რაც გასაჩივრდება კერძო საჩივრით.

8. ამ თავით გათვალისწინებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები არ ვრცელდება „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ფინანსურ გირაოზე (ფინანსური გირაოს საგანზე) და მნიშვნელოვანი სისტემის მონაწილის ანგარიშსწორების ანგარიშებზე.

9. გადაუდებელ შემთხვევებში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება დასაშვებია იმ შემთხვევაშიც, როდესაც სახეზეა მნიშვნელოვანი ზიანის ან რაიმე სხვა მნიშვნელოვანი საფრთხის თავიდან აცილების გადაუდებელი აუცილებლობა, მათ შორის ის საფრთხე, რომელიც უკავშირდება დავის მონაწილე მხარეებს შორის არსებულ ან სამომავლო გრძელვადიან ურთიერთობას. ამ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოფის ისეთი ზომის გამოყენებაც, რომელიც უშუალოდ დავის საგანზე არ არის მიმართული.”

მუხლი 192. განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე

1. განცხადება დროებითი შეზღუდვის ბრძანების გამოცემის ან სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, გადაუდებელ შემთხვევაში შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული განცხადების სასამართლოს მიერ დაკმაყოფილების შემთხვევაში სარჩელი შეტანილი უნდა იქნეს სასამართლოში ბრძანების მიღებიდან ან სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შეტანიდან 10 დღის ვადაში. თუ ამ ვადაში სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შემტანი პირი არ აღძრავს სარჩელს, სასამართლო თავისი ინიციატივით ან მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანს განჩინებას დროებითი შეზღუდვის ბრძანების გაუქმების შესახებ.“

მუხლი 193. განცხადების განხილვის წესი

1. განცხადებას დროებითი შეზღუდვის ბრძანების გამოცემის შესახებ განიხილავს და გადაწყვეტს ამ სარჩელის განმხილველი სასამართლო განცხადების შეტანიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში, მოპასუხისთვის შეუტყობინებლად.



2. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი განცხადების მიღებიდან 15 დღის ვადაში გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. აღნიშნული ვადა შეიძლება სასამართლოს მიერ გაგრძელდეს 5 დღით.

3. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების მიღებიდან მესამე დღეს სასამართლო მეორე მხარეს უგზავნის სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებას. მხარე უფლებამოსილია აღნიშნული განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში წარმოადგინოს მოსაზრებები სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ ან/და შებრუნების უზრუნველყოფის მოთხოვნა. საჭიროების შემთხვევაში სასამართლოს აქვს უფლება დანიშნოს ზეპირი განხილვა.“

მუხლი 194. დროებითი შეზღუდვის ბრძანება და განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ

1. ამ კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად გამოტანილი დროებითი შეზღუდვის ბრძანებაში უნდა აღინიშნოს:

- ა) მითითება ბრძანების მიღების დროსა და ადგილზე;
- ბ) ბრძანების გამოტანი სასამართლოს დასახელება და შემადგენლობა;
- გ) მხარეები და დავის საგანი;
- დ) საკითხი, რომელზეც მიღებულია განჩინება;
- ე) სასამართლოს ბრძანების დასაბუთება, შესაბამისი მოტივების მითითებით;
- ვ) უზრუნველყოფის ზომა, რომელიც გამოყენებულია სასამართლოს მიერ.

2. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც უნდა პასუხობდეს ამ კოდექსის 285-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და რომელშიც უნდა მიეთითოს, უზრუნველყოფის რომელი კონკრეტული ღონისძიება შეარჩია სასამართლომ.

3. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე. სასამართლოსთვის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით ხელმეორედ მიმართვის შემთხვევაში მიიღება განჩინება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, რაც გასაჩივრდება კერძო საჩივრით.“

197-ე და 1971 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 197. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გასაჩივრება

1. სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის, სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების ან სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის შესახებ

საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი



გამოტანილ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. განჩინების გასაჩივრების ვადა შეადგენს 5 დღეს. ამ ვადის გაგრძელება არ შეიძლება და მისი დენა იწყება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების მხარისთვის გადაცემის მომენტიდან.

2. სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოტანილ განჩინებაზე მოპასუხის მიერ შეტანილი საჩივარი უნდა შეიცავდეს:

ა) სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოტანილი განჩინების ზუსტ დასახელებას;

ბ) მითითებას, თუ რა ზომით უნდა გაუქმდეს ან შეიცვალოს განჩინება უზრუნველყოფის შესახებ;

გ) გარემოებებს, რომელთა გამოც უნდა გაუქმდეს ან შეიცვალოს განჩინება უზრუნველ-ყოფის შესახებ.

3. კერძო საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს უზრუნველყოფის შესახებ განჩინების აღსრულებას.

4. სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების ან სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის შესახებ გამოტანილ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეაჩერებს ამ განჩინების აღსრულებას.“

„მუხლი 197¹. სასამართლოს მიერ კერძო საჩივრის წარმოებაში მიღება და განხილვა

1. სასამართლო კერძო საჩივრის მიღებიდან ერთი დღის ვადაში გააგზავნის კერძო საჩივარს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში.

2. ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ კერძო საჩივრის წარმოებაში მიღების, განხილვის და გადაწყვეტილების გამოტანის ვადა არ უნდა აღემატებოდეს მისი მიღებიდან 10 დღეს.“

199¹ მუხლის დამატოს შემდეგი შინაარსის მე-2 პუნქტი:

„2. სარჩელის დავმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლოს მიერ გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის შედეგად მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის ღონისძიება ძალაში რჩება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების მიუხედავად, სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის განმავლობაში. თუ ამ ვადაში მხარემ არ შეიტანა სარჩელი უსაფუძვლო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, იგი უქმდება ავტომატურად. ასეთი სარჩელის შეტანის შემთხვევაში კი ტრანსფორმირდება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად, რომელიც არ საჩივრდება.“

201-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მოპასუხე ვალდებულია სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღების შემდეგ, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარუდგინოს სასამართლოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელზე და მასში დასმულ საკითხებზე,



აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ და მოსარჩელისათვის პასუხის (შესაგებლის) და თანდართული დოკუმენტების ასლების გაგზავნის დამადასტურებელი დოკუმენტი. სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადა არ უნდა იყოს 20 დღეზე ნაკლები. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი. პასუხი (შესაგებელი) უნდა უპასუხებდეს ამ კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით დადგენილ მოთხოვნებს.“

205-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 205. მოსამზადებელი სხდომის დანიშვნა

1. თუ წარმოდგენილი წერილობითი მასალები მოსამართლეს აძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ მხარეებმა შეიძლება საქმე მორიგებით დამთავრონ, მოპასუხემ ცნოს სარჩელი ან მოსარჩელემ უარი თქვას სარჩელზე, აგრეთვე თუ, მოსამართლის აზრით, სასამართლო განხილვისათვის საქმის სათანადოდ მომზადების ინტერესები ამას მოითხოვს, მოსამართლე უფლებამოსილია მხარეთა წერილობითი მასალების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა ან, ორივე მხარის თანხმობის შემთხვევაში, მხარეებთან სატელეფონო გასაუბრება ან ვიდეოკონფერენცია, რის შესახებაც განჩინების მიღებიდან 3 დღის ვადაში ეცნობებათ მხარეებს. მოსამართლესთან სატელეფონო გასაუბრება ან ვიდეოკონფერენცია ხორციელდება სატელეფონო ხაზზე მხარეების ან მათი წარმომადგენლების ერთდროულად ჩართვით და ფიქსირდება ოქმის სახით. თუ მხარეები კანონით დადგენილი წესით გაფრთხილებული არიან სატელეფონო გასაუბრების ან ვიდეოკონფერენციის შესახებ და ვერ ხერხდება ერთ-ერთ მხარესთან ან მის წარმომადგენელთან დაკავშირება, სასამართლო უფლებამოსილია გაესაუბროს მხოლოდ მეორე მხარეს ან მის წარმომადგენელს.

2. მოსამართლე, მოსამზადებელ სხდომაზე, ხელს უწყობს მხარეებს საქმის მორიგებით დასრულებაში. საქმის მორიგებით დამთავრების მიზნით მოსამართლე უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გამოაცხადოს შესვენება სასამართლო მოსამზადებელი სხდომის მიმდინარეობისას და სხვა პირთა დასწრების გარეშე მისცეს მხარეებს და მათ წარმომადგენლებს მოლაპარაკების გამართვის შესაძლებლობა.

3. მოსამართლეს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს დავის შეთანხმებით დასრულების შესაძლებლობა საქმის მედიატორისათვის გადაცემის გზით.“

212-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 212. სასამართლოში წესრიგის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა

სასამართლო აფრთხილებს მხარეებს, რომ თუ ისინი თვითნებურად მიატოვებენ სხდომას, გამოტანილი იქნება გადაწყვეტილება მათ დაუსწრებლად.“

217-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 217. საქმის განხილვის დაწყება

საპანონომდებლო სვლილებების პროექტი



1. საქმის არსებითი განხილვის დაწყებისას პირველად სასამართლო მოისმენს მოსარჩელისა და მის მხარეზე მონაწილე მესამე პირის შესავალ სიტყვას, ხოლო შემდეგ – მოპასუხისა და მის მხარეზე მონაწილე მესამე პირის შესავალ სიტყვას.

2. მოსამართლე მხარეს სიტყვისათვის ან/და საქმის განხილვის თითოეული ეტაპისათვის განუსაზღვრავს გონივრულ დროს. განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქმის სირთულიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია, მხარეს განუსაზღვროს დამატებითი დრო, რომელიც არ გამოიწვევს საქმის განხილვის გაჭიანურებას.“

218-ე მუხლი ამოღებულ იქნეს

219-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“1. მხარეები შეზღუდულნი არიან, მთავარი სხდომის დაწყების შემდეგ, წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო განცხადებული.”

220-ე, 221-ე და 222-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლის 220. შესავალი სიტყვა

შესავალი სიტყვა უნდა მოიცავდეს სარჩელის/შესაგებლის (მესამე პირის პოზიციის) ძირითად გარემოებებს, მითითებას შესაბამის მტკიცებულებებზე, მათი შეფასების გარეშე და მხარეთა (მესამე პირთა) მოთხოვნას.“

221-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 221. მხარეთა დაკითხვა

1. მხარეს, რომელიც არ ეთანხმება მეორე მხარის (მესამე პირის) მიერ წარმოდგენილ წერილობით ახსნა-განმარტებას უფლება აქვს იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე ახსნა-განმარტების ავტორის მოწმის სახით დაკითხვასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დასაბუთებულად მიიჩნევს და დააკმაყოფილებს მოცემულ შუამდგომლობას, ხოლო მხარე არ გამოცხადდება ჩვენების მისაცემად, აღნიშნულ მხარეზე გადავა შუამდგომლობის ავტორის მიერ მითითებული ფაქტის მტკიცების ტვირთი.

2. მხარის დაკითხვა წარმოებს 140-ე მუხლით განსაზღვრული წესით.“

222-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 222. მოსამართლეთა შეკითხვები

მოსამართლეს უფლება აქვს მხარეებს (მესამე პირებს) და მოწმეებს დაუსვას დამაზუსტებელი შეკითხვები დაკითხვის, შუამდგომლობების დაყენებისა და მტკიცებულებათა გამოკვლევისას.“

225-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„1. მხარეთა და მესამე პირთა შესავალი სიტყვის და დაკითხვის შემდეგ სასამართლო უფლებამოსილია, მხარის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით განიხილოს და შეამოწმოს სადავო მტკიცებულებები. წერილობითი მტკიცებულების განხილვა და შემოწმება არ გულისხმობს მისი შინაარსის სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნებასა და წაკითხვას. მტკიცებულებათა განხილვისა და შემოწმების პროცესში სასამართლო მიმართავს მხარეებს, წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრებები სადავო მტკიცებულების ან მასში მითითებული ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის. სასამართლო, ამ კოდექსის 104-ე მუხლის შესაბამისად, საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს და საქმეში წარმოდგენილ იმ დოკუმენტებს, რომლებსაც საქმისათვის არა აქვს მნიშვნელობა.“

229-ე, 2321-ე, 233-ე, 236-ე და 241-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 229. მხარის გამოცხადებლობა

1. თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე ან მოპასუხე, რომელსაც ჩაბარდა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე – 78-ე მუხლებით დადგენილი წესით, გამოცხადებული მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია საქმის განხილვა გადადოს ან გამოცხადებული მხარის დასწრებით გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმეში არსებული მასალების საფუძველზე.

2. გამოცხადებული მხარის მიერ სასამართლოსათვის დამატებითი მტკიცებულებების წარდგენის შესახებ შუამდგომლობით მიმართვის შემთხვევაში, სასამართლო გადადებს განხილვას და წარმოდგენილ მტკიცებულებებს გაუგზავნის გამოცხადებულ მხარეს.

მუხლი 232¹. მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარმოდგენლობის შედეგები

მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის “ბ” ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიომიზეხით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას;

მუხლი 233. სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა

1. სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ:

ა) მხარეს არ ჩაბარებია სარჩელი და თანდართული დოკუმენტები ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით;

ბ) სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა შესაგებლის წარდგენისათვის;

გ) არ არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობები.



მუხლი 236. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება

მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლიათ ასეთი გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში შეიტანონ საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ.

მუხლი 241. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები

დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები.

238-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) გარემოებებს, რომლებიც ადასტურებს, რომ მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით;“

კანონს დაემატოს შემდეგი სახელწოდების XXVI¹ თავი :
„თავი XXVI¹. დაჩქარებული გადაწყვეტილება“

კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 243¹ მუხლი:
„243¹. დაჩქარებული გადაწყვეტილება“

1. თუ მხარის მიერ წარმოდგენილია მტკიცებულებები, ან საქმეში არის ექსპერტის დასკვნა და სასამართლოს მიერ გამოკვლეულია ყველა გარემოება, ხოლო მეორე მხარეს არ წარმოდგენია მტკიცებულებები და შუამდგომლობა პირველი ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია მთავარი სხდომის ჩატარების გარეშე გამოიტანოს დაჩქარებული გადაწყვეტილება მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით.

2. დაჩქარებული გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის მითითებული წესით.“

262-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 262. გადაწყვეტილების და განჩინების განმარტება

1. გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება ან განჩინება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების /განჩინების/ სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების /განჩინების/ განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება /განჩინება/ შეიძლება აღსრულდეს. სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვეტილების განმარტების საკითხი გადაწყვიტოს ზეპირი მოსმენის გარეშე. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მხარეებს ეგზავნება შეტყობინება, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს გადაწყვეტილების განმარტების საკითხის



განხილვას.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ განცხადებას სასამართლო განიხილავს შეტანიდან 1 თვის ვადაში. ხოლო განჩინების განმარტების შემთხვევაში 5 დღის ვადაში.

279-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას

280-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ვ) თუ ამ კოდექსის 1873 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში დავა მხარეთა შეთანხმებით დასრულების მიზნით გადაეცა მედიატორს.“

281-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) ამ კოდექსის 280-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – სასამართლო მედიაციის ვადის დასრულებამდე“

356¹³-ე მუხლის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ;

ზ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ“

356¹⁴ - ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 356¹⁴ მხარე

„ამ თავის მიზნებისათვის მხარე არის საარბიტრაჟო შეთანხმების მონაწილე პირი ან პირი, რომელსაც ეხება (ან რომლის მიმართაც არის გამოტანილი) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.“

356²⁰-ე, 356²¹-ე და 356⁴ მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

„მუხლი 356²⁰. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე გადაწყვეტილება გამოიტანება დაინტერესებული მხარის შესაბამისი განცხადების საფუძველზე.“

მუხლი 356²¹. გადაწყვეტილება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე

მხარემ, რომელიც მიმართავს სასამართლოს განცხადებით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე, უნდა წარმოადგინოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სათანადოდ დამოწმებული დედანი ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი, აგრეთვე საარბიტრაჟო შეთანხმების დედანი ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი. თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ან საარბიტრაჟო შეთანხმება არ არის შესრულებული ქართულ ენაზე, მხარემ უნდა წარმოადგინოს ასევე ქართულ



ენაზე ამ საბუთის სათანადოდ დამოწმებული თარგმანი.“

„მუხლი 356⁴. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მხოლოდ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ სასამართლოში საჩივრის შეტანის გზით.“

356² -ე მუხლის ამოღებულ იქნეს

387-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

მუხლი 387. მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგები

„1. თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება აპელანტი ან მოპასუხე, რომელსაც ჩაბარდა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, გამოცხადებული მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია საქმის განხილვა გადადოს ან გამოცხადებული მხარის თანდასწრებით გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმეში არსებული მასალების საფუძველზე.“

391-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. სამოქალაქო საქმეებზე საკასაციო საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანის ვადა 6 თვე საკასაციო საჩივრის საკასაციო სასამართლოს მიერ წარმოებაში მიღების დღიდან“.

396-ე მუხლის 1-ელ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „3“ კვებუნქტი:

„3¹. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის დასაბუთებას;“

401-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო საჩივრის დასაშვებობას ამოწმებს სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობა. კოლეგია უფლებამოსილია, აღნიშნული საკითხი გადაწყვიტოს ზეპირი განხილვის გარეშე. დასაშვებობის შემოწმების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს. საჩივრის დასაშვებობაზე უარის თაობაზე სასამართლოს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება, რომელშიც აღინიშნება თუ რატომ არ იქნა გაზიარებული საკასაციო საჩივარში წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძველები.“

419-მუხლის 1-ლი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კერძო საჩივრის თაობაზე განჩინება გამოაქვს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კერძო საჩივრის მიღებიდან 15 დღის ვადაში.“

426-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება.“



426-ე მუხლის მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს

427-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. თუ განცხადება არ დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს, სასამართლო ავალებს განმცხადებელს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ შეივსება, განცხადება აღარ დაიშვება. აღნიშნული განჩინება საჩივრდება კერძო საჩივრით.“



❖ კვლევა და რეკომენდაციები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მხარეთა შეზღუდვების და თანასწორობის უზრუნველყოფისთვის

ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ დაფინანსებული პროექტის, „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მხარეთა შეზღუდვებითობის უზრუნველყოფისთვის რეკომენდაციების შემუშავება“-ს ფარგლებში სიფა-ს ადვოკატების მიერ შემუშავდა კვლევა და რეკომენდაციები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მხარეთა შეზღუდვებითობის და თანასწორობის უზრუნველყოფისთვის.

კვლევის ძირითადი ნაწილი განახორციელეს ექსპერტებმა დავით კვაჭანტირაძემ (იურიდიული კომპანია „VBAT“-ის პარტნიორი, სიფა-ს სისხლის სამართლის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი), კახაბერ წერეთლმა (სიფა-ს სისხლის სამართლის სამუშაო ჯგუფის წევრი, ადვოკატი) და ემზარ პაქსაძემ (იურიდიული კომპანია „სამხარაძე, პაქსაძე და პარტნიორები“-ის პარტნიორი, სიფა-ს სისხლის სამართლის სამუშაო ჯგუფის წევრი). სიფა-ს სისხლის სამართლის სამუშაო ჯგუფის წევრმა ადვოკატებმა - დავით აბესაძემ, აკაკი ჩარგვიშვილმა, ირაკლი კუჭუხიძემ, ირაკლი ჟორჟოლიანმა, მამუკა ჭაბაშვილმა, თამარ კაპანაძემ, გიორგი სამაგლიშვილმა, ნუგზარ სალიამ, გიორგი ძეგნიაურმა მონაწილეობა მიიღეს კვლევის თემების განხილვაში.

კვლევის პროცესში განხორციელდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმათა, საქართველოს სხვა კანონების და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ანალიზი; შეისწავლეს სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მონიტორინგის და კვლევების შედეგები, საქართველოს სასამართლოების გადაწყვეტილებები სხვადასხვა საკითხებზე მათ შორის გადაწყვეტილებები საგამოძიებო მოქმედებების დაკანონების შესახებ; აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, გამოყენების გასაჩივრების და აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შუამდგომლობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები; წინასასამართლო სხდომის და სასამართლოს არსებით სხდომაზე მიღებული განჩინებები და განაჩენები. განხორციელებულმა კვლევამ ავტორებს მისცა შესაძლებლობა შეედარებინათ კვლევისთვის რელევანტური საკითხების საქართველოს კანონმდებლობის რეგულირება და მის საფუძველზე განვითარებული სასამართლო პრაქტიკა ევროპული კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლით გარანტირებული უფლებების გაგებასთან, რაც დამკვიდრებულია ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით. კვლევის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები ჩამოყალიბდა შემდეგი ფორმულირებით:

- სსსკ-ში შემუშავდეს სპეციალური წესები, რომლებიც შექმნის მყარ გარანტიებს ადვოკატის ან საადვოკატო ოფისის მიმართ საგამოძიებო მოქმედების და სხვა საპროცესო მოქმედებების განხორციელებისას პროფესიული საიდუმლოების დაცვის უზრუნველსაყოფად. მიზანშეწონილია, საგამოძიებო მოქმედებების შემთხვევაშიც, ფარული მოქმედებების მსგავსად, დადგინდეს კონკრეტული, შემზღუდავი წესები ადვოკატის/საადვოკატო ოფისის მიმართ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას. ერთ-ერთი ასეთი სპეციალური გარანტია შეიძლება იყოს ადვოკატის ოფისის მიმართ ჩხრეკა/ამოღების პროცესში დასასწრებად ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ან სხვა წარმომადგენლის მოწვევის ვალდებულების დადგენა.



► მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობის პრობლემის საფუძველი არა იმდენად საკანონმდებლო ხარვეზი, არამედ სასამართლო პრაქტიკის არასრულყოფილებაა, შესაძლებელია, სახელმწიფომ მაინც იფიქროს სსსკ-ში გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის სტანდარტების კონკრეტიზაციაზე. ასეთი ცვლილებები შეამცირებს ხარვეზებს გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის თვალსაზრისით და გააუმჯობესებს მართლმსაჯულების ხარისხს.

► გაფართოვდეს სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახალი არსებითი განხილვის და მტკიცებულებათა წარდგენის ფარგლები იმ შემთხვევებში, როცა გასაჩივრებულია სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით შეცვლილი კვალიფიკაცია. ამ დროს მხარეებს უნდა მიენიჭოთ დამატებითი მტკიცებულებების წარდგენის და უკვე გამოკვლეული მტკიცებულების ხელახალი გამოკვლევის შესაძლებლობა, იმის მიუხედავად, იყო თუ არა მათი წარდგენა და გამოკვლევა ობიექტურად შესაძლებელი პირველ ინსტანციაში.

► სსსკ-ში შემუშავდეს ცვლილებები, რაც შესაძლებელს გახდის, ბრალდებულის სტატუსის არმქონე პირმა, რომლისთვისაც ცნობილი გახდა მის მიმართ დაწყებული გამოძიების შესახებ ან/და გამოძიების კონკრეტულმა ღონისძიებებმა ზემოქმედება დაიწყო მასზე, ისარგებლოს ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლებით, მათ შორის, მოითხოვოს გონივრულ ვადაში გასამართლება, მიიღოს საქმის მასალები, ჰქონდეს მტკიცებულებათა წარდგენის შესაძლებლობა; აწარმოოს დაცვა ადვოკატის მეშვეობით და სხვ. ამ თვალსაზრისით სსსკ-ში უნდა დაწესდეს სპეციალური სტატუსი და უფლებები ასეთი პირისთვის. სსსკ-ის მე-3 მუხლს შეიძლება დაემატოს ცნება – პირი, რომლის მიმართ დაწყებულია გამოძიება. ასევე, ცალკე თავით განისაზღვროს ამ პირის უფლებრივი სტატუსი. 72

► დაცვის მხარეს, ბრალდების მხარის მსგავსად, მიეცეს უფლება სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს მტკიცებულება. ასეთი ცვლილება შეიძლება განხორციელდეს სსსკ-ის 39-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების ამგვარი ფორმულირებით: „თუ მტკიცებულების მოპოვებისათვის საჭიროა ისეთი საგანგებო ან სხვა საპროცესო მოქმედების ან გამოთხოვის ჩატარება, რასაც ბრალდებული ან მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებს, იგი უფლებამოსილია შესაბამისი განჩინების გამოტანის შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს.“ ასევე, სსსკ-ის 136-ე მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტის ან ინფორმაციის სასამართლოს მეშვეობით გამოთხოვის უფლება მიენიჭოს დაცვის მხარესაც.

► მიზანშეწონილი იქნება, სსსკ-ის 111-ე მუხლის პირველ ნაწილში შევიდეს ცვლილება და დაცვის მხარის დასაბუთებული შუამდგომლობით, სასამართლოს განჩინების საფუძველზე საგანგებო მოქმედებას ჩატარების უფლებამოსილება მიენიჭოს ადვოკატს. ხოლო სსსკ-ის 120-ე მუხლის მე-10 ნაწილი ამოღებულ იქნას. დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე და სასამართლოს განჩინებით ჩატარებული საგანგებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების ბრალდების მხარისთვის და სასამართლოსთვის წარდგენის საკითხს სსსკ-ს 83-ე მუხლის წესებით გადაწყვეტს დაცვის მხარე.



► მიზანშეწონილია, გაუქმდეს სსსკ-ის 126-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი ვალდებულება მხარეების მიერ ექსპერტიზის ჩატარებისთანვე, მოთხოვნის შემთხვევაში, დასკვნის მეორე მხარისთვის დაუყოვნებლივ გადაცემის შესახებ. ექსპერტიზის დასკვნის გაცვლა მოხდეს სხვა მტკიცებულებების გადაცემისთვის სსსკ-ის 83-ე მუხლით დადგენილი საერთო წესებით.

► შესაძლებლობა მიეცეს მხარეებს წინასასამართლო სხდომაზე იშუამდგომლონ არარელევანტური მტკიცებულების გამორიდების შესახებ. ასეთი რეგულირება დასაშვებია გათვალისწინებულ იქნას სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილში, წინასასამართლო სხდომაზე განსახილველი საკითხების ჩამონათვალის გაზრდით.

► სსსკ-ის 239-ე მუხლში განისაზღვროს შესაძლებლობა, რათა მხარეებმა მტკიცებულებათა გამოკვლევის დასრულების შემდეგ დააყენონ ერთიანი შუამდგომლობა მტკიცებულებათა დაუშვებლობის შესახებ. ასეთი დამატება სსსკ-ში, მხარეებს მისცემდა შესაძლებლობას აღარ გაეწიათ ძალისხმევა დაუშვებელი მტკიცებულებების ირგვლივ დასკვნით სიტყვებში; ასევე, შეამცირებდა რისკებს, 73 ნაფიცმა მსაჯულებმა (იმ საქმეებში, რომლებსაც განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო) გადაწყვეტილება მიიღონ დაუშვებელი მტკიცებულების საფუძველზე. სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-8 ნაწილი დაზუსტდეს და მასში განისაზღვროს ბრალდების მხარის ვალდებულება აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნის შესახებ სასამართლოსთვის წარსადგენი შუამდგომლობა გადასცეს დაცვის მხარეს.

► მიზანშეწონილია, სსსკ-ით დადგენილი დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობის გაფართოება და მისთვის შუამდგომლობის წარდგენის უფლების მინიჭება. ასევე, შუამდგომლობაზე უარის შემთხვევაში, დაზარალებულს მიეცეს შესაძლებლობა გაასაჩივროს აღნიშნული უარი ზემდგომ პროკურორთან. დაზარალებულის უფლებების უკეთ დაცვის მიზნით დაფუძნდეს დაზარალებულის ადვოკატის ინსტიტუტი.

► მნიშვნელოვანია, სსსკ-ში შევიდეს ცვლილებები, რაც განამტკიცებდა ბრალდების მხარის გამოძიების (მათ შორის მტკიცებულებათა მოპოვების პროცესის) ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განხორციელების ვალდებულებას და გამორიცხავდა ამ საკითხის წინააღმდეგობრივ განმარტებას. სსსკ-ის მე-9 მუხლს შესაძლოა დამატოს მესამე ნაწილი, სადაც დადგინდება ბრალდების მხარის აღნიშნული ვალდებულება. ხოლო, 83-ე მუხლის პირველ ნაწილში განისაზღვროს დაცვის მხარისთვის ყველა იმ მტკიცებულების გადაცემის აუცილებლობის შესახებ, რაც საქმის ყოველმხრივი, ობიექტური და სრული შეფასებისთვის არის აუცილებელი.

► სსსკ-ის 207-ე მუხლის მე-4 ნაწილში გაუქმდეს მითითება, რომ საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვისას, 207-ე მუხლის მე-2 ნაწილების მოთხოვნების შესრულებასთან ერთად, სასამართლო ასევე აფასებს საკითხს განიხილა თუ არა პირველი ინსტანციის სასამართლომ არსებითად იგივე საკითხები ან გამოიკვლია თუ არა მან არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულება, რასაც შეიძლება ზეგავლენა მოეხდინა პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე. სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-8 ნაწილი ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ მხარეს ჰქონდეს პატიმრობის



საფუძვლების გადასინჯვის შესაძლებლობა ნებისმიერ შემთხვევაში, დასაშვებობის სტადიის გარეშე. ასეთი ცვლილება დააფუძნებს დაპატიმრების გადასინჯვის ეფექტურ მექანიზმს ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად. დაპატიმრების გადასინჯვის ეფექტური მექანიზმის დადგენის მიზნებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, სსსკ-ის 208-ე მუხლის მე-3 ნაწილში დადგინდეს სასამართლოს ვალდებულება წინასასამართლო სხდომის გადავადების საკითხთან 74 ერთად ავტომატურად გადასინჯოს დაპატიმრების გაგრძელების საკითხიც და ამ საკითხის განხილვის სხდომაზე მოიწვიოს ბრალდებული და მისი ადვოკატი.

- ▶ სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-11 ნაწილში შევიდეს ცვლილება, რომლის მიხედვით პატიმრობის გამოყენების შემთხვევაში, განჩინების სარეზოლუციო ნაწილთან ერთად, სასამართლომ უნდა გამოაცხადოს მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება.

- ▶ დაწესდეს ბრალდების მხარისთვის ინფორმაციის გავრცელების აკრძალვა იმ შემთხვევაში თუ მის მიერ დაცვის მხარე გაფრთხილებულ იქნა საქმეში არსებული ცნობების გაუმჟღავნებლობის შესახებ. ასეთი დათქმა შესაძლებელია განხორციელდეს სსსკ-ის 104-ე მუხლის პირველ ნაწილში.

- ▶ მხარეთა თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპის გასაძლიერებლად, კიდევ ერთი ნაბიჯი იქნებოდა, ადვოკატის თანაშემწის და სტაჟიორ-ადვოკატის ინსტიტუტის დაფუძნება სისხლის სამართლის პროცესში. განხორციელდეს თანაშემწის აღჭურვა ადვოკატის რეალური დამხმარის ფუნქციებით, მათ შორის, საქმის მასალების გაცნობის, ადვოკატთან ერთად საგამომიებო მოქმედებებზე დასწრების, მხარეებს შორის მტკიცებულებათა ურთიერთგაცვლაში მონაწილეობის მიღების, ბრალდებულის საპატიმროში მონახულების უფლების მინიჭებით. ადვოკატის თანაშემწის უფლება-მოვალეობების განსაზღვრის მიზნით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს უნდა დამატოს 461-ე მუხლი. ასევე, მიზანშეწონილია სტაჟიორ-ადვოკატის ინსტიტუტის დაფუძნება. სტაჟიორ-ადვოკატს მიენიჭოს შესაძლებლობა ბრალდებულის თანხმობით დაშვებულ იქნას დაცვის განსახორციელებლად მხოლოდ ადვოკატის დავალებითა და ადვოკატთან ერთად. ამ მიზნით, დამატება უნდა შევიდეს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელიც ადვოკატის ცნებაში გააერთიანებს სტაჟიორ-ადვოკატსაც, ისევე, როგორც „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი პროკურორის ცნებაში მოიაზრებს სტაჟიორ-პროკურორს. ამავე დროს, სტაჟიორ-ადვოკატს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება უნდა მიეცეს მხოლოდ ადვოკატთან ერთად. მისი დავალებით სტაჟიორ-ადვოკატს უნდა შეეძლოს ცალკეული მოქმედებების დამოუკიდებლად განხორციელება. ამ მიზნით, შესაბამისი დამატებები უნდა განხორციელდეს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ მუხლში.

- ▶ სისხლის სამართლის კოდექსის 364-ე და 365-ე მუხლებში განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები¹:

მუხლი 364. სამართალწარმოების განხორციელებისთვის, გამოძიებისთვის ან დაცვის

¹ განსახორციელებელი ცვლილებები მონიშნულია მუქი შრიფტით

ბანხორციელებული პროექტები / გამოცემები

განხორციელებისთვის ხელის შეშლა -

4. საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიებისთვის ხელის შეშლის მიზნით პროკურორის ან გამომძიებლის, ან დაცვის განხორციელებისთვის ხელის შეშლის მიზნით ადვოკატის საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით უკანონო ჩარევა -

მუხლი 365. მუქარა ან ძალადობა სამართალწარმოების განხორციელებასთან, გამოძიებასთან ან დაცვის განხორციელებასთან დაკავშირებით

1. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის, მსაჯულის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების ან დაზიანების მუქარა სასამართლოში საქმის ან მასალის განხილვასთან დაკავშირებით, -

2. იგივე ქმედება, ჩადენილი პროკურორის, გამომძიებლის, დამცველის (შეიცვალოს „ადვოკატის“), ექსპერტის, აღმასრულებლის, სამართალწარმოების სხვა მონაწილის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ, გამოძიებასთან, დაცვის განხორციელებასთან, სასამართლოში საქმის ან მასალის განხილვასთან ანდა განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით, -

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილებების რეკომენდაციების პრეზენტაცია გაიმართა 2015 წლის 25 ივნისს, სასტუმრო „თბილისი მარიოტში“. გამოცემული რეკომენდაციების ჩამოტვირთვა შესაძლებელია საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის ვებ-გვერდიდან: www.alfg.ge

სახელმძღვანელო ადვოკატებისთვის ფულის გათეთრების პრევენციული ზომების თაობაზე

ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ დაფინანსებული პროექტის „სახელმწიფო პოლიტიკის გაუმჯობესება ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების სფეროში“ ფარგლებში სიფა-მ შეიმუშავა სახელმძღვანელო ადვოკატებისთვის ფულის გათეთრების პრევენციული ზომების თაობაზე.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის 2014 წლის 27 ივნისს გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება ავალდებულებს სახელმწიფოს მიიღოს სათანადო ზომები ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევების გამოსავლენად. სახელმძღვანელოს მიზანია გაანალიზდეს ფულის გათეთრების თაობაზე არსებული საკანონმდებლო რეგულირების შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, როგორცაა ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებების შემფასებელი ექსპერტთა კომიტეტის (MONEYVAL) და ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციები და ადვოკატებს მიეწოდოს ინფორმაცია ფულის გათეთრების სფეროში კანონით დადგენილი ვალდებულებების



შესრულების თაობაზე.

საერთაშორისო და ადგილობრივი აქტებიდან, რომლებიც ვრცელდება ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების დანაშაულებებზე, აღსანიშნავია:

- ▶ სტრასბურგის 1990 წლის კონვენცია „ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების და კონფისკაციის შესახებ“;²

- ▶ ევროსაბჭოს 2005 წლის კონვენცია „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების, კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“;³ საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულა 2013 წლის 4 ოქტომბერს და ძალაშია 2014 წლის 1 მაისიდან.

- ▶ საქართველოს კანონი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“, მიღებული 2003 წლის 6 ივნისს.⁴

- ▶ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის 331¹ მუხლის ცალკე გამოყოფს ტერორიზმის დაფინანსების დანაშაულს.⁵

- ▶ „ადვოკატის მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისათვის წარდგენილი ინფორმაციის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2014 წლის 2 ოქტომბრის ბრძანება №2

1. ადვოკატის ვალდებულებები ფულის გათეთრების გარიგებების გამოსავლენად

1.1. კლიენტის იდენტიფიცირების ვალდებულებები

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მიხედვით, ადვოკატები ვალდებული არიან, პირველ რიგში, მოახდინონ კლიენტის იდენტიფიცირება და მიიღონ შესაბამისი ზომები მისი ვინაობის დასადგენად. კლიენტის იდენტიფიცირების ვალდებულება დადგენილია „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების

² ფულის გათეთრების დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების და კონფისკაციის შესახებ კონვენცია, 1990 წელი

³ ევროპის საბჭოს კონვენცია „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“, ვარშავა, 16 მაისი, 2005

⁴ ინფორმაცია იხილეთ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2106016>

⁵ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, ვებგვერდი



და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ კონვენციის⁶ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტით, რომლის თანახმადაც, ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა დაადგინონ ან დაადასტურონ კლიენტის იდენტობა⁷. მართალია, ადვოკატები პირდაპირ მოხსენებული არ არიან კონვენციის ტექსტში, თუმცა კონვენციის ამავე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, თითოეულმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები ფულის გათეთრების მონიტორინგისა და პრევენციისთვის. აღნიშნული კი ადგილობრივ კანონმდებლობაში ისეთი საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებას და ხელშეწყობას გულისხმობს, როგორიცაა ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციების გათვალისწინება. FATF-ის რეკომენდაციებით დადგენილია ვალდებულებები იურიდიული პროფესიების წარმომადგენლებისთვის, რომლის ქვეშ დამოუკიდებელი პროფესიის მქონე პირები, ადვოკატები და ნოტარიუსები არიან გაერთიანებული. რეკომენდაციის მიხედვით, აღნიშნულ პირებს, შესაძლოა, შეხება ჰქონდეთ ისეთ კლიენტებთან, რომლებსაც სურთ უკანონო ფულის კანონიერ ბრუნვაში მიმოქცევა ან ტერორიზმის დაფინანსება. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ მათ განახორციელონ მონიტორინგი და კლიენტის იდენტიფიცირებისთვის საჭირო ზომები მიიღონ⁸. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონის მე-5 მუხლის 23 პუნქტის მიხედვით, ადვოკატი ახორციელებს კლიენტის მონიტორინგს, რაც მოიცავს კლიენტის ვინაობის დადგენას, გარიგების თაობაზე ინფორმაციის აღრიცხვას და სისტემატიზაციას. კანონის აღნიშნული მუხლით და FATF-ის 22-ე რეკომენდაციით ადვოკატმა მხოლოდ შემდეგ გარიგებებზე უნდა განახორციელოს კლიენტის მონიტორინგი:

- ▶ უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა;
- ▶ ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდების ან სხვა ქონების მართვა;
- ▶ საბანკო, შემნახველი ან ფასიანი ქაღალდების ანგარიშების მართვა;
- ▶ იურიდიული პირის შექმნისთვის, საქმიანობისთვის ან მართვისთვის შენატანების ორგანიზება;
- ▶ იურიდიული პირის ან ამხანაგობის შექმნა, საქმიანობა ან მართვა;
- ▶ იურიდიული პირის (წილის) ყიდვა-გაყიდვა.

შესაბამისად, თუ ზემოთ ჩამოთვლილი გარიგებების მონიტორინგის დროს ადვოკატს ეჭვი ეპარება კლიენტის ვინაობის უტყუარობაში, ან კლიენტის იდენტიფიკაცია ვერ ხერხდება, ან თუ გარიგება ადვოკატმა მიიჩნია საეჭვოდ,⁷ იგი ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს ადვოკატთა ასოციაციას.⁸ თუმცა, პროფესიული პრივილეგიის ფარგლებში ადვოკატმა უნდა დაიცვას კლიენტის პირადი ინფორმაცია და მხოლოდ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვით მიაწოდოს ინფორმაცია ადვოკატთა

⁶ ევროპის საბჭოს კონვენცია, 16 მაისი, 2005

⁷ გარიგების საეჭვოობის დეფინიცია მოცემულია „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონის მე-2 მუხლის „თ“ პუნქტში

⁸ იქვე, მე-9 მუხლის 1 პრიმი



ასოციაციას.⁹ გასათვალისწინებელია, რომ კლიენტის იდენტიფიცირებისას, პროფესიული საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადვოკატებს FATF-ის ყველა რეკომენდაცია არ ეხებათ და ამ შემთხვევაში სპეციალურად ადვოკატებისთვის განკუთვნილი რეგულაციები მოქმედებს. ადვოკატებზე FATF-ის 22-ე რეკომენდაცია ვრცელდება, რომლის მიხედვით, კლიენტის ვინაობის დასადგენად ადვოკატებმა უნდა მიმართონ მე-10, მე-11, მე-12, მე-15 და მე-17 რეკომენდაციით გათვალისწინებულ ზომებს. აღნიშნული რეკომენდაციები, თავის მხრივ, გულისხმობს შემდეგ ღონისძიებებს: კლიენტის იდენტიფიცირება, პოლიტიკურად აქტიური პირების იდენტიფიცირება, კლიენტის პერსონალური ინფორმაციის შენახვა, ინფორმაციის უსაფრთხოების და იდენტიფიცირების წესების მესამე პირებისთვის გადანდობა.

ა) ფიზიკური და იურიდიული პირის იდენტიფიცირების წესები

საქართველოს კანონის „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ მე-6 მუხლის 4¹-ე პუნქტის მიხედვით, ადვოკატი ვალდებულია დაადგინოს კლიენტის ვინაობა და ამ მიზნით გადაამოწმოს ინფორმაცია სანდო წყაროსთან. მართალია, კანონის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტით, ადვოკატი თავად განსაზღვრავს პროცედურებს, კლიენტის იდენტიფიცირების თაობაზე, თუმცა კანონში მოცემულია მინიმალური მოთხოვნები კლიენტის ვინაობის დადგენასთან დაკავშირებით. აღნიშნული კანონის მე-6 მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, ადვოკატმა ფიზიკური პირის პირადი მონაცემები უნდა შეამოწმოს მინიმუმ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის საფუძველზე, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში – სახელმწიფოს მიერ გამოცემული ისეთი დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც იძლევა იურიდიული პირის შექმნისა და მისი წარმომადგენლის (წარმომადგენლების) შესაბამისი უფლებამოსილების დადასტურების საშუალებას.¹⁰ ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის #2 ბრძანების¹¹ მე-5 მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულია მონაცემების ჩამონათვალი, რომელიც უნდა შეამოწმოს ადვოკატმა კლიენტის ვინაობის დასადგენად ფიზიკური და იურიდიული პირის შემთხვევაში. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის #2 ბრძანებაში (შემდგომში ადვოკატის დებულება) მოცემულია ინფორმაციის ჩამონათვალი,¹² რომლის საფუძველზე ადვოკატმა იურიდიული პირის იდენტიფიცირებისას უნდა დაადგინოს/ გადაამოწმოს : ა) სრული სახელწოდება, საქმიანობის საგანი, იურიდიული მისამართი ბ) მარეგისტრირებელი ორგანო, რეგისტრაციის თარიღი და ნომერი გ) გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი დ) ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების საიდენტიფიკაციო მონაცემები ე) ფინანსური სამსახურის მონიტორინგის უფროსის ბრძანების მე-5 მუხლის მე-11 პუნქტის მიხედვით, თუ ადვოკატთან წარმოდგენილი ინფორმაცია იძლევა საშუალებას, ადვოკატმა უნდა დაადგინოს, “ხელმძღვანელობასა და

⁹ იქვე, მე-5 მუხლის 5 პრიმა

¹⁰ “უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-8 პუნქტი ჯჯ

¹¹ ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ბრძანება #2, 2014 წლის 2 ოქტომბერი

¹² იქვე, მე-5 მუხლის 9,10,11,12 პუნქტები



წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების თანამდებობაზე დანიშვნის თარიღი, ან/და საბანკო ანგარიშის (ანგარიშების) რეკვიზიტები.”

FATF-ის მე-10 რეკომენდაციის მიხედვით, იურიდიული პირის შემთხვევაში, უნდა დადგინდეს:

ა) სახელწოდება, იურიდიული ფორმა, დაფუძნების დოკუმენტაციის არსებობა, პარტნიორთა შეთანხმება და სხვა დაკავშირებული დოკუმენტაცია, რომელიც კლიენტის წარმომავლობის დადგენას ეხება;

ბ) დოკუმენტაცია, რომელიც არეგულირებს წილთა გადანაწილების საკითხებს, იმ ადამიანების დასახელებით ვინც ფლობს წილებს კომპანიებში, უფროს და უმცროს მენეჯერებს, დირექტორებს და სხვა წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების ვინაობას;

გ) ფაქტობრივი და იურიდიული მისამართი.¹³

ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ბრძანებისგან განსხვავებით, FATF-ის რეკომენდაციით, იურიდიულმა პირმა დამატებით უნდა წარმოადგინოს დოკუმენტაცია: წილთა გადანაწილების, იურიდიული პირის წილის მფლობელების, უფროსი და უმცროსი მენეჯერების თაობაზე.¹⁴ აღნიშნული პირების თაობაზე ინფორმაციის მოძიებას არ მოიცავს საქართველოს კანონი. კანონის მე-6 მუხლის მე-10¹ პუნქტი და ადვოკატის დებულების მე-5 მუხლის მე-6¹ მუხლი მფლობელობის და მმართველობის (კონტროლის) განმახორციელებელი სტრუქტურის შესახებ ინფორმაციის დადგენას ითვალისწინებს, რაც FATF-ის სტანდარტებთან შესაბამისობისთვის საკმარისი არ არის.

ბ) ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიცირება

იურიდიული პირის შემთხვევაში, ადვოკატი ვალდებულია, მოახდინოს ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაცია, ასევე მიიღოს გონივრული ზომები მისი ვინაობის გადასამოწმებლად სანდო, დამოუკიდებელ წყაროზე დაყრდნობით და დარწმუნდეს, ვინ არის კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრე.¹⁵ ადვოკატის დებულების მიხედვით, ბენეფიციარი მესაკუთრე არის “ფიზიკური პირი, რომელიც არის პირის საბოლოო მფლობელი ან მაკონტროლებელი პირი ან/ და რომლის სახელითაც ხორციელდება გარიგება (ოპერაცია); სამეწარმეო იურიდიული პირის (აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იმ ორგანიზაციული წარმონაქმნის, რომელიც არ არის იურიდიული პირი) ბენეფიციარი მესაკუთრე არის მისი წილის ან ხმის უფლების მქონე აქციების 25%-ან მეტის პირდაპირი ან არაპირდაპირი ფორმით საბოლოო მესაკუთრე, მფლობელი ან/და მაკონტროლებელი ფიზიკური პირი ან ფიზიკური პირი, რომელიც სხვაგვარად ახორციელებს კონტროლს სამეწარმეო იურიდიული პირის მართვაზე.”¹⁶ FATF-ის მე-10 რეკომენდაციით, ბენეფიციარი

¹³ FATF Recommendations 2012, 59

¹⁴ მე-10 რეკომენდაცია, 59-62

¹⁵ ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ბრძანება №2, 2014 წლის 2 ოქტომბერი, მე-6 მუხლის მე-10¹ პუნქტი

¹⁶ იქვე, მე-2 მუხლის „ჟ“ პუნქტი



მესაკუთრის დადგენისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ გამოვლინდეს:

ა) ფიზიკური, მოსარგებლე პირის იდენტიფიცირება თუ ახორციელებს კონტროლს იურიდიული პირის, მესაკუთრის ან აქვს ასეთი ინტერესი;

ბ) თუ არის ეჭვი და ბენეფიციარი მესაკუთრე წარმოადგენს ისეთ პირს, რომელსაც გააჩნია კონტროლი კომპანიის მმართველობით საქმიანობაზე ან თუ არ არის დანიშნული ფიზიკური პირი, უნდა მოხდეს იმ პირების იდენტიფიცირება, ვინც ახორციელებენ კომპანიის რეალურ კონტროლს;

გ) თუ არ არის ფიზიკური პირი იდენტიფიცირებული ზემოთ დასახელებული პუნქტებით, ადვოკატმა ან ფინანსურმა ინსტიტუტმა უნდა დაადგინოს იმ პირის ვინაობა, ვისაც უჭირავს კომპანიის მენეჯერის პოზიცია.¹⁷

FATF-ის მე-10 რეკომენდაციიდან გამომდინარე, ადვოკატმა, გარდა იმისა, რომ უნდა დაადგინოს პირდაპირ მითითებული ბენეფიციარი მესაკუთრის ვინაობა, უნდა გამოიკვლიოს აქვს თუ არა სხვა პირს კონტროლი კომპანიის მენეჯმენტზე და გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე. რეკომენდაცია გულისხმობს, რომ ადვოკატთან წარმოდგენილი დოკუმენტაცია კომპანიის სტრუქტურის მიხედვით უნდა იძლეოდეს იმის საშუალებას, რომ ადვოკატმა დაადგინოს და გამოიკვლიოს ასეთი პირის ვინაობა.

რეკომენდაცია: ფინანსური მონიტორინგის სამსახურის რეკომენდაციით, ადვოკატს ინფორმაცია მმართველობის ორგანოს, პარტნიორების თაობაზე და კომპანიის სტრუქტურის შესახებ ესაჭიროება, რომ დაადგინოს ბენეფიციარი მესაკუთრე. მას შემდეგ რაც ადვოკატი დაადგენს კომპანიის საბოლოო ბენეფიციარ მესაკუთრეს, იგი აღარ არის ვალდებული გამოიძიოს და დამატებითი ინფორმაცია მოიპოვოს მმართველობის სხვა განმახორციელებელი პირების თაობაზე, ფულის გათეთრების პრევენციული ზომები მიღებულად ჩაითვლება.

მიზანშეწონილი იქნება, რომ კომპანიის მფლობელობის და მმართველობის (კონტროლის) განმახორციელებელი სტრუქტურის შესახებ ინფორმაციის დადგენას პირდაპირ ითვალისწინებდეს ადვოკატის დებულებაში ჩამოთვლილი კრიტერიუმები იურიდიული პირის თაობაზე ინფორმაციის გადამოწმებისას. ამასთან, ბენეფიციარი მესაკუთრის გამოვლენისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ 25% წილის ან მეტის მფლობელის ვინაობის დადგენა, შესაძლოა, რომ კომპანიის ნაკლები წილის მქონე პირს ჰქონდეს მცდელობა ფულის გათეთრების, მისი იდენტიფიცირების ვალდებულება კი ადვოკატს არ გააჩნია. ფულის გათეთრების რეგულირების აღნიშნული ხარვეზის თაობაზე მოცემულია ფულის გათეთრების თაობაზე ევროკავშირის მესამე დირექტივის ანალიზისას ჩატარებულ კვლევაში.¹⁸ ამჟამად ევროკავშირი მეოთხე დირექტივის მიღების პროცესშია, რომელიც ჯერ ძალაში არ შესულა და უფრო

¹⁷ FATF Recommendations 2012, 60-61

¹⁸ European Commission DG Internal Market and Services - Budget Final Study on the Application of the Anti-Money

Laundering Directive Service Contract ETD/2009/IM/F2/90, DELOITTE, 2009, 69-70



დახვეწილ დებულებებს ადგენს ფულის გათეთრების სფეროში.

გ) კლიენტის იდენტიფიცირების დაწყების დრო

მნიშვნელოვანია, განისაზღვროს თავად ურთიერთობის რა ეტაპზე უნდა მოხდეს კლიენტის იდენტიფიცირება, როდესაც იწყება ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა თუ როცა ადვოკატს უჩნდება ეჭვი, რომ შესაძლოა, ფულის გათეთრებას ჰქონდეს ადგილი? საქართველოს კანონის „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ მე-6 მუხლის მე-14 პუნქტის მიხედვით, პირის ვინაობის შემოწმება უნდა მოხდეს გარიგების განხორციელებამდე. FATF-ის მე-10 რეკომენდაციით, ასევე ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ბრძანების მიხედვით,¹⁹ ადვოკატი არ არის უფლებამოსილი კლიენტთან დაიწყოს ურთიერთობა ვიდრე არ მოახდენს მის იდენტიფიცირებას. FATF-ის მე-10 რეკომენდაციის განმარტებით ბარათში მოცემულია, რომ მხედველობაში მიიღება პოტენციური კლიენტის შესახებ მიღებული ინფორმაცია, თუ ადვოკატი პოტენციური კლიენტისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ჩათვლის, რომ სახეზეა ფულის გათეთრების რისკი, მან პოტენციური კლიენტის იდენტიფიცირებაც უნდა მოახდინოს.²⁰

რეკომენდაცია: პოტენციური კლიენტის შემთხვევაში, იგულისხმება კლიენტი, რომელთანაც ადვოკატმა დაიწყო ურთიერთობა, თუმცა გარიგება ბოლომდე არ მოუყვანია, კლიენტმა დატოვა ადვოკატის წარმომადგენლობა ან მსგავსი შემთხვევები, როცა ადვოკატმა კონსულტაცია გაუწია კლიენტს და წარმომადგენლობა არ განხორციელებულა ან მხარეებს შორის ურთიერთობა შეწყდა. (ადვოკატის დებულების მე-2 მუხლის „ლ“ პუნქტი) პროფესიული ეთიკის დარღვევის თავიდან აცილების მიზნით, ადვოკატებმა უნდა განიხილონ „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით და ადვოკატის დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებების (მათ შორის, კლიენტის იდენტიფიკაციისა და ვინაობის გადამოწმების მიზნით, შესაბამისი ინფორმაციის შეგროვების) შესახებ პოტენციური კლიენტების წინასწარ ინფორმირების მიზანშეწონილობის საკითხი. კერძოდ, კლიენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, შესაძლებელია, ჩაიდოს ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პრევენციული კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებები.

FATF-ის მე-10 რეკომენდაციის მიხედვით, კლიენტის ვინაობა უნდა გაირკვეს, როდესაც:

- ▶ იწყება ბიზნეს ურთიერთობა;
- ▶ ადვოკატი ახორციელებს ბიზნეს ურთიერთობას;
- ▶ არსებობს ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების ეჭვი; ან
- ▶ ადვოკატს აქვს ეჭვი ადრე მიღებული მომხმარებლის იდენტიფიკაციის

¹⁹ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ბრძანება №2, 2014 წლის 2 ოქტომბერი, მე-5 მუხლი, მე-6 პუნქტი

²⁰ FATF Recommendations 2012, 59



მონაცემების სიზუსტესთან დაკავშირებით ;

დამატებით, FATF-ის რეკომენდაციით და ადვოკატის დებულებით,²¹ ადვოკატს მოეთხოვება კლიენტის იდენტიფიცირება `სხვა სახის საქმიანი ურთიერთობის დამყარებამდე, ასევე საქმიანი ურთიერთობის გაგრძელებამდე, თუ არსებობს ეჭვი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე ან ტერორიზმის დაფინანსებაზე ან ჩნდება ეჭვი კლიენტის არსებული საიდენტიფიკაციო მონაცემების სიზუსტეში ან შესაბამისობაში.

რეკომენდაცია: თუ არ არსებობს მაღალი რისკ-ფაქტორი, ადვოკატს შეუძლია, გამოიყენოს კანონის მე-6 მუხლის მე-14 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება და ბენეფიციარი მესაკუთრის თაობაზე ინფორმაცია საქმიანი ურთიერთობის დამყარების პროცესში მოიპოვოს. მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ FATF-ის რეკომენდაციების მიხედვით, ფინანსურ ინსტიტუტებს, შეუძლიათ უკვე განხორციელებული ტრანზაქციების შემდეგ, ახალი გარიგების დადებისას, თავიდან აღარ მოახდინონ კლიენტის იდენტიფიცირება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეჭვი წარმოეშვა, რომ პირი ჩართულია ფულის გათეთრებაში. აღნიშნული რეკომენდაციის დებულებები ვრცელდება ადვოკატებზეც, ერთი კლიენტის მიერ რამდენიმე გარიგების დადებისას, მას ხელახლა აღარ მოეთხოვება დაადგინოს პირის ვინაობა. FATF-ის რეკომენდაციიდან გამომდინარე, თუ მაგალითად, ადვოკატს გარიგების გასაფორმებლად მიმართავს კომპანია ან ფიზიკური პირი, რომელიც უკვე იდენტიფიცირებულია ფინანსური ინსტიტუტის მიერ, შესაძლოა, რომ ადვოკატმა ამ გარიგებისთვის აღარ მოახდინოს კლიენტის ხელახალი იდენტიფიცირება და დაეყრდნოს ფინანსური ინსტიტუტის უკვე შესრულებულ წესებს კლიენტის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით. (FATF Recommendations, 2013, 62)

დ) მაღალი და დაბალი რისკ ფაქტორები

FATF-ის რეკომენდაციები ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობისას ეფუძნება მაღალი და დაბალი რისკ ფაქტორებს კლიენტის იდენტიფიცირების შემთხვევების განხილვისას. მსგავსად FATF-ის რეკომენდაციისა, ფულის გათეთრების პრევენციული ზომების მიღების თაობაზე ევროკავშირის დირექტივა 2005/60/EC, რომელიც თავის მხრივ, იზიარებს და ეყრდნობა FATF-ის სტანდარტებს, ეფუძნება ასევე მაღალი და დაბალი რისკის გამოვლენის შემთხვევებს.

FATF-ის რეკომენდაციით, მაღალი რისკ ფაქტორების გამოვლენისთვის ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ შემთხვევებზე:

- ▶ ბიზნეს ურთიერთობები მხარეებს შორის უჩვეულოა, მაგ. გეოგრაფიულად დიდი სხვაობაა ფინანსურ ინსტიტუტსა და კლიენტს შორის;
- ▶ სახეზეა არარეზიდენტი კლიენტი;
- ▶ იურიდიულ პირები ან გარიგება დაკავშირებულია ოფშორში რეგისტრირებულ

²¹ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი

ბანხორეგულირებადი პროექტები / ბანკინგები

კომპანიასთან;

- კომპანიებს, რომელთაც აქვთ ნომინალური წილი ან წილი, რომლის დამადასტურებელი კუპონები გააჩნიათ, თუმცა ასეთი წილი არ არის რეგისტრირებული რეესტრში (bearer share);
- ნაღდი ფულის გადამხდელი ბიზნესი;
- ბიზნესის სტრუქტურა ან თავად კომპანია არის ზედმეტად რთული და უჩვეული²².

საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-4¹ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ადვოკატმა უნდა გამოავლინოს კლიენტის ვინაობა. ამავე მუხლის მე-14 პუნქტით, ადვოკატებს რისკების მართვის სათანადო სისტემა უნდა გააჩნდეთ, რაც მაღალი რისკის მქონე გარიგებების გამოვლენას შეეხება, თუმცა არ არის დაკონკრეტებული, თუ რა შეიძლება იყოს მაღალი რისკის მქონე გარიგებები. FATF-ის რეკომენდაციის მიხედვით, ისეთი მომსახურებისას, როგორიცაა საბანკო სექტორი, ანონიმური გადარიცხვები ნაღდი ფულის საშუალებით, არაპირდაპირი ბიზნეს ურთიერთობები ან გადარიცხვები, როცა გადახდა ხორციელდება დაუდგენელი პირისაგან ან ასოციაციისგან, საჭიროა, დამატებითი შემოწმება და კლიენტის ვინაობის დადგენა, ისევე როგორც მომსახურების სახის და მიზნის განსაზღვრა.²³ ასეთ შემთხვევებში, ადვოკატმა ბიზნესს უნდა მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, რაც ადვოკატების მიერ სიფრთხილის გამოჩენას გულისხმობს, რომ მათ დაწვრილებით შეამოწმონ და გამოიკვლიონ ბიზნესის ვინაობა ჩამოთვლილი რისკის მქონე

გარიგებების შემთხვევებში. რაც შეეხება დაბალი რისკის მქონე გარიგებებს, მას მიეკუთვნება მაგალითად 1000-2000 ევროს ფარგლებში გაფორმებული გარიგებები. ასევე, ევროკავშირის მესამე დირექტივა, რომელიც სრულად იზიარებს FATF-ის სტანდარტებს და ეყრდნობა მას, ცალკე გამოყოფს მაღალი და დაბალი რისკის მქონე

გარიგებებს და დეტალურად ჩამოთვლის, თუ რა სახის გარიგებები მიიჩნევა რისკის შემცველად²⁴,

რეკომენდაცია: მიზანშეწონილია, რომ ადვოკატთა ასოციაციის, სხვა პროფესიული ასოციაციების და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ერთობლივი კონსულტაციებით, საქართველოს გეოგრაფიულ-პოლიტიკური ვითარების გაანალიზებით, შემუშავდეს რეკომენდაციები მაღალი რისკ ფაქტორების გამოვლენის მიზნით კლიენტის იდენტიფიცირებისას. აღნიშნული რეკომენდაციები იქნება სახელმძღვანელო ადვოკატებისთვის რისკების გაანალიზების და აღმოჩენის მიზნით.

ე) პრობლემური საკითხები კლიენტის იდენტიფიცირებისას

საქართველოს კანონი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის

²² FATF Recommendations 2012, 63

²³ FATF Recommendations 2012, 63,64

²⁴ DIRECTIVE 2005/60/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 26 October 2005 on the prevention of the use of the financial system for the purpose of money laundering and terrorist financing, article 11-13

ბანხორციელბული პროექტები / გამოცემები

შესახებ ითვალისწინებს დებულებას, რომლის მიხედვით, პირის იდენტიფიცირებისას, ადვოკატები, უფლებამოსილი არიან სარგებლობდნენ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონული ბაზებით.²⁵ FATF-ის რეკომენდაციაც ითვალისწინებს, რომ სახელმწიფომ ხელი შეუწყოს მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს ეფექტური გამოძიების საწარმოებლად, რათა ადვოკატებს ჰქონდეთ წვდომა ბაზებთან და დაადგინონ კლიენტის ვინაობა.²⁶ დღესდღეობით, ადვოკატებს კანონით აქვთ ვალდებულება კლიენტის იდენტიფიცირების, უფლებამოსილება აქვთ, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ბაზებთან ჰქონდეთ წვდომა. თუმცა, ნოტარიუსებისგან განსხვავებით, მათ არ გააჩნიათ წვდომა ელექტრონულ ბაზებთან, პირის იდენტიფიცირების დადგენის მიზნით.²⁷ შესაბამისად, ადვოკატები სრულყოფილად ვერ ახორციელებენ კანონით დადგენილი ვალდებულების შესრულებას - დაადგინონ ან დაადასტურონ კლიენტის იდენტიფიცირება. დამატებით, კლიენტის იდენტიფიცირებისას, ადვოკატებისთვის ძირითად პრობლემას წარმოადგენს ინფორმაციის მოპოვების ვალდებულება, მით უფრო, რომ ადვოკატმა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, კომპანიის თაობაზე ინფორმაცია უნდა შეაგროვოს, რომ დარწმუნდეს ვინ არის კომპანიის მმართველი, მოიპოვოს ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის არსის, მფლობელობის და მმართველობის განმახორციელებელი სტრუქტურის თაობაზე. ინფორმაციის მოძიების პრობლემას ადვოკატებისთვის ასევე ეხება ფულის გათეთრების ვალდებულებების თაობაზე ევროკავშირის დირექტივის ფარგლებში მომზადებული კვლევა.²⁸ კვლევაში აღნიშნულია, რომ ევროკავშირში, ადვოკატისთვის ინფორმაციის მოპოვების პრობლემას წარმოადგენს ინფორმაციის წვდომის საკითხი, საჯაროდ არსებული ინფორმაცია ცოტაა, მითუმეტეს კომპანიის მმართველი სტრუქტურების თაობაზე. საქმეს უფრო ართულებს ოფშორში რეგისტრირებული უცხოური კომპანია, მისი ბენეფიციარი მმართველის თაობაზე ინფორმაციის მოპოვება რთულია და მისი გადამოწმების საშუალება არ არსებობს. ამასთან, კლიენტისგან დამოუკიდებლად ინფორმაციის მოპოვება დაკავშირებულია პირის პირადი ცხოვრების უფლებაზე, პერსონალური ინფორმაციის მოპოვებაზე და დამუშავებაზე, რისი უფლებაც ადვოკატს კლიენტის ნებართვის გარეშე არ აქვს.

რეკომენდაცია: ფინანსური მონიტორინგის სამსახურის რეკომენდაციაა, რომ ადვოკატმა ინფორმაცია მოიპოვოს კლიენტისაგან, თუმცა, ასეთ დროს, შესაძლოა, ხშირი იყოს შემთხვევები, როცა კლიენტი ნაწილობრივ წარმოადგენს ინფორმაციას. ადვოკატს შეუძლია უარი განაცხადოს კლიენტის წარმომადგენლობაზე, თუ ვერ მოახდენს კლიენტისგან წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით მის იდენტიფიცირებას კანონით დადგენილი წესით.

²⁵ მე-6 მუხლის 12 პუნქტი

²⁶ FATF Recommendations 2012, 33, 93

²⁷ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №71 2010 წლის 31 მარტი ქ.თბილისი „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, მე-19 მუხლი

²⁸ European Commission DG Internal Market and Services - Budget Final Study on the Application of the Anti-Money Laundering Directive Service Contract ETD/2009/IM/F2/90, DELOITTE, 2009



ფინანსური მონიტორინგის სამსახურის რეკომენდაციაა, რომ ადვოკატებმა, კლიენტებთან ხელშეკრულებაში გაითვალისწინონ ფულის გათეთრების დანაშაულის თავიდან არიდების დებულებები. მაგალითად, ადვოკატებს შეუძლიათ კლიენტს მიაწოდონ ინფორმაცია ფულის გათეთრების გარიგების პრევენციის თაობაზე და კლიენტისაგან მიიღონ თანხმობა რომ ისინი არ ათეთრებენ ფულს ან არ წარმოადგენენ ტერორისტებს, ან ტერორიზმის დამფინანსებელ ორგანიზაციას ან/და მათთან პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებულ პირს. კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ ადვოკატთა ასოციაციის არაწევრ იურისტებზე „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის რეგულაციები არ ვრცელდება, რაც პრაქტიკაში პრობლემას წარმოადგენს. მაგ. პრაქტიკის მიხედვით ის იურისტები, რომლებიც კანონმდებლობის მიხედვით, ახორციელებენ კლიენტის წარმომადგენლობას მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში ან გასწევნ იურიდიულ კონსულტაციას მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგებების მიმართ და ადვოკატთა ასოციაციის წევრები არ არიან, ფულის გათეთრების საკანონმდებლო რეგულირების გარეშე არიან დარჩენილი. ასევე იურიდიული კოპანიის შემთხვევაში, კომპანიის პარტნიორები საქართველოს კანონის მიხედვით, დასაშვებია, რომ არ წარმოადგენდნენ ადვოკატთა ასოციაციის წევრ ადვოკატებს, რის გამოც მათზე კლიენტის იდენტიფიცირების და საეჭვო გარიგებების გამოვლენის თაობაზე ვალდებულებები არ ვრცელდება. აღნიშნული არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს ადვოკატთა ასოციაციის წევრ ადვოკატებს და სხვა იურისტებს, ვინც იურიდიულ კონსულტაციას უწევს კლიენტს მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგებებში. ეს უკანასკნელი მონაწილეობას არ იღებს ფულის გათეთრების პრევენციულ ზომებში და კანონით დადგენილი ვალდებულებები მასზე არ ვრცელდება.

1.2 პოლიტიკურად აქტიური პირების გამოვლენა

კლიენტის იდენტიფიცირების გაძლიერებულ ზომებს ითვალისწინებს საქართველოს კანონი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ პოლიტიკურად აქტიური პირებისთვის.²⁹ კანონის მე-6¹ მუხლის მიხედვით, გარდა იმისა, რომ ადვოკატმა კლიენტის იდენტიფიცირება უნდა მოახდინოს პოლიტიკურად აქტიურ პირის შემთხვევაში, მან დამატებით უნდა მიიღოს ნებართვა ხელმძღვანელობისაგან ასეთ პირთან საქმიანი ურთიერთობის

²⁹ პოლიტიკურად აქტიური პირი: უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით უკავია სახელმწიფო (საჯარო) პოლიტიკური თანამდებობა ან/და ეწევა მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობას. პოლიტიკურად აქტიური პირები არიან: სახელმწიფოს მეთაური, მთავრობის ხელმძღვანელი და მთავრობის წევრი, აგრეთვე მათი მოადგილეები, სამთავრობო დაწესებულებების ხელმძღვანელი, პარლამენტის წევრი, უზენაესი სასამართლოს წევრი, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, სამხედრო ძალების ხელმძღვანელი პირი, ცენტრალური (ეროვნული) ბანკის საბჭოს წევრი, ელჩი, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს ხელმძღვანელი პირი, პოლიტიკური პარტიის (გაერთიანების) ხელმძღვანელი, პოლიტიკური პარტიის (გაერთიანების) აღმასრულებელი ორგანოს წევრი, სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოღვაწე, ასევე მათი ოჯახის წევრები, აგრეთვე მასთან უშუალო საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირი; პირი პოლიტიკურად აქტიურ პირად ითვლება ზემოაღნიშნული თანამდებობის დატოვებიდან ერთი წლის განმავლობაში;



დამყარების ან გაგრძელების მიზნით. მეორე პირობაა, რომ ასეთი კატეგორიის პირთან ურთიერთობისას, ადვოკატმა უნდა გამოიკვლიოს პოლიტიკურად აქტიური პირის ქონების წარმომავლობა ან ბენეფიციარი პირის ქონების, მათ შორის, ფულადი სახსრების წარმომავლობის საკითხი. ბოლოს, ადვოკატმა უნდა განახორციელოს ასეთ პირთან ურთიერთობის გამძლიერებული მონიტორინგი. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი მოგვიანებით გახდა კანონით გათვალისწინებული პოლიტიკურად აქტიური სტატუსის მქონე პირი, ადვოკატი ვალდებულია, ამ მომენტიდან მიმართოს კანონის მე-6¹ მუხლით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. გარკვეულ შემთხვევებში, კლიენტის იდენტიფიცირების გამძლიერებული ზომები შესაძლებელია, რომ გამოყენებულ იყოს საქართველოს მოქალაქე პოლიტიკურად აქტიურ პირებთან ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან მიმართებით.

1.3 კლიენტის იდენტიფიცირების წესების მესამე პირებზე გადანდობა

„უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-11 პუნქტის და FATF-ის მე-17 რეკომენდაციის თანახმად ადვოკატებმა იდენტიფიკაციის წესების განხორციელება შეიძლება მიანდონ მესამე პირებს, თუმცა მომხარებლის იდენტიფიკაციის ზომებზე საბოლოო პასუხისმგებლობა რჩება ფინანსურ ინსტიტუტს, რომელიც მესამე პირს ეყრდნობა. საქართველოს კანონის დებულებები შესაბამისობაშია FATF-ის მე-17 რეკომენდაციასთან, რომლის მიხედვითაც იდენტიფიცირების წესების მესამე პირებზე გადანდობისას ადვოკატების შემთხვევაში ვრცელდება ფინანსური ინსტიტუტისთვის დადგენილი წესები.

2. პერსონალური მონაცემების დაცვა

ევროსაბჭოს 2005 წლის კონვენცია კლიენტის მონაცემების დამუშავების შემდეგ ინფორმაციის შენახვის ვალდებულებას ადვოკატებს აკისრებს. კლიენტის იდენტიფიცირების მიზნით ადვოკატის მიერ დამუშავებული ინფორმაცია წარმოადგენს კლიენტის პერსონალურ ინფორმაციას „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის და „ფიზიკური პირების პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ ავტომატური საშუალებებით დამუშავებისას“ 1981 წლის ევროსაბჭოს კონვენციის მიხედვით. შესაბამისად, კლიენტის პირადი ინფორმაცია პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონის მოქმედების სფეროში ექვევა. ადვოკატი ვალდებულია მიიღოს სათანადო ზომები ინფორმაციის აღრიცხვის თაობაზე. FATF-ის 11 რეკომენდაციის თანახმადაც იურისტებმა ბიზნეს ურთიერთობის დასრულებიდან ან გარიგების დადებიდან 5 წლის განმავლობაში უნდა შეინახონ ყველა გარიგების შესახებ ჩანაწერი, რაც შესაძლოა, სათანადო ორგანოების მიერ მოთხოვნილ ინფორმაცია შეიცავდეს. „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონი განსაზღვრავს ინფორმაციის შენახვის ვადას, კერძოდ, მე-8 მუხლის მიხედვით ადვოკატი ვალდებულია კლიენტის იდენტიფიცირებისთვის წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გარიგების შესახებ სხვა ინფორმაცია შეინახოს 6 წლის განმავლობაში.



3. კლიენტის ფონდები

კლიენტის ანგარიშების გამოყენება ფასდება როგორც პოტენციური საფრთხე, რამაც შესაძლოა დამნაშავეებს საშუალება მისცეს განათავსონ თანხა ფინანსურ სისტემაში და/ან გამოიყენონ თანხა მათი მოქმედების ნაწილად, მხოლოდ ფინანსური ინსტიტუტების მიერ რამდენიმე შეკითხვის დასმის შემდეგ იურისტის ჩართულობის მიმართ არსებული ნდობისა და კანონიერების გამო. დღესდღეობით, საქართველოს საბანკო კანონმდებლობა და საბანკო მომსახურება ვერ უზრუნველყოფს ადვოკატთა ანგარიშების გახსნას და მართვას ადვოკატის პროფესიული სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად. საბანკო კანონმდებლობა არ უშვებს ნომინალური ანგარიშების გახსნის შესაძლებლობას ადვოკატებისთვის.


4. მონიტორინგის ფუნქცია

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების დანაშაულის ბრძოლასთან ფულის გათეთრების კანონმდებლობით დადგენილ გარიგებებზე მონიტორინგის განხორციელება თავად ადვოკატებს ევალებათ, ზედამხედველობა კი საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას აქვს დაკისრებული.

ფულის გათეთრების პრევენციული ზომების თაობაზე სახელმძღვანელოს პრეზენტაცია გაიმართა 2015 წლის 4 აგვისტოს, სასტუმრო „რუმს ჰოტელ თბილისში“.

გამოცემული სახელმძღვანელოს ჩამოტვირთვა ქართულ და ინგლისურ ენაზე შესაძლებელია საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის ვებ-გვერდიდან: www.alfg.ge





სოლომონ II-ის მიერ ჯრუჭის მონასტრისათვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის სიგელი

1809, აგვისტო

ბეც, Hd-1329

თეთრი ფერის ქაღალდი: 237x 55,5 სმ; შავი მელანი; გვიანი კალიგრაფიული მხედრული. ტექსტის დასაწყისი პირველი ორი სტრიქონი ნაწერია წითელი, ლურჯი, ყვითელი მელნით, ხოლო საკუთარი სახელები, ზოგიერთი სიტყვები და სტრიქონის დასაწყისები უმეტესად სინგურიტაა შესრულებული; რიგ შემთხვევაში საკუთარი სახელები წითელი და ლურჯი მელნით ასომთავრულით არის ნაწერი. ტექსტი იწყება დიდი ზომის ფერადი საღებავებით შესრულებული „ქ“ ასოთი, რომელიც ნაწილობრივ ტექსტის ჩარჩოს ფუნქციასაც ასრულებს. ინიციალი გაფორმებულია მფრინავი ანგელოზით, რომელიც დაფნის გვირგვინს ადგამს დიდმოწამე წმ. გიორგის; მის ქვემოთ მახვილით განგმირული გველეშაპია გამოსახული. წმ. გიორგის ახლავს წარწერა: წა გ ი. ტექსტის ბოლოს წითელი მელნით თხზულდაქსელილი მხედრული მელნით შესრულებულია სოლომონ II-ის და დედოფალ მარიამის ხელრთვები.

საბუთის თავში, ცისფრით დაფერილ და უნაბისფრით შემოწერილ ოთხკუთხეა ორხაზოვანი ჩარჩოს ზედა მარჯვენა კუთხეში, ცის სეგმენტში, წარმოდგენილია მაცხოვარი; ახლავს წითლით შესრულებული ასომთავრული წარწერა: ი-ჯ ქ-ე. ცენტრში უნაბისფერ და მომწვანო ლურჯ მედალიონში თხზულდაქსელილი მხედრულით, შავი მელნით შესრულებული წარწერაა; ორად განაწილებული ასომთავრული ტექსტი ასევე განთავსებულია ჯრუჭის ტაძრის გუმბათის ორივე მხარეს: წა ჯრუჭის | მონ(ა)სტ(ე)რი. მის ქვემოთ, მრავალსიუფეტანი კომპოზიციაში ჯრუჭის მონასტრის და სამრეკლოს ფონზე წარმოდგენილია ცხენზე ამხედრებული წმ. გიორგი, რომელიც მახვილით გმირავ გველეშაპს. მის წინ მუხლზე მდგომი, წმინდანისაკენ ხელბეგაწვდილი ფიგურაა. ის გრაგნილს აწვდის წმ. გიორგის. ჩოხით მოსილ ფაფახიან ფიგურათანრასთან იკითხება: მეფე სოლომონ | მეორე, მე არჩილისა. სოლომონ II-ის ზემოთ ღრუბელზე გამოსახულ ანგელოზს ხელით გვირგვინი უპყრია; ახლავს წარწერა: დაგადგნა თ-ნ თავსა შენსა გვრგვნი.



ღმხარეთა თანასწორობისა და შევიწროვების მონიტორინგი სისხლის სამართლის პროცესში

გასულ წელს საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციამ დაიწყო ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მიერ დაფინანსებული პროექტის „მხარეთა თანასწორობისა და შევიწროვების მონიტორინგი სისხლის სამართლის პროცესში“ განხორციელება. პროექტი მიზნად ისახავს დაცვის მხარის მიერ სასამართლოს მემშვეობით მტკიცებულებათა მოპოვების 2014-2015 წლების მდგომარეობის შეფასებას თბილისის და რუსთავის სასამართლოებში და რეკომენდაციების მომზადებას მტკიცებულებათა პროცესში დაცვის მხარის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით.

პროექტის ფარგლებში თბილისის და რუსთავის საქალაქო სასამართლოდან, აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს რაიონული სასამართლოებიდან და თბილისის სააპელაციო სასამართლოდან გამოთხოვილ იქნა სასამართლო განჩინებები დაცვის მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობების თაობაზე. გარდა ამისა, გამოკითხულ იქნა სისხლის სამართლის პრაქტიკოსი ადვოკატები თბილისის მასშტაბით დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში არსებული პრობლემების უკეთ გამოკვლევის მიზნით. მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე პროექტის ექსპერტებმა მოამზადეს პირველადი კვლევა. იგეგმება სამუშაო შეხვედრები იუსტიციის სამინისტროს, პარლამენტის, მოსამართლეების, ადვოკატთა ასოციაციის, იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებთან საბოლოო რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.

იურიდიული დახმარებისა და სტრატეგიული სამართალწარმოების სარკინები ქვემო ქართლში

2016 წლის იანვრიდან სიფა, პრო ბონო საქმიანობის ფარგლებში, არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო განვითარების სააგენტო“-სთან (სიდა) ერთად ახორციელებს პროექტს „იურიდიული დახმარებისა და სტრატეგიული სამართალწარმოების სერვისები ქვემო ქართლში“. პროექტის მიზანია ქალებისა და ეთნიკურ უმცირესობებში ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებების კუთხით, ეთნიკური და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტების გამოვლენა, დაზარალებულთათვის იურიდიული კონსულტაციის გაწევა, სასამართლოში ადვოკატირება, სტრატეგიული საქმეების გამოკვეთა და სააპელაციო, უზენაეს და სტრასბურგის სასამართლოში საქმის წარმოება.

პროექტი ხორციელდება აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტის (EWMI) „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით და გრძელდება 1 წელი.



ნინო ბოგვერაძე (ეს “კორმაძის საადვოკატო ბიურო”-ს ადვოკატი; ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დოქტორანტი; ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი) თბილისი, 2016 წელი

◇ 1958 წლის ნიუ იორკის კონვენციის V(1)(ე) მუხლი: სასამართლოს დისკრეცია თუ ვალდებულება?

შესავალი

თანამედროვე საერთაშორისო ბიზნეს გარემოში განსაკუთრებულად დიდი ინტერესია საერთაშორისო არბიტრაჟის მიმართ. საერთაშორისო ტრანზაქციებში მონაწილე მხარეები სულ უფრო ხშირად ახდენენ დავის გადაწყვეტის ამ მექანიზმის არჩევას, დავის გადაწყვეტის სისწრაფის, ეფექტურობის, სანდოობის, ნეიტრალიტეტისა და სხვა ფაქტორების გამო. შესაბამისად, თანამედროვე მსოფლიოში დიდი მნიშვნელობა აქვს იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების მექანიზმს, რომელიც საერთაშორისოდ მიიჩნევა და საჭირო ხდება ასეთი გადაწყვეტილების სხვა ქვეყანაში ცნობა და აღსრულება. უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს ნიუ იორკის კონვენცია¹. მისი V(1)(ე) მუხლი², რომელიც უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის ერთ-ერთი საფუძველია, სადავო გახდა არამართო სამეცნიერო ლიტერატურაში, არამედ პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისითაც სასამართლოს გადაწყვეტილებებში ასახული ამ მუხლის განსხვავებული ინტერპრეტაციის შედეგად. შესაბამისად, სამეცნიერო ლიტერატურასა და სხვადასხვა ქვეყნის პრეცედენტულ სამართალში არსებობს არაერთგვაროვანი მიდგომა კონვენციის V(1)(ე) მუხლის მართებულ ანალიზთან დაკავშირებით, კერძოდ, წარმოშობს თუ არა საარბიტრაჟო განხილვის ადგილის სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება სხვა ქვეყნის სასამართლოსათვის უპირობო საფუძველს, უარი თქვას ამ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე, თუ V(1)(ე) მუხლი ანიჭებს დისკრეციას აღსრულების საკითხის განმხილველ სასამართლოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გადაწყვიტოს, ცნოს და აღასრულოს გაუქმებული

¹ უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების კონვენცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მიღებულია ნიუ-იორკში 1958 წლის 10 ივნისს (შემდგომში “ნიუ-იორკის კონვენცია” ან “კონვენცია”)

² მუხლი V(1): “საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე შეიძლება უარის თქმა იმ მხარის მოთხოვნით, რომლის წინააღმდეგაც არის იგი მიმართული, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მხარე იმ ადგილის კომპეტენტურ ხელისუფლებას, სადაც მოითხოვება გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, წარუდგენს იმის მტკიცებულებას, რომ: (ა)..(ბ)..(გ)..(დ)..(ე) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ არის საბოლოო მხარეებისათვის ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გაუქმებულია ან შეჩერებულია იმ ქვეყნის კომპეტენტური ხელისუფლების მიერ, სადაც ან რომლის სამართლის შესაბამისადაც იქნა გადაწყვეტილება გამოტანილი”



საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, თუ უარი თქვას ასეთი გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე.

მეცნიერები და სხვადასხვა ქვეყნის, ძირითადად საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების, სასამართლოს გადაწყვეტილებები საკმაოდ საინტერესო არგუმენტებით ახდენენ თავიანთი პოზიციის დასაბუთებას V(1)(ე) მუხლის ინტერპრეტაციასთან მიმართებაში. წინამდებარე სტატიაში განხილულია სწორედ ეს ძირითადი არგუმენტები, კონვენციის შექმნის მოკლე ისტორია და მოყვანილია საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოს რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება.

სტატია ეხება კონვენციის V(1)(ე) მუხლის მხოლოდ იმ ნაწილის ინტერპრეტაციის საკითხებს, რომლებიც უკავშირდება საარბიტრაჟო განხილვის ადგილის სასამართლოს მიერ გაუქმებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების კონვენციის სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლოების მიერ ცნობასა და აღსრულებას.

2. ნიუ იორკის კონვენციის მნიშვნელობა და მისი ინტერპრეტაციის პრობლემატიკა

ნიუ იორკის კონვენციის ზოგიერთი დებულების ინტერპრეტაციასთან მიმართებით სხვადასხვა ქვეყნის პრეცედენტულ სამართალსა და ლიტერატურაში დამკვიდრებული განსხვავებული მიდგომების მიუხედავად, აღიარებულია, რომ კონვენცია მისი ხელშემკვრელი სახელმწიფოებისათვის განსაზღვრავს უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების ერთიან საერთაშორისო სტანდარტს. მისი წინამორბედი კონვენციების³ მცდელობისაგან განსხვავებით, მან მოახერხა უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების უფრო ეფექტური და ლიბერალური სამართლებრივი მექანიზმის ჩამოყალიბება⁴. კონვენციამ უზრუნველყო უფრო მარტივი და ეფექტური სისტემის შექმნა უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულებისათვის და მნიშვნელოვნად გააუმჯობესა საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის კანონმდებლობა და პრაქტიკა⁵.

³ 1923 წლის ჟენევის პროტოკოლი საარბიტრაჟო დათქმების შესახებ; 1927 წლის ჟენევის კონვენცია უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ.

⁴ კონვენციამ აღმოფხვრა 1927 წლის ჟენევის კონვენციით განსაზღვრული ისეთი მექანიზმები, რომლებიც მნიშვნელოვნად აფერხებდნენ ცნობისა და აღსრულების პროცედურის ეფექტურად წარმართვას: (1) ე.წ. "ორმაგი აღსრულების" ("double exequatur") მოთხოვნის გაუქმება, რომლის მიხედვითაც სხვა ქვეყანაში გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე მოთხოვნის უფლების განხორციელებამდე, მხარეს სავალდებულო წესით უნდა მოეპოვებინა ცნობისა და აღსრულების თაობაზე განჩინება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის სასამართლოდან; (2) მტკიცების ტვირთის განსხვავებული ფორმულირება: მტკიცების ტვირთის დაკისრება იმ მხარისათვის, რომელიც ითხოვს ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმას, ნაცვლად იმ მხარისა, რომელიც ითხოვს გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას; (3) ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლების ამომწურავად ჩამოყალიბება, სადაც უარის თქმის საფუძვლად აღარ შეიძლება იქნას გამოყენებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შეუსაბამობა სახელმწიფოს სამართლებრივ პრინციპებთან.

⁵ Renata Brazil-David, "Harmonization and Delocalization of International Commercial Arbitration", Journal of



აღიარებულია, ასევე, ის, რომ კონვენციის მიზანი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებისათვის ხელშეწყობაა. იგი “ეფუძნება აღსრულების მომხრე განწყობას, ხელს უწყობს და უზრუნველყოფს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებას და ამით ემსახურება საერთაშორისო ვაჭრობისა და კომერციის ინტერესებს, ქმნის კომერციული უსაფრთხოების დამატებით საშუალებას საერთაშორისო ტრანზაქციებში მონაწილე მხარეებისთვის”⁶.

1958 წლის მაისსა და ივნისში ჩატარებული საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ გაერთიანებული ერების კონფერენციის მოკლე ანგარიში ნათლად ასახავს მონაწილეების განზრახვას კონვენციასთან მიმართებით: “არსებითია, რომ დადგინდეს აბსოლუტურად ნათელი, მკაფიო კრიტერიუმი, რომელიც შეუძლებელს გახდის განსხვავებულ ინტერპრეტაციებს”⁷. ამ განზრახვის მიუხედავად კონვენციამ ვერ უზრუნველყო ზოგიერთი მისი დებულების იმგვარად ჩამოყალიბება, რომ გამხდარიყო “აბსოლუტურად მკაფიო”⁸ და არ მოეხდინა “განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობა”⁹. მართლაც, სწორედ იმის გამო, რომ არსებობს გარკვეული ბუნდოვანება კონვენციის ზოგიერთი მუხლის ფორმულირებაში, ეს იძლევა შესაბამისი დებულების განსხვავებული ანალიზის შესაძლებლობას, რამაც კონვენციის მიღებიდან დღემდე წარმოშვა ისეთი ვითარება, რომ ფაქტობრივად “არ არსებობს [ხელშემკვრელი სახელმწიფოების] სასამართლოების ერთიანი უნიფიცირებული მიდგომა კონვენციის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით”¹⁰. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითი კონვენციის V(1)(ე) მუხლია, რომელმაც ცხარე კამათი წარმოშვა მის ანალიზსა და გამოყენებასთან მიმართებით.

კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოების სასამართლოები განსხვავებულად ახდენენ ამ მუხლის ინტერპრეტირებას, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებზე, რომლებიც გაუქმებულია საარბიტრაჟო განხილვის ადგილას¹¹.

კონვენციის მიხედვით ცალსახაა და დებატებს არ იწვევს საკითხი იმის თაობაზე, რომ უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმა სასამართლოს შეუძლია (მხარის მოთხოვნისა და შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს კონვენციის V მუხლით დადგენილი

International Arbitration, (Kluwer Law International 2011 Volume 28 Issue 5), p. 447

⁶ ნილ კაპლანი, “შესავალი”, “კომერციული არბიტრაჟის საერთაშორისო საბჭო, ICC-ს სახელმძღვანელო 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციის განმარტებაზე: ცნობარი მოსამართლეებისათვის”, გამოცემულია “კომერციული არბიტრაჟის საერთაშორისო საბჭოს” მიერ, 2013.

⁷ Carolyn B. Lamm, Comments on the Proposal to Amend the New York Convention in Albert Jan van den Berg (ed), 50 Years of the New York Convention: ICCA International Arbitration Conference, ICCA Congress Series, 2009 Dublin Volume 14 (Kluwer Law International 2009), p. 697.

⁸ Carolyn B. Lamm, *supra*, n. 7, p. 697.

⁹ Carolyn B. Lamm, *supra*, n. 7, p. 697.

¹⁰ Renata Brazil-David, *supra*, n. 5, p. 447.

¹¹ Renata Brazil-David, *supra*, n. 5, p. 447.



რომელიმე საფუძველი. ანუ, ამ მუხლით განსაზღვრული ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები ამომწურავია და ხელშემკვრელი სახელმწიფოებისათვის არ იძლევა შესაძლებლობას, მოახდინონ მათ კანონმდებლობაში ამ დებულებისაგან განსხვავებული უარის თქმის დამატებითი საფუძვლების დადგენა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ საფუძვლების ამომწურავად განსაზღვრის მიზანი უკავშირდება სწორედ კონვენციის მიღების უპირველეს მიზანს: ხელი შეუწყოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებას, შესაბამისად, მოახდინოს ამ გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლების მინიმალიზაცია, რაც, თავის მხრივ, აუცილებელი წინაპირობაა საერთაშორისო არბიტრაჟის განვითარებისათვის, რომელიც, განსაკუთრებულად თანამედროვე საერთაშორისო ბიზნეს გარემოსათვის, სულ უფრო და უფრო მიმზიდველი ინსტიტუტი ხდება.

აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლო პრაქტიკა და პრაქტიკოსებისა, თუ მეცნიერების განსხვავებული მოსაზრებები ნათლად მიუთითებს, რომ არ არსებობს ერთიანი პოზიცია კონვენციის V(1) (ე) მუხლთან მიმართებით: კამათს იწვევს საკითხი იმის თაობაზე, ანიჭებს თუ არა ეს მუხლი სასამართლოს დისკრეციას, უარი თქვას ცნობასა და აღსრულებაზე ან ცნოს და აღასრულოს უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, რომ იგი გაუქმებულია საარბიტრაჟო განხილვის ადგილის სასამართლოს მიერ; თუ სასამართლოს გააჩნია დისკრეცია, არის თუ არა იგი აბსოლუტური, ან არსებობს თუ არა სასამართლოსათვის ამ უფლებამოსილების განხორციელების გარკვეული შეზღუდვის ფარგლები.

3. ნიუ იორკის კონვენციის V(1)(ე) მუხლის ტექსტობრივი ანალიზი

უპირველეს ყოვლისა, სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ დოქტრინაში წარმომოხილი არაერთგვაროვანი პოზიციის მიზეზი გახდა კონვენციის ინგლისური ტექსტის V(1) მუხლის პირველ წინადადებაში გამოყენებული ფრაზა “საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე შეიძლება უარის თქმა”¹², რომელიც ამ ფრაზის სიტყვასიტყვითი (ლიტერალური) მნიშვნელობის შესაბამისად სიტყვა “შეიძლება”-ს¹³ გათვალისწინებით სასამართლოს დისკრეციაზე უნდა მეტყველებდეს. არ შეიძლება არ დაეთანხმო პოლსონს (Paulsson), რომელიც აცხადებს, რომ პირობითი სიტყვა “შეიძლება” (“may”) თვალში ხვდება ყველა იურისტს, რადგან იგი აუცილებლად გულისხმობს “ან არ შეიძლება”-ს (“or may not”)¹⁴. აღნიშნული მოსაზრების კრიტიკოსები, რომლებიც უარყოფენ სასამართლოს დისკრეციის არსებობას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან მიმართებით, თავია-

¹² კონვენციის ინგლისური ტექსტის შესაბამისად “Recognition and enforcement of the award *may* be refused...if..(e) The award..has been set aside by a competent authority of the country in which, or under the law of which, that award was made” - “საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე შეიძლება უარის თქმა .. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი .. (ე) ..საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გაუქმებული.. იქნა იმ ქვეყნის კომპეტენტური ხელისფულების მიერ, სადაც ან რომლის სამართლის შესაბამისადაც იქნა გადაწყვეტილება გამოტანილი”.

¹³ ინგლისური ტექსტის მიხედვით “may”.

¹⁴ Jan Paulsson “Enforcing Arbitral Awards Notwithstanding A Local Standard Annulment (LSA)” the ICC International Court of Arbitration Bulletin Vol. 9/1-May 1998, p. 17.



ნთი არგუმენტების გასამყარებლად უთითებენ კონვენციის ფრანგულ ტექსტზე, რომელიც XVI მუხლის¹⁵ შესაბამისად ინგლისურ, ჩინურ, რუსულ და ესპანურ ტექსტებთან ერთად თანაბრად ავთენტურია¹⁶. ფრანგულ ტექსტში სიტყვა “შეიძლება”-ს ნაცვლად გამოყენებულია სიტყვა “უნდა”¹⁷, რაც, ზოგიერთი ავტორის მოსაზრებით, კრძალავს დისკრეციას¹⁸. მართლაც, ფრანგული ტექსტის წმინდა ლიტერალური ანალიზით V(1) მუხლი უნდა გამორიცხავდეს სასამართლოს დისკრეციას და ავალდებულებდეს აღსრულების საკითხის განმხილველ სასამართლოს, უარი თქვას აღსრულებაზე V(1) მუხლში დადგენილი რომელიმე, მათ შორის V(1)(ე) მუხლით განსაზღვრული, საფუძვლის არსებობისას. თუმცა, ფრანგული ტექსტის ასეთ ინტერპრეტაციასთან მიმართებაში საწინააღმდეგო არგუმენტები იქნა გამოთქმული. პოლსონი (Paulsson) ამტკიცებს, რომ ფრანგული ვერსიის ლიტერალური ინგლისური თარგმანი (“აღსრულებაზე უარი არ უნდა ითქვას, თუ”) თავისთავად არ გამორიცხავს დისკრეციას¹⁹. ბორნი (Born) მიიჩნევს, რომ ფრანგული ტექსტი განხილული უნდა იქნას, როგორც ბუნდოვანი იმის დაშვებით, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხვდებიან V მუხლის გამონაკლისებში არ აღსრულდება, თუმცა [ტექსტი] ამ შედეგის დადგომას სავალდებულოდ არ მოითხოვს²⁰. აქვე, აღსანიშნავია, რომ საფრანგეთი ის ერთადერთი ქვეყანაა, სადაც არსებობს სასამართლოების გამოკვეთილი მიდგომა საფრანგეთის სასამართლოების მიერ იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულების შესაძლებლობასთან დაკავშირებით, რომლებიც გაუქმებულია საარბიტრაჟო განხილვის ადგილის სასამართლოს მიერ.

იმ მოსაზრების მხარდასაჭერად, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაზე უარის თქმა სასამართლოს დისკრეციაა, ნადია დარვაზე (Nadia Darwazeh) კონვენციის შექმნის ისტორიაზე მიუთითებს და აანალიზებს კონვენციის სხვადასხვა მუხლებში გამოყენებულ ტერმინოლოგიურ ენას ერთობლიობაში იმის განსაზღვრად, იყო თუ არა კონვენციის V(1) მუხლში სიტყვა “შეიძლება”-ს მითითება სასამართლოს დისკრეციის განმსაზღვრელი და რომ მის შემქმნელებს განზრახული ჰქონდათ სასამართლოსათვის დისკრეციის მინიჭება²¹. კონვენციის თავდაპირველი

¹⁵ ნიუ იორკის კონვენცია, მუხლი XVI (1) “ეს კონვენცია, რომლის ინგლისური, ესპანური, ჩინური, რუსული და ფრანგული ტექსტები თანაბრად ავთენტურია, ინახება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არქივში”.

¹⁶ “კონვენციის რუსული და ჩინური ტექსტები ინგლისური ტექსტის იდენტურია, ესპანური ტექსტი აღნიშნავს, რომ აღსრულებაზე შეიძლება უარი ითქვას, იმის მიუთითებლად, რომ აღსრულებაზე უნდა ითქვას უარი” Gary B. Born, *International Arbitration: Law and Practice Chapter 17 Recognition and Enforcement of International Arbitral Awards*, Volume (Kluwer International 2012), p. 380.

¹⁷ “la reconnaissance et l'exécution de la sentence ne seront refusées ..que si..”.

¹⁸ Philippe Fouchard, “La Portée Internationale de L'annulation de la Sentence Arbitrale dans Son Pays D'origine”, 1997, p. 344.

¹⁹ Jan Paulsson, *supra*, n. 14, at 17.

²⁰ Gary B. Born, *International Arbitration: Law and Practice Chapter 17 Recognition and Enforcement of International Arbitral Awards*, Volume (Kluwer International 2012), p. 381.

²¹ Nadia Darwazeh, “Article V(1) (e) in Helbert Kronke, Patricia Nacimiento, et al. (eds), *Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards: A Global Commentary on the New York Convention*” Kluwer Law International 2010, p. 309.



პროექტი მომზადდა საერთაშორისო სავაჭრო პალატის (International Chamber of Commerce – “ICC”) მიერ, რომელიც, ჟენევის კონვენციის იდენტურად “შეუძლია”-ს (“may”) ნაცვლად განსაზღვრავდა, რომ უარის თქმის საფუძვლების, მათ შორის, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლის, არსებობის შემთხვევაში არ “უნდა”²² მომხდარიყო აღსრულება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა საბჭომ (Economic and Social Council – “ECOSOC”), რომელსაც წარედგინა ICC-ის პროექტი, მოახდინა მისი ცვლილება. ერთ-ერთი ცვლილება შეეხო სწორედ სიტყვა “უნდა”-ს (“shall”), რომელიც შეიცვალა სიტყვით “შეუძლია” (“may”)²³. ამასთან, თუ მოვახდენთ კონვენციის III, IV და VII მუხლების ტექსტობრივ ანალიზს, რომლის ენაც, აქ ასახული დებულებების მავალდებულებელი ხასიათი, რადიკალურად განსხვავდება კონვენციის იმავე ტექსტში ასახულ V(1) მუხლში გამოყენებულ ტექსტობრივად ფაკულტატურ ჩანაწერთან (“შეუძლია” (“may”)), ნათელი ხდება, რომ კონვენციის შემქმნელებს განზრახული ჰქონდათ სასამართლოსათვის დისკრეციის მინიჭება²⁴. სიტყვა “shall” (“უნდა”), რომელსაც ინგლისურ ტექსტში მავალდებულებელი ხასიათი აქვს, გამოყენებულია კონვენციის III²⁵, IV²⁶ და VII²⁷ მუხლებში. სწორად აღნიშნავს ბორნი (Born), როდესაც ამბობს,

²² ინგლისური სიტყვა “shall”, რომელიც კონტექსტში “უნდა”-ს ანუ გარკვეული ქმედების მავალდებულებლად უნდა ჩაითვალოს.

²³ Nadia Darwazeh, supra, n. 21, p. 309.

²⁴ Nadia Darwazeh, supra, n. 21, p. 309.

²⁵ New York Convention, Article III “Each Contracting State *shall* recognise arbitral awards as binding and enforce them in accordance with the rules of procedure of the territory when the award is relied upon, under the conditions laid down in the following articles. There *shall not* be imposed the substantially more onerous conditions or higher fees or charges on the recognition or enforcement of arbitral awards to which this Convention applies than are imposed on the recognition or enforcement of domestic arbitral awards.” ნიუ იორკის კონვენცია, მუხლი III “ყოველი ხელშემკრელი სახელმწიფო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს ცნობს როგორც სავალდებულოს და აღსრულებს მათ იმ ტერიტორიის პროცესუალური ნორმების შესაბამისად, სადაც მოითხოვება ამ გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება, ქვემოთ მოცემულ მუხლებში დადგენილი პირობებით. იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების მიმართ, რომლებისთვისაც გამოიყენება ეს კონვენცია, არ უნდა დაწესდეს არსებითად უფრო მძიმე პირობები ან უფრო მაღალი ზაფი ან მოსაკრებლები იმასთან შედარებით, რომლებიც არსებობს ადგილობრივი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულებისათვის”.

²⁶ New York Convention, Article IV(1): “To obtain the recognition and enforcement mentioned in the preceding article, the party applying for recognition and enforcement *shall*, at the time of application, supply: (a) The duly authenticated original award or a duly certified copy thereof. (b) The original agreement referred to in article II or a duly certified copy thereof”. ნიუ იორკის კონვენცია, მუხლი IV(1): “წინა მუხლში აღნიშნული ცნობისა და აღსრულების მისაღებად, მხარემ, რომელიც ითხოვს ცნობასა და აღსრულებას, ამ მოთხოვნით მიმართვისას უნდა წარადგინოს: ა) სათანადოდ დამოწმებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დედანი, ან მისი სათანადო წესით დამოწმებული ასლი. ბ) II მუხლით გათვალისწინებული შეთანხმების დედანი, ან მისი სათანადო წესით დამოწმებული ასლი”.

²⁷ New York Convention, Article VII (1), “The provisions of the present Convention *shall not* affect the validity of multilateral or bilateral agreements concerning the recognition and enforcement of arbitral awards entered into by the Contracting States nor deprive any interested party of any right he may have to avail himself of an arbitral award in the manner and to the extent allowed by the law or the treaties of



რომ “კონვენციაში არაფერი ავალდებულებს ხელშემკვრელ სახელმწიფოს, უარი თქვას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობაზე. კონვენცია ითხოვს მხოლოდ იმას, რომ ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა ცნონ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები (და საარბიტრაჟო შეთანხმებები) კონკრეტულ გარემოებებში. არც V მუხლი, არც კონვენციის ძირითადი სტრუქტურა და მიზანი, არ აწესებს საწინააღმდეგო ვალდებულებას, რომ არ მოხდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა”²⁸.

4. ლოკალიზაციის თეორია v. დელოკალიზაციის თეორია

ამ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით აღსანიშნავია რადიკალურად განსხვავებული ორი ძირითადი თეორიის: ე.წ. ლოკალიზაციის თეორიისა და დელოკალიზაციის თეორიის მომხრეების მიერ მოხმობილი არგუმენტაცია თავიანთი პოზიციის მხარდასაჭერად.

ლოკალიზაციის თეორიის, რომელიც დღესდღეობით შეიძლება დომინანტურად მივიჩნიოთ, მხარდამჭერები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ საარბიტრაჟო განხილვის ადგილს და ამ ადგილის სამართლის გამოყენებას მთელი საარბიტრაჟო პროცესის, მათ შორის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მიმართ. “საარბიტრაჟო განხილვის ადგილის სამართალი არეგულირებს და მართავს საარბიტრაჟო ტრიბუნალის/ორგანოს ჩამოყალიბებასა და ფორმირებას, ისევე როგორც გამოიყენება საარბიტრაჟო პროცედურასა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ფორმასთან მიმართებაში. საარბიტრაჟო განხილვის ადგილის სასამართლოები ზედამხედველობას უწევენ არბიტრაჟის პროცედურული ასპექტების სწორ ფუნქციონირებას და პროცესის ბოლოს ადასტურებენ ან აუქმებენ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას. სხვა სიტყვებით, ამ მიდგომის მიხედვით, ადგილი ახდენს არბიტრაჟის მიერთებას იმ სახელმწიფოს სამართლებრივ წესრიგთან, სადაც იგი ტარდება”²⁹. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ამ თეორიის მომხრეები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე საარბიტრაჟო განხილვის ადგილის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და მიიჩნევენ, რომ ეს გადაწყვეტილება წარმოშობს კონვენციის სხვა ნებისმიერი ხელშემკვრელი ქვეყნის სასამართლოსათვის გაუქმებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის უპირობო საფუძველს

the country where such award is sought to be relied upon”. ნიუ იორკის კონვენცია, მუხლი VII (1), “ამ კონვენციის დებულებები არ ახდენს გავლენას ხელშემკვრელ სახელმწიფოთა მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულებასთან დაკავშირებით დადებულ მრავალმხრივ ან ორმხრივ შეთანხმებათა ნამდვილობაზე, და არ ართმევს არც ერთ დაინტერესებულ მხარეს უფლებას, გამოიყენოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება იმ წესითა და იმ ფარგლებში, რაც დაშვებულია იმ ქვეყნის კანონმდებლობით ან საერთაშორისო ხელშეკრულებით, სადაც მოითხოვება ასეთი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება”.

²⁸ Gary B. Born, *supra*, n. 20, p. 380.

²⁹ Emmanuel Gaillard, *Enforcement of Awards Set Aside in the Country of Origin: the French Experience* in Albert Jan van den Berg (ed), *Improving the Efficiency of Arbitration Agreements and Awards 40 Years of Application of the New York Convention*, ICCA Congress Series, 1998 Paris Volume 9 (Kluwer Law International 1999), p. 505.



(კონვენციის V(1)(ე) მუხლის შესაბამისად).

რადიკალურად განსხვავებულია საარბიტრაჟო ინსტიტუტის არსთან დაკავშირებით დელოკალიზაციის თეორიის მიდგომა, რომლის მიხედვითაც არბიტრაჟი აღიქმება ნებისმიერი ქვეყნის იურისდიქციისა და მართლწესრიგისაგან განყენებულად. ამ თეორიის მიხედვით არბიტრაჟი უნდა იქნას განცალკევებული საარბიტრაჟო განხილვის ადგილის ქვეყანაში მოქმედი იმპერატიული სამართლის ნორმებისაგან, რომლებიც ახდენენ არბიტრაჟის საქმიანობაში ჩარევას, რადგან საერთაშორისო არბიტრაჟის მხარეები ხშირად ირჩევენ საარბიტრაჟო განხილვის ადგილს მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მათთვის მოსახერხებელია და არა იმის გამო, რომ უპირატესობას ანიჭებენ ამ კონკრეტული ქვეყნის ადგილობრივ კანონებს. რეალურად მხარეებმა შეიძლება არც კი იცოდნენ იმის შესახებ, რომ საარბიტრაჟო განხილვის ადგილის არჩევისას მათთვის სავალდებულო გახდება ამ კონკრეტული ადგილის იმპერატიული სამართლის ნორმები. ამიტომ, ამტკიცებენ, რომ არბიტრაჟი, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმი, შეიძლება უფრო ეფექტური იყოს, თუ იგი გათავისუფლდება საარბიტრაჟო განხილვის ადგილის კანონების ადგილობრივი “მახასიათებლებისაგან”³⁰.

გაილარდი (Gaillard) შემდეგნაირად ხსნის დელოკალიზაციის თეორიის მიხედვით არბიტრაჟის შესახებ ხედვას: “არბიტრები საქმიანობენ საერთაშორისო იურისდიქციაში, რომელიც განცალკევებულია ნებისმიერი კონკრეტული ეროვნული იურისდიქციისაგან და რომელსაც არეგულირებს მხოლოდ საარბიტრაჟო ხელშეკრულება. “საარბიტრაჟო ტრიბუნალები საჭიროებენ კონკრეტული ქვეყნის სასამართლოებს მხოლოდ იმის გამო, რომ არბიტრაჟის ადგილი ამ ქვეყანაშია. არბიტრები თავიანთ უფლებამოსილებებს არ იღებენ იმ სახელმწიფოსაგან, სადაც საარბიტრაჟო განხილვის ადგილია, არამედ იმ სამართლებრივი წესრიგის ერთიანობიდან, რომლებიც აღიარებენ, კონკრეტული პირობების საფუძველზე, საარბიტრაჟო შეთანხმებისა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნამდვილობას. ამიტომაც, ხშირად ამბობენ, რომ არბიტრებს არ გააჩნიათ იურისდიქცია. მთელი რიგი პრაქტიკული შედეგები გამომდინარეობს ამ შეხედულებიდან. არბიტრები არ არიან ვალდებული, გამოიყენონ საარბიტრაჟო განხილვის ქვეყანაში ძალაში მყოფი პროცესუალური ნორმები. მათ, ასევე, აქვთ უფრო ფართო დისკრეცია, განსაზღვრონ მატერიალური სამართლის ნორმები, რომლებიც გამოიყენება დავის მიმართ”³¹.

ამ თეორიის მიხედვით არბიტრაჟის წარმოსახვის მხატვრულ აღწერას გვთავაზობს იანისიევიჩი (Janicijevic): “ადგილობრივი სამართლებრივი სისტემებისაგან უფრო მეტი დამოუკიდებლობით არბიტრაჟი იძენს ახალ თვისებებს – იგი ხდება დელოკალიზებული, რაც ნიშნავს იმას, რომ იგი ტიპიკურად სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივი სისტემების ზედაპირზე, არ ახდენს რა არცერთ მათგანთან მიმაგრებას, და უმეტესწილად ემსახურება საერთაშორისო ვაჭრობის ინტერესებს”³².

³⁰ Renata Brazil-David, *supra*, n. 5, p. 454, citing Jan Paulsson, *Delocalization of International Commercial Arbitration: When and Why it Matters*, 32 Int'l & Comp. L.Q. 53 (1983), at 55

³¹ Emmanuel Gaillard, *supra*, n. 29, p. 505

³² Dejan Janicijevic, *Delocalization in International Commercial Arbitration, Law and Politics*, Vol. 3, #1,



ამ თეორიის მიხედვით არბიტრაჟი განცალკევებულია არამართო საარბიტრაჟო განხილვის ადგილის, არამედ ნებისმიერი ქვეყნის იურისდიქციის პროცესუალური და მატერიალური ნორმებისაგან. დელოკალიზებული არბიტრაჟის ფუნდამენტური მახასიათებელი არის ის, რომ იგი ეფუძნება მხარეთა შეთანხმებას, ამასთან, საარბიტრაჟო პროცედურამ არ უნდა დაარღვიოს საერთაშორისო საარბიტრაჟო პროცესის ფუნდამენტური ნორმები, რომელიც აღიარებულია ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც არბიტრაჟი იწარმოება. ეს ნორმები მოიცავს “ბუნებითი სამართლის” (ან “სათანადო სამართლებრივი პროცედურის”) არსს, გაგებას და “ტრანსნაციონალური მიმოქცევის სხვა მინიმალურ ნორმებს, რომლებიც ასახულია ძირითად საერთაშორისო კონვენციებში”³³.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს რამდენიმე სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც განამტკიცებს დელოკალიზაციის თეორიას, იგი დღემდე მხოლოდ თეორიად რჩება, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო არბიტრაჟის განვითარების სამომავლო (თუნდაც საკმაოდ შორეულ) პერსპექტივაში მას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს საერთაშორისო არბიტრაჟის განვითარების თვალსაზრისით.

საკმაოდ საინტერესო ამ თეორიის სხვადასხვა ასპექტების, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების, დელოკალიზაციისა და ლოკალიზაციის თეორიების მხარდამჭერთა გამუდმებული მეცნიერული დუელის მიმოხილვა შორს წაგვიყვანს, ამიტომ წინამდებარე სტატიაში შევჩერდებით მხოლოდ ამ ორი თეორიის მომხრეების ძირითად არგუმენტებზე კონვენციის V(1)(ე) მუხლის გამოყენებასთან მიმართებაში.

დელოკალიზაციის თეორიასთან დაკავშირებით ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საერთაშორისო არბიტრაჟის ამგვარი ხედვის მომხრეების აზრი იმის თაობაზე, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულების საკითხის განმხილველი სასამართლოსათვის არანაირ დამაბრკოლებელ ფაქტორს არ უნდა წარმოადგენდეს ის გარემოება, რომ ეს გადაწყვეტილება გაუქმებულია საარბიტრაჟო განხილვის ადგილის სასამართლოს მიერ, ბუნებრივია, რომ არ იქნება გასაკვირი.

ანუ, უპირველესი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც წარმოშობს ამ ორ ძირითად თეორიას შორის ფუნდამენტურად განსხვავებულ არგუმენტებს, თუ როგორ უნდა მოახდინოს ცნობისა და აღსრულების საკითხის განმხილველმა სასამართლომ კონვენციის V(1)(ე) მუხლის სწორი ინტერპრეტაცია, ეფუძნება საარბიტრაჟო განხილვის ადგილის მნიშვნელობას საერთაშორისო არბიტრაჟის ფუნქციონირებასა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებთან მიმართებაში. მართლაც, თუ მხედველობაში მივიღებთ ლოკალიზაციის თეორიის მომხრეების მიდგომას საარბიტრაჟო განხილვის ადგილის მნიშვნელობის თაობაზე და სრულად გავიზიარებთ, რომ სწორედ ამ ადგილის იურისდიქცია და სამართლებრივი ნორმებია უპირატესი მთელი საარბიტრაჟო პროცესის, მათ შორის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების რეგულაციასთან

2005, p. 64

³³ Jan Paulsson, *Delocalization of International Commercial Arbitration: When and Why it Matters*, 32 Int'l & Comp. L.Q. 53 (1983), p. 57



მიმართებით, მაშინ, უნდა ჩავთვალოთ, რომ კონვენციის ხელშემკვერელმა სხვა ქვეყნის სასამართლომ სავალდებულო წესით უნდა მიიღოს მხედველობაში საარბიტრაჟო განხილვის ადგილის სასამართლოს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე და უარი უნდა თქვას ამ გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უპირობოდ, იმ გარემოებების გათვალისწინების გარეშე, რომლებიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილების გაუქმებას, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად საფუძველს მოკლებულია ამგვარი გადაწყვეტილება ცნობისა და აღსრულების თაობაზე გადაწყვეტილების მიმღები ქვეყნის სასამართლოსათვის. სწორედ ამ პოზიციას ეხმაურება ბერგი (Berg), როდესაც ამბობს, რომ “თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გაუქმდა მისი წარმოშობის ქვეყანაში, უცხო ქვეყნის სასამართლოები შეზოჭილნი არიან ამ გადაწყვეტილებით. ამ შემთხვევაში მათ უარი უნდა თქვან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე”³⁴. ლოკალიზაციის თეორიის მომხრეების ამ არგუმენტის უპირველესი საფუძველი არის ის, რომ “მას შემდეგ რაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გაუქმებულია, აღარ არსებობს გადაწყვეტილება, რომელიც უნდა გაუქმდეს”³⁵. პიტერ სანდერსი (Pieter Sanders) იგივე არგუმენტზე საუბრობს, როდესაც ამბობს, რომ თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გაუქმებულია საარბიტრაჟო განხილვის ადგილის სასამართლოს მიერ “სასამართლოები უარს იტყვიან, აღასრულონ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რადგან იგი აღარ არსებობს და არარსებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი იქნება ან თუნდაც წინააღმდეგობაში მოვა აღსრულების ქვეყნის საჯარო წესრიგთან”³⁶. ლოკალიზაციის თეორიის მომხრეების ეს მოსაზრება ისევ და ისევ ემყარება მხარეების მიერ კონკრეტულ ქვეყანაში საარბიტრაჟო განხილვის ადგილის შერჩევას: მხარეების მიერ კონკრეტულ ქვეყანაში არბიტრაჟის შერჩევა თავისთავად გულისხმობს იმას, რომ მხარეები ემორჩილებიან ამ ქვეყნის იმპერატიულ კანონმდებლობას და “მათ შემდგომში არ შეუძლიათ თავი აარიდონ ამ ქვეყნის სასამართლოების მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებს”³⁷. ამასთან, ბერგის (Berg) მოსაზრებით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების იურიდიული ძალის ძირითადი წყარო სწორედ საარბიტრაჟო განხილვის ადგილის კანონმდებლობაა. შესაბამისად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება სასამართლოს მიერ ართმევს მას იურიდიულ ძალას ყველა სხვა ქვეყანაში³⁸. თუმცა, ზემოაღნიშნული მოსაზრებების კრიტიკოსები, რომლებიც მხარს უჭერენ აღსრულების საკითხის განმხილველი სასამართლოს დისკრეციის არსებობის პოზიციას კონვენციის V(1)(ე) მუხლის ჩანაწერიდან გამომდინარე,

³⁴ Albert Jan Van Den Berg, “When is an Arbitral Award nondomestic Under the New York Convention of 1958?”, 6 Pace L. Rev. (1985), pp 41-42; იდენტური მოსაზრებაა გამოთქმული: W.M. Reisman, Systems of Control in International Adjudication and Arbitration (1992), p. 114.

³⁵ Albert Jan Van Den Berg, “Enforcement of Annulled Awards?”, ICC Bull. 9, no. 2 (1998), p. 15.

³⁶ Pieter Sanders, “New York Convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards”, Neth. Int'l L. Rev. 6 (1959), p. 55.

³⁷ Gary H. Sampliner, “Enforcement of Nullified Foreign Arbitral Awards – Chromalloy Revisited”, J. Int'l Arb. 14, no 3 (1997): 159.

³⁸ Albert Jan Van Den Berg, *supra*, n. 35, p. 15.



საწინააღმდეგო არგუმენტად იყენებენ პირველ რიგში იმას, რომ კონვენციის ეს მუხლი სასამართლოსათვის ცალსახად დისკრეციულია და არა სავალდებულო; ეს კი, თავის მხრივ, გულისხმობს იმას, რომ აღსრულების საკითხის განმხილველ სასამართლოს აქვს უფლება და არ არის ვალდებული, ნებისმიერ შემთხვევაში მხედველობაში მიიღოს საარბიტრაჟო განხილვის ადგილის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე და, შესაბამისად, ნებისმიერ შემთხვევაში უარი თქვას გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე. რომ არა კონვენციის V (1) მუხლის დისკრეციული ჩანაწერი, წინამდებარე სტატიასაც აქტუალურობა დაეკარგებოდა და აზრს იქნებოდა მოკლებული გამუდმებული კამათი ამ მუხლის მართებულ ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით. ამასთან, ლოკალიზაციის თეორიის კრიტიკოსების მიერ მიუღებელია ამ თეორიის მომხრეების პოზიცია საარბიტრაჟო განხილვის ადგილის მნიშვნელობასთან დაკავშირებით. კრიტიკოსები არ იზიარებენ იმ მოსაზრებას, რომ საარბიტრაჟო წარმოების მხარეები სავალდებულო წესით უნდა დაემორჩილონ საარბიტრაჟო განხილვის ადგილის სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებას, და, რომ ამ კონკრეტულ ქვეყანაში არბიტრაჟის არჩევით მხარეები თავისთავად ირჩევენ ამ ქვეყნის იმპერატიულ კანონმდებლობას და ამ ქვეყანაში არსებულ სამართლებრივ წესრიგს. კერძოდ, ამის საწინააღმდეგო არგუმენტად, რაც, მისაღებ არგუმენტად უნდა ჩაითვალოს, კრიტიკოსები იყენებენ იმას, რომ საერთაშორისო საარბიტრაჟო პრაქტიკაში საკმაოდ ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც საარბიტრაჟო განხილვის ადგილის შერჩევას ახდენენ არა მხარეები, არამედ არბიტრები ან, საარბიტრაჟო ინსტიტუტის შემთხვევაში – შესაბამისი ინსტიტუტი. ამასთან, აქვე შეიძლება არგუმენტად მოვიყვანოთ დელოკალიზაციის თეორიის მომხრეების ზემოაღნიშნული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ საერთაშორისო არბიტრაჟის მხარეების მიერ მთელ რიგ შემთხვევებში საარბიტრაჟო განხილვის ადგილის შერჩევა ხდება არა იმის გამო, რომ მხარეები იცნობენ და მიზანმიმართულად ირჩევენ ამ ადგილის კანონმდებლობას, არამედ იმ მიზეზით, რომ ეს ადგილი მათთვის მოსახერხებელია (მგზავრობის, ხარჯების, არბიტრების ლოკალიზაციის და სხვა ფაქტორების თვალსაზრისით). მხარეებს შეიძლება წარმოდგენაც კი არ ჰქონდეთ იმის შესახებ, რომ მათ მიერ შერჩეული საარბიტრაჟო განხილვის ადგილის იმპერატიული სამართლის ნორმები სავალდებულო გახდება მათი დავის საარბიტრაჟო წარმოების გზით განხილვისა და ამ განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების მიმართ. “აქედან გამომდინარე, არასწორია იმის თქმა, რომ მხარეებს რაიმე მოლოდინი ჰქონდათ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების გაუქმების თაობაზე გამოსაყენებელ კანონმდებლობასთან მიმართებით, როდესაც თანხმდებოდნენ არბიტრაჟზე და არ უნდა დაექვემდებარონ ამ იურისდიქციის სასამართლოებს. პირიქით, ისინი დათანხმდნენ არბიტრაჟს იმისათვის, რომ გვერდი აეგლოთ სასამართლოსათვის”³⁹.

5. გაუქმებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმა – გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილების მიმღები სასამართლოს მიმართ ნდობისა და

³⁹ Pierre Lastenouse, “Why Setting Aside an Arbitral Award is not Enough to Remove it from the International Scene”, J.Int'l Arb. 16, no. 2 (1999), p. 43.



პატივისცემის გამოხატვა?

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ასევე დებატების საგანია, და, რომლის თაობაზეც არ შეიძლება ცალსახა პოზიცია არსებობდეს, უკავშირდება საკმაოდ სენსიტიურ საკითხს ორი ქვეყნის სასამართლოების ურთიერთპატივისცემისა და ნდობის თაობაზე, რაც შესაბამისად, ვლინდება ერთი ქვეყნის სასამართლოს მიერ მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილების მიმართ მეორე ქვეყნის სასამართლოს მიერ პატივისცემის გამოხატვაში ამ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმით. უნდა მოახდინოს თუ არა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების განმახორციელებელმა სასამართლომ იმ ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ ცალსახა ნდობის გამოხატვა, რომელმაც გააუქმა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება? სხვა სიტყვებით რომ ითქვას, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე სხვა ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუთვალისწინებლობა გაუქმებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საკითხის დადებითად გადაწყვეტით ხომ არ ნიშნავს ამ ქვეყნის სასამართლოს და ამ ქვეყნის კანონმდებლობის უპატივცემულობას? ამ კითხვაზე განსხვავებული პასუხებია არამარტო სამეცნიერო ლიტერატურაში, არამედ ამ საკითხისადმი განსხვავებული ხედვები აღინიშნება სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებშიც.

ლოკალიზაციის თეორიის მომხრეების აზრით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილების გათვალისწინებითა და ამ საფუძველით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმით აღსრულების განმახორციელებელი სასამართლო უზრუნველყოფს გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილების მიმღები სასამართლოსადმი პატივისცემისა და ნდობის გამოხატვას იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც გაუქმების საფუძველი აღსრულების საკითხის განმხილველი ქვეყნის კანონმდებლობისათვის უცხოა და შეიძლება არც კი იქნას მიჩნეული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტად. მაგალითის სახით შეგვიძლია მოვიყვანოთ აშშ-ს სასამართლოს გადაწყვეტილება Baker Marine-ის⁴⁰ საქმეში, სადაც, მიუხედავად იმისა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი ნიგერიის სასამართლოს მხრიდან არ იყო აღიარებული ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური საარბიტრაჟო აქტით, ამერიკის სასამართლომ უარი თქვა, აღსრულებინა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, დაეყრდნო რა კონვენციას, თავაზიანობის გამოხატვის პრინციპსა და საარბიტრაჟო განხილვის ადგილის სასამართლოს მიმართ თავაზიანობასა და პატივისცემას. სწორედ ამ პრინციპების საფუძველზე სასამართლომ მიიჩნია, რომ “არ იქნება სწორი ვცნოთ უცხო საარბიტრაჟო გადაწყვეტილება კონვენციის საფუძველზე მაშინ, როდესაც იგი გაუქმებულია ნიგერიის სასამართლოების მიერ”.

იგივე პრინციპები მიიჩნია, საფუძველად დადებოდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმას ამერიკის შეერთებული შტატების

⁴⁰ Baker Marine (NIG.) Ltd. v. Chevron (NIG.) Ltd., 191 F.3d 194, US Court of Appeal for the 2nd Circuit, US, 1999



სასამართლომ Termorio-ს⁴¹ საქმეში. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომლის ცნობისა და აღსრულების საკითხს იხილავდა აშშ-ს სასამართლო, გაუქმებული იყო კოლუმბიის სასამართლოს მიერ იმ საფუძველით, რომ კოლუმბიის საარბიტრაჟო კანონმდებლობა კრძალავდა კოლუმბიაში წარმოებულ არბიტრაჟში ICC-ის წესების გამოყენებას. მიუხედავად იმისა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების ეს საფუძველი უცნობი იყო არამარტო ამერიკის ფედერალური საარბიტრაჟო აქტისათვის, არამედ განვითარებული ქვეყნების საარბიტრაჟო კანონმდებლობისთვისაც და წმინდა ლოკალურ, ისიც უჩვეულო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად უნდა მივიჩნიოდ, აშშ-ს სასამართლომ უარი თქვა კოლუმბიის სასამართლოს მიერ გაუქმებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე.

ლოკალიზაციის თეორიის მომხრეების აზრით პატივისცემის გამოხატვა საარბიტრაჟო განხილვის ადგილის სასამართლოსთან მიმართებით ამ გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმით არამარტო იმისთვისაა აუცილებელი, რომ თავიდან იქნას აცილებული სასამართლოს მიმართ უნდობლობა და უპატივცემულობა (ამ უკანასკნელის მიერ გაუქმებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობითა და აღსრულებით და, შესაბამისად, ასეთი გადაწყვეტილების აშკარა უპატივცემულობის აქტით), არამედ ასეთი პატივისცემის სტანდარტის დამკვიდრება აუცილებელია იმისათვის, რომ “კონვენციის განზრახული ერთიანობა”⁴² იქნას დაცული და თავიდან იქნას აცილებული შეუსაბამო შედეგები: “ასეთი პატივისცემის [არსებობა] იმოქმედებს როგორც ძლიერი დაბრკოლება არბიტრაჟის წარმატებული მხარისათვის, რომ მთელს მსოფლიოში ეძიოს სასამართლო, რომელიც გაუქმებულ გადაწყვეტილებას აღასრულებს და ამასთან, თავიდან აიცილებს შეუსაბამო შედეგებს”⁴³.

შეუსაბამო შედეგებსა და სხვა ქვეყანაში გაუქმებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების საკითხის განხილვისას აღსრულების განმხილველი სასამართლოს ქვეყნის ადგილობრივი კანონმდებლობის გამოყენების მიზანშეუწონლობას შეეხო აშშ-ს სასამართლო Baker Marine-ის საქმეში. სასამართლომ აღნიშნა, რომ “კონვენციის საფუძველზე ადგილობრივი საარბიტრაჟო კანონის მექანიკური გამოყენება უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მიმართ სერიოზულად დააზიანებს საბოლოობას [საბოლოობის პრინციპს] და რეგულარულად წარმოშობს კონფლიქტურ სასამართლოს გადაწყვეტილებებს. თუ მხარეს, რომლის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაც იქნა გაუქმებული კვლავ შეუძლია მისი აღსრულება მოიპოვოს რომელიმე ქვეყნის ადგილობრივი კანონმდებლობით, მას ყველა მიზეზი ექნება იმისა, რომ ეძიოს ამის [გაუქმების] საწინააღმდეგო [გადაწყვეტილებას] აღსრულების ქმედებებით ქვეყნიდან ქვეყანაში მანამ, სანამ სასამართლო მოიძებნება, რომელიც აღასრულებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას”.

⁴¹ Termorio S.A. E.S.P. v. Electrificadora Del Atlantico S.A. E.S.P, 421 F. Supp. 2d 87, (US District Court for the District of Columbia, US), 2006.

⁴² “კონვენციის განზრახული ერთიანობა” ფრაზა გამოყენებულია X.W. Qiu, “Enforcing Arbitral Awards Involving Foreign Parties: A Comparison of the United States and China,” *Am. Rev. Int'l Arb.* 11 (2000): 631”.

⁴³ Albert Jan van den Berg, *supra*, n. 35, p. 15.



სასამართლოებს შორის პატივისცემისა და ნდობის თაობაზე ზემოაღნიშნულ სასამართლოს გადაწყვეტილებებში და სამეცნიერო ლიტერატურაში ლოკალიზაციის თეორიის მომხრეების არგუმენტების საწინააღმდეგო კრიტიკული მოსაზრებები იქნა გამოთქმული. საწინააღმდეგო არგუმენტებით იქნა დასაბუთებული ასევე საარბიტრაჟო განხილვის ადგილას გაუქმებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სხვა ქვეყანაში ცნობისა და აღსრულების თაობაზე გადაწყვეტილებები.

6. “გაუქმების საერთაშორისო სტანდარტი” v. “გაუქმების ადგილობრივი სტანდარტი”

პოლსონს (Paulsson), რომელმაც განსხვავებული მიდგომა შემოგვთავაზა საარბიტრაჟო განხილვის ადგილას გაუქმებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სხვა ქვეყანაში ცნობისა და აღსრულების შესაძლებლობის საკითხთან დაკავშირებით, მიაჩნია, რომ “თითოეულ ქვეყანას უნდა ჰქონდეს უფლება, მიიღოს გადაწყვეტილების გაუქმების ადგილობრივი წესები, რომელიც შესაბამისობაში იქნება ადგილობრივ მნიშვნელობებთან და უპირატესობებთან, ეს წესები კი აუცილებლად საერთაშორისო ეფექტის მქონე შეიძლება არ იყოს⁴⁴”. მის მიერ შემოთავაზებული მიდგომის მიხედვით აღსრულების საკითხის განმხილველმა სასამართლომ უარი უნდა თქვას საარბიტრაჟო განხილვის ადგილის სასამართლოს მიერ გაუქმებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც გაუქმების საფუძველი კონვენციის V (1) მუხლის პირველ ოთხი (“ა”, “ბ” “გ” და “დ” “ე” “ე” და “დ”) პუნქტიდან⁴⁵.

(“ა”, და მოდელური კანონის 36(1) (ა) მუხლის⁴⁶ საფუძვლებიდან გამომდინარეობს

⁴⁴ Jan Paulsson, *supra*, n. 14, p. 24.

⁴⁵ ნიუ იორკის კონვენცია, მუხლი V(1): საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე შეიძლება უარის თქმა იმ მხარის მოთხოვნით, რომლის წინააღმდეგაც არის იგი მიმართული, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მხარე იმ ადგილის კომპეტენტურ ხელისუფლებას, სადაც მოითხოვება გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, წარუდგენს იმის მტკიცებულებას, რომ: (ა) II მუხლში მითითებული შეთანხმების მხარეები, მათ მიმართ მოქმედი კანონის მიხედვით, ქმედულწარონი იყვნენ ან საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია იმ სამართლის მიხედვით, რომელსაც მხარეებმა ეს შეთანხმება დაუქვემდებარეს, ხოლო ასეთი მითითების არარსებობისას, იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, სადაც გამოტანილი იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება; ან (ბ) მხარე, რომლის წინააღმდეგაც არის მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ, ან სხვა მიზეზით ვერ შეძლო თავისი პოზიციის წარმოდგენა; ან (გ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია იმ დავის შესახებ, რომელიც არ იყო გათვალისწინებული საარბიტრაჟო შეთანხმებით ან ეხება საკითხს, რომელიც სცილდება საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს, ხოლო თუ შესაძლებელია, რომ გადაწყვეტილებები ისეთ საკითხებზე, რომლებსაც მოიცავს საარბიტრაჟო შეთანხმება, ცალკე გამოიყოს იმ საკითხებიდან, რომლებსაც არ მოიცავს ასეთი შეთანხმება, მაშინ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომელიც შეიცავს დადგენილებებს საარბიტრაჟო შეთანხმებით გათვალისწინებულ საკითხებზე, ექვემდებარება ცნობასა და აღსრულებას; ან (დ) არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო წარმოება არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას ან, ასეთის შეთანხმების არარსებობისას – იმ ქვეყნის კანონს, სადაც ჩატარდა საარბიტრაჟო განხილვა.

⁴⁶ Uncitral Model Law on International Commercial Arbitration, 1985 amendments adopted in 2006, საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ მოდელური კანონი 1985, ცვლილებებით,



და, შესაბამისად, მოიცავს “გაუქმების საერთაშორისო სტანდარტს”⁴⁷. აქედან გამომდინარე, აღსრულების საკითხის განმხილველი სასამართლო თავისუფალი უნდა იყოს, არ მიიღოს მხედველობაში საარბიტრაჟო განხილვის ადგილის სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება, თუ ეს გადაწყვეტილება დაფუძნებულია მხოლოდ “ადგილობრივ სტანდარტებზე” (“გაუქმების ადგილობრივ სტანდარტებზე”⁴⁸ “Local Standard Annulment - LSA”), რომელთაც არ მოიცავს კონვენციის V (1) მუხლის პირველი ოთხი პუნქტი და მოდელური კანონის 36(1) (ა) მუხლი⁴⁹ და შესაბამისად მიიჩნევა “გაუქმების ადგილობრივ სტანდარტად”.

პოლსონის (Paulsson) აზრით, “LSA”-ს ანუ “გაუქმების ადგილობრივი სტანდარტის” მიუხედავად საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება არ ახდენს გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები სასამართლოსათვის შეურაცხყოფის მიყენებას; ინდივიდუალურ სისტემებს უნდა ჰქონდეთ უფლება, მიიღონ ადგილობრივი წესები/რეგულაციები, რომლებიც მიესადაგება ადგილობრივ სტანდარტებს (აღქმას, გაგებას) იმ განზრახვის გარეშე, რომ ისინი იმოქმედებენ მთელი მსოფლიოსათვის. ადგილობრივი წესები/რეგულაციები ავტომატურად არ შეიძლება იქნას გავრცელებული საერთაშორისო სიტუაციებზე. ამავდროულად, აღსრულების განმახორციელებელ სასამართლოს უდიდესი ინტერესი გააჩნია, გამოიყენოს მისი სახელმწიფო ძალაუფლება მის ტერიტორიაზე არსებულ აქტივებთან მიმართებაში და, აბსურდი იქნებოდა შეურაცხყოფაზე საუბარი, თუ აღინიშნება, რომ მისი მოსამართლეების ქმედება, მკაფიო საერთაშორისო სახელშეკრულებო ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, არ შეიძლება იყოს დამოკიდებული უცხო ქვეყნის მოსამართლეების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე⁵⁰. საარბიტრაჟო განხილვის ადგილის კეთილგონიერი მოსამართლეები შეიძლება არ იყვნენ დარწმუნებულნი იმაში, რომ მათ უფლებამოსილებას, გააუქმონ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, “*erga omnes*”⁵¹ ეფექტი და ძალა აქვს. ეს განსაკუთრებით ეხება საერთაშორისო არბიტრაჟს: თუ არცერთ მხარეს და არც დავას არ გააჩნია არანაირი კავშირი საარბიტრაჟო ადგილის იურისდიქციასთან (რაც ხშირ შემთხვევაში ამ ადგილის შერჩევის მიზეზია), მოსამართლეებს არ აქვთ შიდა ინტერესი, გაიგონ მხარეების კულტურა და მათი განზრახვები და, შესაბამისად, შესაძლოა, საქმე განიხილონ ზედაპირულად; თუ ერთ-ერთი მხარე ადგილობრივია, მაშინ, რა თქმა უნდა, რთული პარადოქსია, რომ ნეიტრალური არბიტრაჟის შედეგი შეიძლება იქნას გაკონტროლებული ერთ-ერთი მხარის მშობლიური სასამართლოს მიერ⁵².

რომლებიც მიღებულია 2006 წელს, მუხლი 36(1) (ა) სიტყვასიტყვით იმეორებს ნიუ იორკის კონვენციის V (1) მუხლით გათვალისწინებულ საფუძვლებს.

⁴⁷ “International Standard Annulment”.

⁴⁸ “Local Standard Annulment”.

⁴⁹ Jan Paulsson, *supra*, n. 14, p. 14 at p. 29

⁵⁰ Jan Paulsson, *supra*, n. 14, p. 24.

⁵¹ “*erga omnes*” - “towards all” or “towards everyone” - “ყველაფერთან ან ყველასთან მიმართებაში”.

⁵² Jan Paulsson, *supra*, n. 14, p. 24.



დავასა და სარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა თუ ცნობა-აღსრულების საკითხის განმხილველ თითოეულ ქვეყანას შორის მაკავშირებელი ფაქტორების სიძლიერეზე ხაზგასმით ახდენს ემანუელ გაილარდი (Emmanuel Gaillard) გაუქმებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სხვა ქვეყანაში აღსრულების მხარდაჭერას: “ფრანგული კონცეფცია სახელმწიფოს მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების განხილვასთან დაკავშირებით ეფუძნება იმ იდეას, რომ აღსრულების ადგილის სასამართლოს ისეთივე მყარი პოზიცია აქვს, როგორც საარბიტრაჟო განხილვის ადგილის სასამართლოს, შეაფასოს, უნდა იქნას თუ არა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ცნობილი და აღსრულებული. აღსრულების ქვეყანას საკმაოდ რეალური ინტერესი გააჩნია, უზრუნველყოს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შესაბამეა იმ სტანდარტებს, რომელსაც ის მიიჩნევს საჯარო მხარდაჭერის ღირს გადაწყვეტილებად. საწყის ეტაპზე, საარბიტრაჟო განხილვის ადგილის ქვეყანას (რომელიც უზრუნველყოფს არბიტრაჟს სასტუმროების ნომრებითა და საკონფერენციო ცენტრებით) და აღსრულების განმახორციელებელ ქვეყანას (რომელიც იძლევა მის ტერიტორიაზე არსებულ აქტივებზე ყადაღის დადებისა და ამ აქტივების გაყიდვების ნებართვას) შორის. ამ უკანასკნელს უფრო ძლიერი ინტერესი გააჩნია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების განხილვასთან მიმართებით. ეს შეხედულება სრულად შეესაბამება ნიუ იორკის კონვენციას, რომელიც აძლევს შესაძლებლობას აღსრულების განმახორციელებელ ქვეყანას, ყველა შემთხვევაში დავის საარბიტრაჟო განხილვადობასთან დაკავშირებით მიმართოს საჯარო წესრიგის მისეულ კონცეფციას და მის სტანდარტებს. ამ ანალიზს არ ცვლის ის ფაქტი, რომ საარბიტრაჟო განხილვის ქვეყანა ასევე შეიძლება იყოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების ერთ-ერთი ან ერთადერთი ადგილი”⁵³.

7. ნიუ იორკის კონვენციის VII (1) მუხლი: “უფრო ხელსაყრელი უფლების დებულება”

ერთ - ერთი უმნიშვნელოვანესი არგუმენტი, რომელსაც მიმართავენ დელოკალიზაციის თეორიის მომხრეები, ისევე როგორც მოსამართლეები, გაუქმებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების თაობაზე გადაწყვეტილების გასამყარებლად, უკავშირდება კონვენციის VII (1) მუხლს⁵⁴, რომელიც ბერგის (Berg) მიერ აღწერილია როგორც “უფრო ხელსაყრელი უფლების დებულება” (“more favourable right provision”). ამ მუხლის იმპერატიული კონტექსტიდან გამომდინარე⁵⁵ “სასამართლოებმა უნდა აღასრულონ უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილება კონვენციის V მუხლის დებულებების მიუხედავად, თუ აღსრულების ქვეყნის იურისდიქციის ადგილობრივი კანონმდებლობა ან საერთაშორისო ხელშეკრულება სხვაგვარად უზრუნველყოფს აღსრულების დამოუკიდებელ საფუძველს”⁵⁶.

⁵³ Emmanuel Gaillard, “The Enforcement of Awards Set Aside in the Country of Origin”, 14 ICSID Rev. – FILJ (1999), p. 16.

⁵⁴ ნიუ იორკის კონვენცია, მუხლი VII (1), *supra*, n. 27

⁵⁵ კონვენციის VII მუხლის ინგლისურენოვანი ოფიციალური ტექსტი იყენებს სიტყვას “shall”, “უნდა”, რაც მის მავალდებულებელ კონტექსტზე მიუთითებს, განსხვავებით V(1) მუხლისაგან, რომელიც იყენებს სიტყვას “may” “შეიძლება”, რაც ამ მუხლის დისკრეციაზე უნდა მეტყველებდეს.

⁵⁶ David W. Rivkin “The Enforcement of Awards Nullified in the Country of Origin: The American Experience” in Albert Jan van den Berg (ed), *improving the Efficiency of Arbitration Agreements and Awards* 40



შესაბამისად, მხარეს, რომელიც ითხოვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას, ეძლევა შესაძლებლობა, მიმართოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან ადგილობრივ კანონმდებლობას VII მუხლით დადგენილი პირობების შესაბამისად, რომელიც ნიუ იორკის კონვენციის დებულებების მიუხედავად იძლევა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობას და აწესებს ნიუ იორკის კონვენციასთან შედარებით უფრო ხელსაყრელ პირობებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებასთან მიმართებაში. ამტკიცებენ, რომ ამ მუხლის გონივრული ახსნა არის ის, რომ კონვენცია აწესებს მხოლოდ მინიმალურ მოთხოვნებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებისათვის და რომ თუ ქვეყანას უფრო ხელსაყრელი აღსრულების მექანიზმი გააჩნია, ვიდრე კონვენციას, უფრო ხელსაყრელ რეჟიმს მიენიჭება უპირატესობა⁵⁷.

უფრო ხელსაყრელი აღსრულების რეჟიმად საერთაშორისო ხელშეკრულების კონტექსტში VII (1) მუხლიდან გამომდინარე ხშირად სახელდება 1961 წლის 21 აპრილის ევროპული კონვენცია საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ (“ევროპის კონვენცია”). აღნიშნული კონვენციის IX (1) მუხლი, რომელიც ეხება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას, სიტყვასიტყვით იმეორებს ნიუ იორკის კონვენციის V(1) მუხლში განსაზღვრულ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის ყველა საფუძველს სადავო V(1) მუხლის (ე) პუნქტის გარდა და პირდაპირ განსაზღვრავს, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს მხრიდან ამ გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი, თუ გაუქმების საფუძველად გამოყენებულია ევროპის კონვენციის IX (1) მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი (რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა იდენტურია ნიუ იორკის კონვენციის V(1) მუხლში აღნიშნული ყველა საფუძველისა, გარდა V(1)(ე) მუხლით განსაზღვრულისა, რომელიც ეხება წინამდებარე სტატიაში განხილულ სადავო ინტერპრეტაციის მქონე გაუქმების საფუძველს: “საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გაუქმებულია იმ ქვეყნის კომპეტენტური ხელისუფლების მიერ, სადაც ან რომლის სამართლის შესაბამისადაც იქნა გადაწყვეტილება გამოტანილი”. შესაბამისად, თუ გავანალიზებთ ევროპული კონვენციის დასახელებულ IX (1) მუხლსა და ნიუ იორკის კონვენციის VII (1) მუხლს, გამოდის, რომ მხარე, რომელიც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით მიმართავს ნიუ იორკის კონვენციის ხელშემკვრელი

სახელმწიფოს (სასამართლოს), რომელიც იმავდროულად არის ევროპის კონვენციის ხელშემკვრელი მხარე, ნიუ იორკის კონვენციის VII(1) მუხლზე დაყრდნობით შეუძლია ისარგებლოს “უფრო ხელსაყრელი უფლების დებულებით” განმსაზღვრელი ევროპის კონვენციით და მოითხოვოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება, მიუხედავად იმისა, რომ ეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გაუქმებულია საარბიტრაჟო

Years of Application of the New York Convention, ICCA Congress Series, 1998 Paris Volume 9 (Kluwer Law International 1999) p. 531.

⁵⁷ Nadia Darwazeh, *supra*, n. 21, p. 332.



განხილვის ადგილის სასამართლოს მიერ იმ საფუძვლით, რომელსაც არ მოიცავს ევროპის კონვენციის IX (1) მუხლი (იგივე ნიუ იორკის კონვენციის V(1) მუხლის “ა”, “ბ”, “გ” და “დ” პუნქტები (“ა”, “ბ”, “ც” და “დ” პუნქტები)) და რომლებიც მიჩნეულია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საერთაშორისო სტანდარტად. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ ნიუ იორკის კონვენციის VII (1) მუხლში გამოყენებულ იმპერატიულ ენას, ასეთ შემთხვევაში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების საკითხის განმხილველმა სასამართლომ უნდა მოახდინოს ასეთი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება.

8. საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო პრაქტიკა

მიუხედავად იმისა, რომ ნიუ იორკის კონვენციის V(1) (ე) მუხლთან მიმართებით ამავე კონვენციის VII (1) მუხლის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით დელოკალიზაციის თეორიის მომხრეების მიერ მოხმობილი ზემოაღნიშნული არგუმენტები ლოგიკურია და მისაღებად უნდა ჩაითვალოს, ნიუ იორკის კონვენციის ხელშემკვერელი სახელმწიფოების უმრავლესობა, მათ შორის ისეთი ქვეყნებისა, რომლებიც არბიტრაჟის კუთხით განვითარებულ ქვეყნებად არიან მიჩნეულნი, უმრავლეს შემთხვევებში არ აღიარებენ ამ არგუმენტებს და ნიუ იორკის კონვენციის V(1)(ე) მუხლით განსაზღვრულ დისკრეციას იყენებენ იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლად, რომელიც გაუქმებულია საარბიტრაჟო განხილვის ადგილის სასამართლოს მიერ. მკვეთრად გამოხატული დელოკალიზაციის მიდგომა ამ საკითხთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, რომ გააჩნია საფრანგეთის სასამართლოებს, რამდენიმე ასეთი გადაწყვეტილებით გამოირჩევა ასევე ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოებიც.

შეიძლება ითქვას, რომ საფრანგეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომლის პრეცედენტული სამართალიც მკვეთრად ემხრობა დელოკალიზებულ მიდგომას, ცნოს უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, მიუხედავად ამ გადაწყვეტილების გაუქმებისა საარბიტრაჟო განხილვის ადგილის სასამართლოს მიერ. ამ მხრივ, განსაკუთრებულად აღნიშნავენ საფრანგეთის სასამართლოს გადაწყვეტილებებს Norsolor-ის⁵⁸, Polish Ocean Line-ის⁵⁹, Hilmarton-ისა⁶⁰ და Chromalloy-ის⁶¹ საქმეებში.

Norsolor-ის საქმეზე საფრანგეთის სასამართლოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულწილად დაამკვიდრა “უფრო ხელსაყრელი უფლების პრინციპის” გამოყენება საფრანგეთში იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასთან მიმართებაში, რომელიც გაუქმებულია საარბიტრაჟო განხილვის ადგილას. მოცემულ საქმეში ნიუ იორკის კონვენციის VII(1) მუხლის “უფრო ხელსაყრელი უფლების დებულება”-ზე დაყრდნობით საფრანგეთის უმაღლესი სასამართლო არ

⁵⁸ Pabalk Ticaret Ltd. Sirketi v. Norsolor S.A., 1984, Court of Cassation, France.

⁵⁹ Polish Ocean Line v. Jolasry, 1993, Court of Cassation, France.

⁶⁰ Hilmarton Ltd. v. Omnium de Traitement et de Valorization-OTV, 1990, Paris Court of First Instance, France.

⁶¹ Arab Republic of Egypt v. Chromalloy Aeroservices, Inc, 1997, Paris Court of Appeal, France.



დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, უარი ეთქვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე იმ მოტივით, რომ იგი გაუქმებული იყო. სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის აღნიშნული მუხლი ავალდებულებდა საფრანგეთის სასამართლოს, განესაზღვრა, იძლეოდა თუ არა საფრანგეთის კანონმდებლობა აღსრულების შესაძლებლობას კონვენციის V მუხლის მიუხედავად. შესაბამისად, გამოიყენა რა “უფრო ხელსაყრელი უფლების დებულების” განმსაზღვრელი საფრანგეთის კანონმდებლობა, რომლითაც შესაძლებელია გაუქმებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ამ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე.

ძირითადად იგივე არგუმენტები იქნა გამოყენებული საფრანგეთის სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას Hilmarton-ის საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გაუქმებული იყო შვეიცარიის სასამართლოს მიერ, საფრანგეთის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის VII მუხლის შესაბამისად “მოსამართლეს არ შეუძლია უარი ეთქვას [საარბიტრაჟო გადაწყვეტილების] აღსრულებაზე, თუ ეროვნული კანონმდებლობა ამის უფლებამოსილებას არ იძლევა”. იმდენად, რამდენადაც საფრანგეთის კანონმდებლობა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძვლად არ განსაზღვრავდა მის გაუქმებას საარბიტრაჟო განხილვის ადგილის ქვეყანაში, სასამართლომ მოახდინა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება. ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა უმაღლესმა სასამართლომ, რომელმაც დაადგინა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება წარმოადგენდა “საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, რომელიც არ იყო ინტეგრირებული შვეიცარულ - სამართლებრივ წესრიგში, ისე რომ მისი არსებობა გაგრძელდა იმისდა მიუხედავად, რომ იგი იქნა გაუქმებული და მისი ცნობა საფრანგეთში არ ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო საჯარო წესრიგს”⁶².

Chromalloy-ს⁶³ საქმე პირველი გადაწყვეტილებაა აშშ-ს სასამართლოს პრაქტიკაში, სადაც მხარემ შეძლო წარმატებით გამოეყენებინა (და შესაბამისად, სასამართლომ მიიღო არგუმენტად) ნიუ იორკის კონვენციის VII(1) მუხლის “უფრო ხელსაყრელი უფლების დებულება”, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მან საკმაო კრიტიკა დაიმსახურა ლოკალიზაციის თეორიის მომხრეების მხრიდან და მის შემდგომ მიღებულმა აშშ-ს სასამართლოს გადაწყვეტილებებმა⁶⁴ არ გაიზიარეს Chromalloy-ს გადაწყვეტილებაში აღნიშნული არგუმენტები.

Chromalloy-ს საქმეში ეგვიპტის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა Chromalloy-ს სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება იმ საფუძველით, რომ იგი არ იყო

⁶² იგივე არგუმენტებით იქნა გამყარებული საფრანგეთის სასამართლოს გადაწყვეტილება Chromalloy-ს საქმეში.

⁶³ Chromalloy Aeroservices v. The Arab Republic of Egypt, 1996 (US District Court for the District of Columbia, US).

⁶⁴ Baker Marine (NIG.) Ltd. v. Chevron (NIG.) Ltd, *supra*, n. 40; Termorio S.A. E.S.P. v. Electrificadora Del Atlantico S.A. E.S.P, *supra*, n. 41, Spier v. Calzaturificio Tecnica, S.p.A., 71 F.Supp.. 2d 279, 1999, US District Court for the Southern District of New York, US.



საკმარისად, ჯეროვნად დასაბუთებული ეგვიპტური სამართლის საფუძველზე და არბიტრაჟის მიერ არასწორად იქნა გამოყენებული ეგვიპტური სამოქალაქო სამართალი ადმინისტრაციული სამართლის ნაცვლად. Chromalloy-ს მოთხოვნის საფუძველზე კოლუმბიის ოლქის ფედერალურმა რაიონულმა სასამართლომ მოახდინა ამ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება. აღნიშნული გადაწყვეტილების დასაბუთებისას სასამართლომ მიუთითა, რომ მას შეეძლო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა, კონვენციის V (1) (ე) მუხლის მიუხედავად, რადგან V მუხლი აძლევდა შესაძლებლობას და არ ავალდებულებდა სასამართლოს უარი თქვას აღსრულებაზე. სასამართლომ, ასევე, მიუთითა კონვენციის VII მუხლზე, რომელიც, მისი შეფასებით, მას გადაწყვეტილების ცნობას ავალდებულებდა ეგვიპტის სასამართლოს მიერ ამ გადაწყვეტილების გაუქმების მიუხედავად აშშ-ს ადგილობრივი საარბიტრაჟო კანონმდებლობის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებას არ შეიძლება უარი ეთქვას იმ საფუძველზე, რასაც დაეყრდნო ეგვიპტის სასამართლო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების დასაბუთებისას. კერძოდ იმას, რომ არასწორად იქნა გამოყენებული ადმინისტრაციული სამართლის ნაცვლად სამოქალაქო სამართალი. ამასთან, სასამართლომ განსაკუთრებულად აღნიშნა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ შეიძლებოდა გაუქმებულიყო კანონის აშკარა უგულვებელყოფის გამო, რადგან არბიტრებმა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში დაადგინეს, რომ მათ მიერ იგივე შედეგი იქნებოდა მიღწეული, რომ გამოეყენებინათ ეგვიპტური ადმინისტრაციული სამართალი.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეცედენტული სამართლის ანალიზის შედეგად შეიძლება იმის თქმა, რომ უმრავლეს შემთხვევაში აშშ-ს სასამართლოები არ იზიარებენ Chromalloy-ს გადაწყვეტილებაში ასახულ არგუმენტებს და ძირითადად არ ახდენენ საარბიტრაჟო განხილვის ადგილას გაუქმებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებას. Chromalloy-ს არგუმენტები უარყოფილ იქნა აშშ-ში წარმოებულ მის მომდევნო საქმეებში, არ იქნა რა გაზიარებული ნიუ იორკის კონვენციის VII(1) მუხლის გამოყენების სავალდებულობა და V(1)(ე) მუხლის დისპოზიციურობა და უპირატესობა მიენიჭა სხვა სახელმწიფოს სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ პატივისცემისა და ნდობის პრინციპის დაცვას⁶⁵. კონვენციის VII მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით ერთ-ერთი ძირითადი საწინააღმდეგო არგუმენტი არის ის, რომ ადგილობრივი კანონის წარმოჩენა VII მუხლთან მიმართებაში შედეგად იწვევს წინააღმდეგობას და გაუგებრობას ნიუ იორკის კონვენციის ინტერპრეტაციისას, განსაკუთრებით, როცა ადგილობრივი კანონი შეუსაბამოა V მუხლთან⁶⁶. თუმცა, 2013 წლის 27 აგვისტოს ნიუ იორკის სამხრეთ ოლქის ფედერალურმა რაიონულმა სასამართლომ ცნო საარბიტრაჟო გადაწყვეტილება,

⁶⁵ იხილეთ Baker Marine-ისა და Termorio-ს საქმეებში ზემოთგანხილული არგუმენტები.

⁶⁶ Steven L. Smith, "Enforcement of International Arbitral Awards Under the New York Convention", in Practitioner's Handbook on International Arbitration and Mediation, eds Rufus von Thülen Rhoades, Daniel M. Kolkey & Richard Chernick, end edn (Huntington, NY: JurisNet, 2007) at 1.8-54 (citing Stephen T. Ostrowski & Yuval Shany, "Chromalloy: United States law and International Arbitration at the Crossroads" at 1670-1673).



რომელიც მიღებული იყო ამერიკული კომპანიის შვილობილი მექსიკური კომპანია COMMISA-ს სასარგებლოდ მექსიკური სახელმწიფო ნავთობკომპანიის (PEMEX) წინააღმდეგ საქმეში⁶⁷. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ფედერალური რაიონული სასამართლოს მიერ ცნობის შემდგომ PEMEX-მა გაასაჩივრა ეს გადაწყვეტილება აშშ-ს სააპელაციო სასამართლოში და პარალელურ რეჟიმში მექსიკაში დაიწყო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების პროცესი. მექსიკის სასამართლომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად დიდწილად განსაზღვრა ის გარემოება, რომ მექსიკის კანონმდებლობა კრძალავდა ადმინისტრაციული დავების არბიტრაჟში განხილვას, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კანონი მიღებული იყო საარბიტრაჟო პროცესის დაწყების შემდგომ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მექსიკის სასამართლოს მიერ გაუქმების გამო აშშ-ს სააპელაციო სასამართლომ საქმე განსახილველად დაუბრუნა რაიონულ სასამართლოს, რომელსაც უნდა მიეღო გადაწყვეტილება, უარი ეთქვა ცნობასა და აღსრულებაზე მექსიკის სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების გამო, თუ ეცნო და აღსრულებინა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, მიუხედავად მისი გაუქმებისა საარბიტრაჟო განხილვის ადგილას. თავისი გადაწყვეტილება, ეცნო და აღსრულებინა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, აშშ-ს სასამართლომ დაასაბუთა იმით, რომ მექსიკის კანონი, რომელიც კრძალავდა ადმინისტრაციული დავების არბიტრაჟში განხილვას, არ იყო ძალაში მხარეთა შორის ხელშეკრულების გაფორმებისას, შესაბამისად, COMMISA-ს ლეგიტიმური მოლოდინი უნდა ჰქონოდა იმისა, რომ PEMEX-თან დაკავშირებული დავები არბიტრაჟში განხილვადი იქნებოდა. სასამართლომ, ასევე, დაადგინა, რომ მექსიკის სასამართლოს გადაწყვეტილებამ COMMISA-ს არ დაუტოვა არანაირი ფორუმი PEMEX-ის წინააღმდეგ დავის საწარმოებლად, რადგან ადმინისტრაციული დავები სავალდებულო წესით ადმინისტრაციული წარმოებით უნდა განხილულიყო, რომლის ხანდაზმულობის ვადებიც იყო გასული. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა რა, რომ მექსიკის სასამართლომ დაარღვია სამართლის ძირითადი პრინციპები, უარი თქვა გაეთვალისწინებინა გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება. ამდენად, სულ ახლახან მიღებულმა სასამართლოს გადაწყვეტილებამ შეცვალა Chromalloy-ს შემდგომ ამერიკის პრეცედენტულ სამართალში მკვეთრად გამყარებული ლოკალიზებული მიდგომა, უარი ეთქვათ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე ამ გადაწყვეტილების საარბიტრაჟო განხილვის ადგილას გაუქმების გამო.

9. დასკვნა

ზემოაღნიშნულ სამეცნიერო ლიტერატურასა და სასამართლოს გადაწყვეტილებებში ასახული არგუმენტების საფუძველზე უნდა ითქვას, რომ ნიუ იორკის კონვენციის სადავო V(1)(ე) მუხლის ინტერპრეტაციისას პირველ რიგში უნდა იქნას გათვალისწინებული კონვენციის მიზანი, რომელიც, როგორც მართებულად აღნიშნავს ნილ კაპლანი, ეფუძნება აღსრულების მომხრე განწყობას. ეს მუხლი უნდა იქნას განხილული, როგორც სასამართლოსათვის დისკრეციის განმსაზღვრელი და არა

⁶⁷ Corporacion Mexicana De Mantenimiento Intergral, S. De R.L. De C.V. v. Pemex-Exploracion Y Produccion, United States District Court Southern District of New York, August 27, 2013.



მავალდებულებელი დებულება, რაც ნიშნავს იმას, რომ სასამართლომ გაუქმებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხის განხილვისას მისი გაუქმების ფაქტის გამო ავტომატურად არ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით იმ საფუძვლების განხილვის გარეშე, რაც გახდა მიზეზი ამ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა. ამ მხრივ ყველაზე მისაღებ არგუმენტებს გვთავაზობს პოლსონი (Paulsson), ახდენს რა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტების დიფერენციაციას: “სასამართლოებმა უნდა გახადონ შესაძლებელი ის, რომ საარბიტრაჟო პროცესი გახდეს ნამდვილად საერთაშორისო იმით, რომ მოახდინონ სხვა ქვეყანაში მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა მხოლოდ იმ და არა სხვა კრიტერიუმის საფუძველზე, რომელიც საერთაშორისოდ აღიარებულია. უფრო კონკრეტულად, ჩემი შემოთავაზებაა ის, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება იმ ქვეყნის სასამართლოების მიერ, სადაც ეს გადაწყვეტილება იქნა მიღებული, არ უნდა იყოს დაბრკოლება სხვა ნებისმიერ ადგილას მისი აღსრულებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი გაუქმების საფუძვლები საერთაშორისოდ აღიარებულია”⁶⁸. მართლაც, რატომ უნდა დაეფუძნოს მექანიკურად საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების საკითხის განმხილველი სასამართლო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ სხვა ქვეყნის სასამართლოს მიერ მიღებულ ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც გაუქმების საფუძველად წმინდა ადგილობრივ სტანდარტებს იყენებს? მაგალითის სახით შეგვიძლია მოვიყვანოთ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება იმ საფუძველით, რომ იგი არ იყო ხელმოწერილი ყველა არბიტრის მიერ (ეს მოთხოვნა არსებობდა ავსტრიაში და გაუქმდა 1983 წელს), კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობაში არსებული საერთაშორისოდ მიუღებელი მოთხოვნა იმასთან დაკავშირებით, რომ ყველა არბიტრს კონკრეტული რელიგიური სარწმუნოება უნდა ჰქონდეს, იყოს მამაკაცი და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას Termorio-ს საქმეზე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველთან მიმართებაში (საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომლის ცნობისა და აღსრულების საკითხს იხილავდა აშშ-ს სასამართლო, გაუქმდა კოლუმბიის სასამართლოს მიერ იმ საფუძველით, რომ კოლუმბიის საარბიტრაჟო კანონმდებლობა კრძალავდა კოლუმბიაში წარმოებულ არბიტრაჟში ICC-ის წესების გამოყენებას).

ერთიანი უნიფიცირებული მიდგომის ჩამოყალიბება კონვენციის ხელშემკვერი სახელმწიფოების მხრიდან, რომ ერთი მხრივ, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომელიც გაუქმებულია საარბიტრაჟო განხილვის ადგილის ქვეყნის სასამართლოს მიერ წმინდა ლოკალური გაუქმების სტანდარტის საფუძველით, შეიძლება იქნას ცნობილი და აღსრულებული სხვა ქვეყანაში, ხოლო, მეორე მხრივ, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომლის გაუქმების საფუძველიც გახდა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტი, არ იქნება ცნობილი და აღსრულებული, ხელს შეუწყობს კონვენციის დასახული მიზნის წარმატებულად განხორციელებას და მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს საერთაშორისო არბიტრაჟის განვითარებასა და გაძლიერებას.

⁶⁸ Jan Paulsson, *supra*, n. 14.



დავით ტაბატაძე
იურიდიული კომპანია BLC Law Office

ღმამოსაყენებელი სამართლის და კომპატიბელური სასამართლოს მანსაზღვრა ელექტრონული ხელშეკრულებით

შესავალი

ინტერნეტის შექმნამ და გავრცელებამ მსოფლიოს მასშტაბით სრულიად შეცვალა ადამიანთა ყოველდღიურობა, კომუნიკაცია, ინფორმაციის გავრცელების სიჩქარე, მასშტაბები, ბიზნესის წარმოების პრაქტიკა. შეიქმნა სრულიად ახალი ტიპის ე.წ. „Dot-com კომპანიები“, რომელთა სამეწარმეო საქმიანობა მთლიანად საინფორმაციო ტექნოლოგიებთან, ელექტრონულ ვაჭრობასთან ან ელექტრონულ მომსახურებასთან არის დაკავშირებული¹. სოციალური ქსელების, ელექტრონული ვაჭრობის, ელექტრონული მომსახურების, ონლაინ სათამაშო ბიზნესისა და სხვა ინტერნეტ საშუალებების განვითარება განაპირობებს ახალი ტიპის სოციალური, ეკონომიკური და სამართლებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

ინტერნეტის გავრცელება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია გლობალიზაციის პროცესში. ინტერნეტის მეშვეობით განხორციელებული აქტივობები და დადებული გარიგებები, როგორც წესი, არის საერთაშორისო ხასიათის², რადგან ურთიერთობაში მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ქვეყანის მცხოვრები პირები და სხვადასხვა ქვეყანაში რეზიდენციის მქონე იურიდიული პირები. შესაბამისად, პირველი შეკითხვა, რომელიც დავის წარმოშობის შემთხვევაში ისმის, არის ის თუ რომელი ქვეყნის სასამართლოებმა უნდა განიხილონ დავა და რომელი ქვეყნის სამართლით უნდა დარეგულირდეს მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო თუ არასახელშეკრულებო ურთიერთობები.

კომპანიები ხშირ შემთხვევაში, მათ ვებ-გვერდებზე განთავსებული ხელშეკრულებით ითვალისწინებენ სასამართლოს და სამართლის არჩევის პირობებს³. საყურადღებოა, რამდენად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს ამ ტიპის ხელშეკრულებების ფორმა, მისი დადების პროცედურა და შინაარსი. ვინაიდან გარიგებების უმრავლესობა იდება პროფესიონალ სერვისის/პროდუქტის მომწოდებელსა და მომხმარებელს შორის, საყურადღებოა იმის ანალიზი თუ, რამდენად არის დაცული საქართველოში მომხმარებლის უფლებები. არსებობს თუ არა გარანტიები, რომ გარიგების ძლიერმა მხარემ ხელშეკრულებით არ შეზღუდოს პირის სამართლიანი სასამართლოს უფლება და არ განუსაზღვროს იმდაგვარი

¹ K. L. James, The Internet: A User's Guide, Eastern Economy edition, 2003, 208

² J. Basedow, T. Kono, Legal Aspects of Globalisation: Conflicts of Laws, Internet, Capital Markets and insolvency in a Global Economy, Kluwer Law International, 2000, 1-2

³ მაგ. იხ. Facebook-ის სტანდარტული პირობები <<https://www.facebook.com/legal/terms>> აგრეთვე, Google- <<https://www.google.com/intl/en/policies/terms/>> და Amazon http://www.amazon.com/gp/help/customer/display.html/ref=footer_cou?ie=UTF8&nodeId=508088>



სახელშეკრულებო პირობები, რომ პირმა ფიზიკურად ვერ შეძლოს მისი უფლებების განხორციელება?

ზემოაღნიშნული საკითხები ნაშრომში განხილულია შედარებით სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე. ნაშრომში წამოჭრილი ქართული კანონმდებლობის პრობლემური საკითხები გაანალიზებულია ევროკავშირისა და ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ჭრილში.

გარიგების ფორმა

სსკ-ს 68-ე მუხლი განსაზღვრავს გარიგების ფორმის განსაზღვრის თავისუფლებას. ნების გამოვლენის ნამდვილობისთვის შეიძლება აუცილებელი იყოს მისი ფორმის დაცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედებს ფორმის თავისუფლების პრინციპი⁴. კოდექსის 69-ე მუხლის პირველი ნაწილი განსხვავებს ორი ტიპის გარიგების ფორმას ესენია ზეპირი და წერილობითი. მიუხედავად აღნიშნულისა, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში განხილულია გარიგების სხვა ფორმებიც მათ შორის ელექტრონული და ტექსტური ფორმები⁵. ელექტრონულ ფორმით დადებულ ხელშეკრულებას წარმოადგენს ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ 2008 წლის 14 მარტის კანონის შესაბამისად ხელმოწერილი ხელშეკრულება. რაც შეეხება ტექსტურ ფორმას, გერმანიის სამოქალაქო კოდექსისგან განსხვავებით, ტექსტური ფორმა ქართული კანონმდებლობით არ არის რეგულირებული⁶.

ფუნქციურ-ეკვივალენტური მიდგომის საფუძველზე, ელექტრონული საშუალებების გამოყენებით დადებული ხელშეკრულება სრულად პასუხობს გარიგების მარტივი წერილობითი ფორმისთვის წაყენებულ მოთხოვნებს⁷. თუმცა იმისთვის, რომ აღნიშნულმა ფაქტორებმა თანაბრობამ იურიდიული ძალა შეიძინოს, საჭიროა ნორმატიული საფუძველი.

ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ კანონთან დაკავშირებით საქართველოს სასამართლოების მიდგომა წინააღმდეგობრივია. აღრევა ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134 მუხლის 1¹ ნაწილით გათვალისწინებულ ელექტრონული ხელმოწერით მინიჭებულ მტკიცებულებით ძალას, ელექტრონული საშუალებებით მიწოდებული ინფორმაციის მტკიცებულებად მიჩნევისა და ელექტრონული ხელმოწერით დადასტურებული დოკუმენტის მატერიალური

⁴ დ.კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებით სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009, 284.

⁵ იხ. მაგ: ლ.ჭანტურია, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2011, 347. აგრეთვე, თ. ზამზახიძე, ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები(პრობლემები და პერსპექტივა), ქართული სამართლის მიმოხილვა 8/2005-1/2, 114.

⁶ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი მიჯნავს ელექტრონულ და ტექსტურ ფორმას იხ. კოდექსის 126a და 126b პარაგრაფები, სადაც მოცემულია ორივე ფორმის განსაზღვრება. <http://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/englisch_bgb.html#p0376>

⁷ თ. ზამზახიძე, ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა), ქართული სამართლის მიმოხილვა, 8/2005-1/2, 2005, 118.



დოკუმენტთან გათანაბრებულ იურიდიულ ძალას შორის⁸. ონლაინ ხელშეკრულებების დადების ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმა არის ტექსტური ფორმა-„Click-Wrap“, „Srink-Wrap“, და „Web-Wrap“ (იგივე „Browse-Wrap“) ხელშეკრულებები⁹.

„Click-Wrap“ ხელშეკრულებები განვითარდა ელექტრონული ვაჭრობისთვის. მოცემული ფორმით ხელშეკრულება იდება შემდეგი წესით: ხელშეკრულების პირობები განთავსებულია ვებ-გვერდზე. იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელს სურს დადოს ხელშეკრულება მომწოდებელთან მან უნდა დააწკაპუნოს განსაზღვრულ სიმბოლოზე, რომ განაცხადოს თანხმობა (აქცეპტი) ხელშეკრულების პირობებზე. მომხმარებელს წინასწარ, ხელშეკრულების დადებამდე აქვს წვდომა ხელშეკრულების პირობებზე. მომწოდებელს კი ნებისმიერ დროს შეუძლია შეამოწმოს დაეთანხმა თუ არა კონტრაქტორი ხელშეკრულების პირობებს¹⁰.

„Srink-Wrap“ ხელშეკრულება იდება შემდეგი წესით. პროგრამული უზრუნველყოფა, რომელსაც შეიძენს მყიდველი შეფუთულია და შეფუთვაში განთავსებულია ხელშეკრულება, როდესაც მომხმარებელი ხსნის ყუთს და ჩატვირთავს პროგრამას კომპიუტერში, იგი ხელშეკრულებას დებს პროგრამული უზრუნველყოფის მომწოდებელთან¹¹. აშშ-ს სააპელაციო სასამართლომ დაადგინა „Srink-Wrap“ ხელშეკრულების ნამდვილობა და აღსრულებადობა. სასამართლოს განმარტებით, შეიძენს ჰქონდა შესაძლებლობა კონტრაქტის გაცნობის შემდეგ უკან დაებრუნებინა შეძენილი პროდუქტი¹². რაც შეეხება Web-Wrap/Browse-Wrap ხელშეკრულებას იგი Click-Wrap ხელშეკრულების მსგავსია. განსხვავება ამ ორი ტიპის ხელშეკრულების ფორმას შორის არის ის, რომ „Web-Wrap“ ხელშეკრულების დადებისას მხარეს არ მოეთხოვება განახორციელოს პოზიტიური მოქმედება, როგორცაა განსაზღვრულ სიმბოლოზე დაწკაპუნება და აქცეპტის ამ გზით განხორციელება. ხელშეკრულების პირობები ხელმისაწვდომია ელექტრონულად, ვიზიტორი ვებ-გვერდზე შესვლისას ხსნის ხელშეკრულებას. შესაბამისად, გამყიდველის ან სერვისის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების კონტრაქტორისათვის წარდგენა ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის პროცესში¹³. კონტრაქტორი ხელშეკრულების პირობებს ეთანხმება კონკრეტული ქმედების განხორციელებით მაგ. პროგრამის ჩამოტვირთვა, პროდუქტის შეძენა და ა.შ.

როგორც უკვე აღინიშნა, ტექსტურ ფორმას ქართული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებელი განსაზღვრავს,

⁸ იხ. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა – სუს, საქმე №ას-1275-1217-2013, 8 მაისი, 2014, აგრეთვე, საქმე №ას-962-920-2013, 7 მაისი, 2015.

⁹ D. Campbell, *The Internet: Laws and Regulatory Regimes*, Salzburg, 2009, CDN 20. აგრეთვე, G. J. H. Smith, *Internet Law and Regulation*, Sweet&Maxwell, , fourth edition, London, 2007, 821.

¹⁰ T. Pistorius. Click-Wrap and Web-Wrap Agreements, *South African Mercantile Law Journal* 16.4 (2004): 568-576

¹¹ J. Femminella, „Online Terms and Conditions Agreements: Bound by the Web. St. John's Journal of Legal Commentary 17.1 (2003): 94

¹² ProCD, Inc. v. Matthew Zeidenberg and Silken Mountain Web Services, Inc., United States Court of Appeals for the Seventh Circuit, 1996.

¹³ Ibid. 570



რომ გარიგება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით, ვებ-გვერდის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დადებული (ტექსტური ფორმის) ხელშეკრულება ვერ მიიჩნევა სამართლებრივი ძალის მქონედ.

გამოსაყენებელი სამართლის არჩევა

დისტანციურ, ინტერნეტით შემდგარ სახელშეკრულებო ურთიერთობაში, საყურადღებოა, რომელი ქვეყნის სამართლით უნდა გადაწყდეს ხელშეკრულების ფორმასთან შესაბამისობა.

გამოსაყენებელი სამართლის შესახებ რეგულაციის (Rome I) მე-11 მუხლის თანახმად, თუ ხელშეკრულება დადებულია მხარეთა შორის ერთსა და იმავე ქვეყანაში, მაშინ ფორმასთან შესაბამისობა დარეგულირდება მხარეთა მიერ შეთანხმებული გამოსაყენებელი სამართლით ან იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ხელშეკრულება დაიდო (Lex loci contractus)¹⁴. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება იდება სხვადასხვა ქვეყანაში მყოფ მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს შორის, ხელშეკრულების ფორმა ჩაითვლება დაცულად იმ ქვეყნის სამართლის შესაბამისად, რომლითაც რეგულირდება ხელშეკრულება, იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ერთ-ერთი მხარე (ან წარმომადგენელი) იმყოფება, ან ერთ-ერთი მხარეს აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი¹⁵.

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის (შემდგომში „სკს“) 29-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გარიგების ფორმა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც დაიდო ეს გარიგება ან იმ ქვეყნის სამართლით, რომელიც გამოიყენება გარიგების საგნის მიმართ. გარიგების ფორმა დაცულად ითვლება, თუ ხელშეკრულება დაიდო სხვადასხვა ქვეყანაში მყოფ პირებს შორის და იგი შეესაბამება ერთ-ერთი ქვეყნის სამართლის მოთხოვნებს გარიგების ფორმის შესახებ.

სკს არ ადგენს გამოსაყენებელი სამართლისთვის საჭირო სავალდებულო ფორმას. შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ სახელშეკრულებო დავა ქართული კანონმდებლობით უნდა გადაწყდეს, გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრა შესაძლებელია, როგორც ზეპირი ისე წერილობითი ან ტექსტური ფორმით.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ფორმის დაცვის მოთხოვნა არ არსებობს მათ შორის მომხმარებელსა და პროფესიონალ სერვისის ან საქონლის მიმწოდებელ პირს შორის დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, რაც ნიშნავს, იმას რომ მომხმარებელთან დადებული ელექტრონული ხელშეკრულებით ნებისმიერი ქვეყნის სამართლის არჩევა ჩაითვლება ნამდვილად.

¹⁴ C. M. V. Clarkson, J. Hill, The Conflict of Laws, Oxford University Press, fourth edition, 2011, 248

¹⁵ Regulation No 593/2008 (Rome I), Official Journal of The European Union L177/6, <<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:32008R0593>>



საერთაშორისო კომპეტენციის განსაზღვრა

კანონმდებელი სკს მე-18 მუხლით განსაზღვრავს მხარეთა თავისუფლებას აირჩიონ იმ ქვეყნის სასამართლო, რომელსაც ექნება საერთაშორისო იურისდიქცია. გამონაკლისი მხარეთა კერძო ავტონომიიდან არის შემთხვევები, როდესაც სასამართლოს აქვს გამომრიცხავი საერთაშორისო კომპეტენცია (მე-10 მუხლი) ან სახეზეა სკს 11-16 მუხლებით გათვალისწინებული უდავო საქმეთა წარმოება¹⁶ (უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, ქმედუნარიანობის შეზღუდვა, შვილად აყვანა და ა.შ.).

საერთაშორისო კომპეტენციის განსაზღვრისთვის კანონმდებელი ადგენს სავალდებულო შემდეგ ფორმებს - ა) წერილობით ან სიტყვიერად, წერილობითი დადასტურებით ბ) საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებისას იმ ფორმით, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სავაჭრო ჩვეულებებს და რაც მხარეებისათვის ცნობილია ან ცნობილი უნდა ყოფილიყო.

ბრიუსელის კონვენცია, რომლის მსგავს რეგულირებასაც გვთავაზობს სკს, არ ითვალისწინებდა ბრიუსელის რეგულაციის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამის ჩანაწერს. აღნიშნული პუნქტის თანახმად ელექტრონული საშუალებით განხორციელებული ნებისმიერი კომუნიკაცია, რომელიც უზრუნველყოფს შეთანხმების შენახვის შესაძლებლობას უთანაბრდება წერილობით ფორმას.

ელექტრონული ფორმის წერილობითთან გათანაბრება კომუნიკაციის ახალი ფორმების განვითარებამ განაპირობა¹⁷. აღნიშნული დათქმა შეესაბამება ელექტრონული ვაჭრობის შესახებ No 2000/31/EC დირექტივას, რომელიც მოითხოვს წევრი სახელმწიფოებისგან, რომ თავიანთ სამართლებრივ სისტემებში უზრუნველყონ ელექტრონული საშუალებებით ხელშეკრულების დადების შესაძლებლობა¹⁸.

ელექტრონული საშუალებით დადებული ხელშეკრულება უნდა აკმაყოფილებდეს რეგულაციით განსაზღვრულ ძირითად პირობას - შესაძლებელი უნდა იყოს მისი შენახვა, რეპროდუცირება, შემდგომი გამოყენება. „აღნიშნული რეგულირება მოიცავს ელექტრონული ფოსტით დადებულ შეთანხმებებსაც, ვინაიდან ელექტრონული შეტყობინებები შესაძლებელია ადვილად იქნეს შენახული მიმღების საფოსტო ყუთში (Mailbox), გადმოიწეროს კომპიუტერში ან ამოიბეჭდოს“¹⁹.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) 2015 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე Jaouad El Majdoub v. CarsOnTheWeb.Deutschland GmbH, რომლითაც სასამართლომ განმარტა ე.წ. დაწკაპუნებით დადებული ხელშეკრულების (Click-wrapping) შესაბამისობა, ბრიუსელის რეგულაციის განსახილველ ნორმასთან.

აღნიშნულ საქმეზე მხარე უთითებდა, რომ ხელშეკრულების ზოგადი პირობები (General terms and conditions), რომელიც შეიცავდა დათქმას საერთაშორისო

¹⁶ ს. გამყრელიძე, სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესში, მართლმსაჯულება და კანონი N3(30)'11, (2011) 25

¹⁷ U. Magnus/P. Mankowski/U. Magnus, Brussels I Regulation, European Commentaries on Private International Law 2007, art. 23, 419

¹⁸ Ibid. 419

¹⁹ U. Magnus/P. Mankowski/U. Magnus, Brussels I Regulation, European Commentaries on Private International Law 2007, art. 23, 419



კომპეტენციის თაობაზე, არ იხსნებოდა ავტომატურად, ვებ-გვერდზე რეგისტრაციის დროს და არც თითოეული შემენის განხორციელების დროს. ნაცვლად ამისა მითითებული იყო „მიწოდების და გადახდის პირობების ახალ ფანჯარაში გასახსნელად დააწკაპუნეთ აქ“. მყიდველი სანამ შეიძენდა ნივთს ეთანხმებოდა ზოგად პირობებს, თუმცა პირობები ავტომატურად არ იხსნებოდა და დამატებით დააწკაპუნება იყო საჭირო. მოსარჩელის მითითებით ფორმა დაცულად ჩაითვლებოდა თუ ავტომატურად გაიხსნებოდა ხელშეკრულების პირობები.

CJEU-მ განმარტა, რომ ბრიუსელის რეგულაციის მიზნებისთვის არ აქვს მნიშვნელობა ელექტრონული საშუალებით დადებული შეთანხმების ფაქტობრივად შენახვა განხორციელდა თუ არა. ნორმა მოითხოვს, რომ უზრუნველყოფილის იყოს შენახვის შესაძლებლობა. ანალოგიურად არის განმარტებული ნორმა კომენტარში, რომლის თანახმად მთავარია შესაძლებელი იყოს შეთანხმების რეპროდუცირება სხვადასხვა ფორმით, მათ შორის მყარ დისკზე ჩაწერით, ამობეჭდვით ან სხვა ფორმით. რა ფორმით იქნება შენახვის შესაძლებლობა ან ფაქტობრივად განხორციელდა თუ არა შენახვა, ფორმის დაცვის შეფასების მიზნებისთვის არ აქვს მნიშვნელობა.²⁰

ისევე როგორც წერილობითი ფორმის შემთხვევაში, ფორმასთან შესაბამისობის განხილვისას ძირითადი კრიტერიუმი იმის დადგენაა არსებობს თუ არა მხარეთა ნამდვილი თანხმობა სასამართლოს არჩევასთან დაკავშირებით. განსახილველ საქმეზე სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მყიდველი შესაბამისი ველის მონიშვნით (დაწკაპუნებით), დაეთანხმა ძირითად პირობებს, რომლის შემადგენელი იყო დათქმა საერთაშორისო კომპეტენციის თაობაზე. მეორე საყურადღებო საკითხს წარმოადგენდა შეთანხმების ნამდვილობა მათ შორის იმ წინაპირობის შემოწმების თვალსაზრისით, იძლეოდა თუ არა ელექტრონული ფორმა ხელშეკრულების ჩამოტვირთვის ან სხვაგვარად შენახვის შესაძლებლობას. სასამართლომ მიიჩნია, რომ Click-wrapping მეთოდით დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში შესაძლებელია მისი ჩამოტვირთვა ან ამობეჭდვა ხელშეკრულების დადებამდე. შესაბამისად სასამართლომ არ გაიზიარა მხარის მოსაზრება, რომლის თანახმად ის ფაქტი, რომ ვებ-გვერდზე დარეგისტრირების ან თითოეული შესყიდვის განხორციელების მომენტში ხელშეკრულება ავტომატურად არ იხსნებოდა, გავლენას ახდენდა მის ფორმასთან შესაბამისობაზე.

აღნიშნული არგუმენტებიდან გამომდინარე სასამართლომ დაადგინა, რომ ელექტრონული საშუალებით „Click-wrapping“ მეთოდით დადებული ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს სასამართლოს არჩევის შესახებ პირობას, წარმოადგენს კომუნიკაციას ელექტრონული საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს ხელშეკრულების შენახვის შესაძლებლობას (23-2). აღნიშნული მეთოდით ხელშეკრულების დადებამდე, შესაძლებელია შეთანხმების ტექსტის ჩამოტვირთვა, ამობეჭდვა, შენახვა²¹.

ქართული კოლიზიური კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დათქმას ტექსტური ფორმის წერილობითთან გათანაბრებასთან დაკავშირებით. როგორც უკვე აღინიშნა, სკს მე-18 მუხლი, ბრიუსელის კონვენციის გავლენით (რომელშიც არ

²⁰ U.Magnus/P.Mankowski/U. Magnus, Brussels I Regulation, European Commentaries on Private International Law 2007, art. 23, 419

²¹ Jaouad El Majdoub v CarsOnTheWeb.DeutschlandGmbH, (Case C322/14), 2015, CJEU



იყო აღნიშნული ნორმა), მხოლოდ წერილობით ფორმას, ზეპირი შეთანხმების წერილობით დადასტურებას და საერთაშორისო ჩვეულებებით დადგენილ ფორმას აღიარებს. შესაბამისად, საკანონმდებლო რეგულირების გარეშე რჩება ელექტრონული საშუალებებით დადებულ ხელშეკრულებებში არსებული პირობები სასამართლო-ების საერთაშორისო კომპეტენციის თაობაზე, რაც გულისხმობს იმას, რომ ელექტრონული საშუალებით საერთაშორისო კომპეტენციის შესახებ შეთანხმება, ვერ მიიჩნევა ნამდვილად ვინაიდან არ აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ არცერთ ფორმას.

მომხმარებელთან დადებული ონლაინ ხელშეკრულება

მხარეთა კერძო ავტონომია აღიარებულია ქართული კოლიზური კანონმდებლობით, კერძოდ სკს-ს ნორმებით. მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ გამოსაყენებელი სამართალი და კომპეტენტური სასამართლო²². მიუხედავად ამისა, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება მხარეები რამდენად თავისუფალნი უნდა იყვნენ, რომ აირჩიონ გამოსაყენებელი სამართალი/კომპეტენტური სასამართლო, მომხმარებელთან დადებულ ხელშეკრულებებში, რადგან უფრო ძლიერი კონტრაქტის შეუზღუდავმა გავლენამ შესაძლებელია მიგვიყვანოს არასამართლიან შედეგებამდე²³. კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა აგრეთვე, იურისდიქციის შესახებ პირობებიც მომხმარებელთან დადებულ ელექტრონული ვაჭრობის ხელშეკრულებაში²⁴. არათანასწორი გავლენის გადანაწილება მომხმარებელთან დადებულ ხელშეკრულებაში, გულისხმობს იმას, რომ როგორც წესი სტანდარტულ ხელშეკრულება სასამართლოს არჩევის პირობით, შეთავაზებულია ერთპიროვნულად მეწარმის მიერ და მომხმარებელი იძულებულია დაეთანხმოს შეთავაზებულ პირობებს, ან უარი თქვას მთლიანად გარიგებაზე²⁵. სტანდარტული პირობების შეთავაზებისას, მომხმარებელს არ აქვს შესაძლებლობა შეცვალოს ხელშეკრულების პირობები, მით უფრო როდესაც სახეზეა ინტერნეტით დადებული ხელშეკრულება, როდესაც არ ხდება მოლაპარაკება მხარეთა შორის მომხმარებლის გავლენა ხელშეკრულებაზე მხოლოდ მისი პირობების მიღებით ან ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმით გამოიხატება.

ბრიუსელის რეგულაციის 15-17 მუხლების თანახმად ზოგადი იურისდიქციის დადგენის წესი სამომხმარებლო ხელშეკრულებებში(B2C) იგივეა რაც მეწარმეთა შორის დადებულ ხელშეკრულებებში(B2B), იმ თვალსაზრისით, რომ ჩვეულებრივი ადგილსამყოფელის წესი არის გამოყენებული ორივე ტიპის ხელშეკრულებებში. მომხმარებელს შეუძლია აირჩიოს სად შეიტანს სარჩელს, ქვეყანაში სადაც მეორე მხარეს აქვს ადგილსამყოფელი ან თავად მომხმარებლის ქვეყანაში²⁶.

²² სკს 18-ე და 35-ე მუხლები

²³ Tang, Zheng. Parties Choice of Law in E-Consumer Contracts, Journal of Private International Law 3. 1 (2007): 113

²⁴ Tang, Zheng. Exclusive Choice of Forum Clauses and Consumer Contracts in E-Commerce, Journal of Private International Law 1 (2005): 237

²⁵ Ibid. 237

²⁶ F. Fangfei Wang, Internet Jurisdiction and Choice of Law: Legal Practices in the EU, US and China, Cambridge University Press, Cambridge, 2010, 58



რაც შერხება გამოსაყენებელ სამართალს Rome I რეგულაცია ცნობს კერძო ავტონომიას მაგრამ ამავედროულად იგი სამართლის არჩევის თავისუფლების განსაზღვრულ ხარისხს უდგენს მხარეებს²⁷. რეგულაციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად მიუხედავად პირველი პარაგრაფისა (სამომხმარებლო ხელშეკრულება უნდა დაექვემდებაროს იმ ქვეყნის სამართალს სადაც მომხმარებელს აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი) მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ გამოსაყენებელი სამართალი, თუმცა ასეთმა არჩევანმა არ უნდა წაართვას მომხმარებელს იმ ქვეყნის სამართლის დამცავი ნორმებით მინიჭებული უფლებები, რომელიც სამართლის არჩევის პირობის არარსებობის შემთხვევაში იქნებოდა გამოსაყენებელი²⁸.

მართალია, ინტერნეტი აძლევს მომხმარებლებს მეტ შესაძლებლობას მოიძიონ და გაცვალონ ინფორმაცია ელექტრონული მომსახურების გამწევის ან პროდუქტის მომწოდებლის სანდოობის შესახებ თუმცა აღნიშნული არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ინტერნეტ მომხმარებლებზე გავრცელდეს ნაკლები დამცავი ნორმები²⁹.

მომხმარებლის უფლებების დაცვისთვის განკუთვნილი ნორმები ვრცელდება პირებზე, რომლებიც ხელშეკრულებას დებენ საკუთარი კომპიუტერის მაუსზე დაწკაპუნების გზით³⁰. აღნიშნული ნორმები ეხება მხოლოდ საბოლოო მომხმარებელს, რომელიც არ არის ჩართული ვაჭრობასა და სხვა პროფესიულ საქმიანობაში³¹.

საქმეზე Content Services Ltd v Bundesarbeitskammer, CJEU-მ განმარტა, რომ დისტანციური ხელშეკრულებებთან დაკავშირებით მომხმარებელთა უფლებების დაცვის N97/7/EC დირექტივის 5(1) მუხლი განმარტებულ უნდა იქნეს ისე, რომ სამეწარმეო პრაქტიკა, რომელიც მომხმარებელს მხოლოდ ვებგვერდზე განთავსებული ლინკის მეშვეობით აწვდის ინფორმაციას ხელშეკრულების გაუქმების შესახებ, არ შეესაბამება აღნიშნული ნორმის მოთხოვნებს, რადგან ინფორმაცია არ არის არც „მიწოდებული“ მეწარმე სუბიერქტის მიერ და არც „მიღებული“ მომხმარებლის მიერ აღნიშნული ნორმის შინაარსის შესაბამისად და მსგავსი ვებ-გვერდი ვერ იქნება მიჩნეული ინფორმაციის მიწოდების სათანადო საშუალებად, რომლის გრძელვადიანი გამოყენება და შენახვა შესაძლებელია 5(1) მუხლის მოთხოვნის შესაბამისად³².

სასამართლომ მიიჩნია, რომ მომხმარებლისთვის მიწოდებული ინფორმაციის შენახვა შესაძლებელი უნდა იყოს, რათა მისი შინაარსის შემდგომი შეცვლა არ მოხდეს, და მომხმარებელს ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ შეინახოს და რეპროდუქცირება

²⁷ Ibid.107

²⁸ REGULATION (EC) No 593/2008 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 17 June 2008 on the law applicable to contractual obligations (Rome I) art. 6

²⁹ Van der Hof, Simone, European Conflict Rules concerning International Online Consumer Contracts [article]

Information & Communications Technology Law, Vol. 12, Issue 2 (June 2003), pp. 167

³⁰ Schulze, Christian. "Electronic Commerce and Civil Jurisdiction, with Special Reference to Consumer Contracts." South African Mercantile Law Journal 18.1 (2006), 38

³¹ Shearson Lehmann Hutton Inc. v TVB Treuhandgesellschaft für Vermögensverwaltung und Beteiligungen mbH., (Case C-89/91) 19 January 1993. Para 18, 20

³² Content Services Ltd V Bundesarbeitskammer(Case C49/11), 5 July 2012



გაუკეთოს ინფორმაციას შეუცვლელი სახით³³.

აღნიშნული განმარტება არ გაითვალისწინა CJEU-მ 2015 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებაში და განმარტა, რომ სასამართლოს მიერ Content Services Ltd v Bundesarbeitskammer საქმეზე გაკეთებული ზემოაღნიშნული განმარტება, გამომდინარეობდა N97/7 დირექტივის 5(1) მუხლის შინაარსიდან და აგრეთვე დირექტივის მიზნიდან, რომელიც მიმართულია მომხმარებლის უფლებების დაცვისკენ. სასამართლოს მითითებით ბრიუსელის რეგულაციის 23(2) მუხლთან მიმართებით აღნიშნული ინტერპრეტაციის გამოყენება შეუძლებელია, მისი განსხვავებული შინაარსის და მიზნიდან გამომდინარე.

როგორც ევროკავშირის კანონმდებლობა ისე ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიდგომა Click Wrap ხელშეკრულებების დადების შემთხვევაში, მკაცრ მოთხოვნებს უყენებს მომსახურების მომწოდებლებს, რათა შექმნან ტექნიკურად იმ ტიპის ხელშეკრულების ფორმა, რომ მომხმარებლისთვის ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომი და ამავედროულად შენახვადი იყოს.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკანონმდებლო საფუძვლელი საქართველოში არ არსებობს 2012 წლის 8 მაისის კანონის ძალაში შესვლის შემდეგ, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონი³⁴. ამდენად, გარდა სამოქალაქო კოდექსის 342-348 მუხლებისა, რომელიც ეხება ხელშეკრულების სტანდარტული პირობებს, არ არსებობს მომხმარებელთა დაცვის სპეციალური ნორმები.

რაც შეეხება სკს-ს რეგულირებას მომხმარებლის უფლებებთან დაკავშირებით სკს 38-ე მუხლის თანახმად სამართლის არჩევა ჩაითვლება ბათილად, თუ იგი უგულებელყოფს იმ იმპერატიულ ნორმებს, რომლებიც მიღებულია მომხმარებელთა და მუშა-მოსამსახურეთა დისკრიმინაციისაგან დასაცავად. ეს წესი აგრეთვე გამოიყენება მოძრავი ნივთების მიწოდების, დაფინანსების, შრომის ან მომსახურების ხელშეკრულებების მიმართ, თუ ისინი იმ ქვეყანაში იქნა შეთანხმებული ან დადებული, სადაც მომხმარებლებსა და მუშა-მოსამსახურეებს აქვთ საცხოვრებელი ადგილი და სადაც ასეთი დამცავი ნორმები მოქმედებს. აგრეთვე, სკს 35-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად სამართლის არჩევა ჩაითვლება ბათილად, თუ იგი უგულებელყოფს ხელშეკრულებასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართლის იმპერატიულ ნორმებს.

აღნიშნული ნორმები არ უზრუნველყოფს რეალურად მომხმარებლის უფლებების დაცვას ვინაიდან: 1) საქართველოში ფაქტობრივად არ მოქმედებს „იმპერატიული ნორმები, რომლებიც მიღებულია მომხმარებელთა და მუშა-მოსამსახურეთა დისკრიმინაციისაგან დასაცავად“. 2) კანონის აღნიშნული ნორმები ეხება მხოლოდ სამართლის არჩევას და კანონი არაფერს ამბობს სასამართლოს არჩევის შესახებ

³³ Content Services Ltd V Bundesarbeitskammer(Case C49/11), 5 july 2012 para 43

³⁴ საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი №615 7



შეთანხმებაზე. 3) კანონი არაფერს ამბობს იმაზე თუ ვინ არის მომხმარებელი³⁵. 4) კანონი არ განსაზღვრავს საქართველოში მაცხოვრებელი მომხმარებლის მიერ სარჩელის შეტანისას დავის საქართველოს სასამართლოებისთვის დაქვემდებარების ვალდებულებას, შესაბამისად მომხმარებელი იძულებული იქნება სარჩელი წარადგინოს ზოგადი წესის შესაბამისად მოპასუხის ჩვეულებრივი ადგილსამყოფელის მიხედვით. 5) აღნიშნული რეგულირება არ აკმაყოფილებს კანონის განსაზღვრულობის პრინციპს, იმდენად რამდენადაც ბუნდოვანია მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები.

ზემოაღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭიროა არსებობდეს მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ ნორმები, რომელიც უნდა შეიცავდეს მათ შორის ინტერნეტით დადებული ხელშეკრულებების სპეციფიკის გათვალისწინებით ხელშეკრულების სუსტი და ძლიერი მხარის უფლება-მოვალეობებს, ინფორმირების სათანადო წესით მიწოდების ვალდებულებას, დისტანციური ხელშეკრულების დადების და შესრულების სპეციალურ ნორმებს და ა.შ.

რაც შეეხება სკს-ს ნორმებს - ბრიუსელის და Rome I რეგულაციების და CJEU-ს სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, კანონით უნდა განისაზღვროს სპეციალური ნორმები, როგორც მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულებით სამართლის და სასამართლოს არჩევის შესახებ, ისე შეთანხმების არარსებობის პირობებში გამოსაყენებელი სამართლის და კომპეტენტური სასამართლოს განსაზღვრის სპეციალური ნორმებს.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, ქართული კანონმდებლობა მოძველებულია და შეიცავს მთელ რიგ ხარვეზებს. რიგ შემთხვევებში, კანონმდებელი საერთოდ არ არეგულირებს მეტად მნიშვნელოვან საკითხებს ან არსებული რეგულირება ბუნდოვანია და ნათლად განჭვრეტადი არ არის შესაძლო სამართლებრივი შედეგები.

გარიგების ფორმებთან დაკავშირებით, ქართული კანონმდებლობა არ არეგულირებს ინტერნეტით დადებული ხელშეკრულების ფორმას - ტექსტურ ფორმას. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებელი განსაზღვრავს, რომ გარიგება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით, ვებ-გვერდის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დადებული (ტექსტური ფორმის) ხელშეკრულება ვერ მიიჩნევა სამართლებრივი ძალის მქონედ. საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონი არ შეიცავს ნორმას ტექსტური ფორმის წერილობითთან გათანაბრების თაობაზე, რაც დისტანციური ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საერთაშორისო კომპეტენციის შესახებ დათქმის ნამდვილობას გამორიცხავს.

სტატიაში განხილულ იქნა მომხმარებლის უფლებების დაცვის საკითხი.

³⁵ ბრიუსელის რეგულაციის მუხლი 15(1) მუხლი იძლევა „მომხმარებლის“ განმარტებას, როგორც „პირი რომელიც ხელშეკრულებას დებს მისი საქმიანობისა და პროფესიის მიღმა“. ანალოგიურ განმარტებას აკეთებს რომის რეგულაცია.



პრობლემატურია მომხმარებლის უფლებების შესახებ ნორმების არარსებობა და მომხმარებელთა შესახებ არსებული კოლიზიური ნორმის ბუნდოვანება, რაც ეწინააღმდეგება კანონის განსაზღვრულობის პრინციპს. ხარვეზების აღმოსაფხვრელად მომხმარებლის უფლებების დაცვის მიზნით, საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონში საჭიროა არსებობდეს სპეციალური ნორმები, კომპეტენტური სასამართლოს და გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრის თაობაზე B2C სახელშეკრულებო ურთიერთობისას, ინტერნეტით დადებული ხელშეკრულებების სპეციფიკის გათვალისწინებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საჭიროებს ცვლილებებს, რათა მოიცვას ონლაინ სახელშეკრულებო ურთიერთობა და გაუადვილოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენციის და გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრა.



ბექა ინჯია
საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი(GIAC)
გენერალური მდივანი

◈ „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინის თავისებურებები არბიტრაჟში

შესავალი

ბოლო პერიოდში ქართულ იურიდიულ ცხოვრებაში, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მიმართულებით აქტუალურად განიხილება კომპანიის ვალდებულებებისთვის პარტნიორთა პასუხისმგებლობის შესაძლებლობები, სამართლებრივი საფუძვლები და კრიტერიუმები. აღნიშნული თემის განხილვის სიხშირე და ინტერესები უმთავრესად განპირობებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ უკანასკნელ პერიოდში მიღებული ორი გადაწყვეტილებით,¹ რომლითაც სასამართლომ დაადგინა ერთგვარი პრაქტიკა პარტნიორთა და დირექტორთა პირადი პასუხისმგებლობის საკითხებზე. მითითებული გადაწყვეტილებით დადგენილი პრაქტიკა იურიდიული წრეებში არაერთხელ გახდა განხილვის საგანი. გამოთქმულ იქნა როგორც პოზიტიური, ასევე კრიტიკული მოსაზრებები, თუმცა ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას შემდეგი: ეს იყო შემთხვევა, როდესაც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ პირველად იმსჯელა კომპანიის ვალდებულებებისთვის პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის საფუძვლებზე და განმარტა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი. ამასთან, აღნიშნული გადაწყვეტილებების შემდგომმა არაერთგვაროვანმა გამოხმაურებებმა და აქტუალურობამ ცხადყო, რომ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში საკითხი არ არის ძირეულად შესწავლილი.

გამომდინარე აქედან, საინტერესოა მრავალმხრივ იქნას დანახული და წარმოჩენილი საკორპორაციო სამართალში პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის საფუძვლები კომპანიის ვალდებულებებზე, ე.წ. „კორპორაციული საფარველის გაჭოლვა“, სხვაგვარად ე.წ. „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინა.

„გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინა სტატიაში განხილული იქნება არბიტრაჟთან მიმართებაში, კერძოდ, დახასიათებული იქნება მისი დანიშნულება და გამოყენების ფარგლები საარბიტრაჟო სამართალში.

საარბიტრაჟო პროცესში „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინის გამოყენებისას არაერთი პრობლემატური საკითხი წარმოიშვება, რომელსაც საკორპორაციო სამართლის პირობებში დავის არსიდან გამომდინარე პარტნიორზე პასუხისმგებლობის გავრცელებისას ადგილი არ აქვს. თუმცა სტატიაში განხილული იქნება „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინის ის მთავარი დამახასიათებელი

¹ უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილებები, საქმე №ას-1307-1245-2014 და №ას-1158-1104-2014.



ასპექტები და თავისებურებები, რომელის სახეზეა მისი საარბიტრაჟო პროცესში ტრანსფორმირებისას.

თავიდანვე შეიძლება აღინიშნოს, რომ „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინა, როგორც საკორპორაციო სამართლის პრინციპი, არბიტრაჟში შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც პროცესუალური ასევე მატერიალური თვალსაზრისით. სტატიის დოქტრინას ძირითადად განიხილავს პროცესუალური კუთხით, რაც გულისხმობს, რომ დოქტრინის საფუძველზე შესაძლებელია საარბიტრაჟო შეთანხმება, რომელიც წარმოადგენს არბიტრაჟის არსებობის ფუნდამენტურ საფუძველს, სავალდებულო გახდეს კომპანიის პარტნიორისთვის, რომელიც თავის მხრივ არ ყოფილა საარბიტრაჟო შეთანხმების ხელმომწერი მხარე.

ი.წ. „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინის გამოყენების მიზანი არბიტრაჟში

თანამედროვე კომერციული გარიგებები მრავლად შეიცავს კომპლექსურ საკითხებს, რაშიც მოიაზრება არა ორმხრივი, არამედ ორი და მეტი მხარის ურთიერთგადამკვეთი ინტერესები. სხვადასხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, ხშირია შემთხვევები (მაგ. ფინანსური, საგადასახადო, პოლიტიკური და ა.შ.), როდესაც ფიზიკური პირები, კომპანიები და სახელმწიფოები არ წარმოადგენენ კონკრეტული ხელშეკრულების მხარეებს, თუმცა გააჩნიათ მნიშვნელოვანი ინტერესი და კავშირი ასეთ გარიგებასთან. აღნიშნული ტრანზაქციებიდან წარმოშობილ დავებში უმეტესწილად სხვადასხვა დონით ჩართულია არაერთი მხარე.² ამ დროს მთავარი კითხვა მდგომარეობს შემდეგში: შეიძლება თუ არა საარბიტრაჟო დათქმა, რომელიც მოცემულია ხელშეკრულებაში „გავრცელდეს“³ იმ პირებზე, რომლებსაც არასდროს მოუწერიათ ხელი მასზე.

არბიტრაჟს გააჩნია კერძო სამართლებრივი ბუნება, რაც იმას გულისხმობს, რომ მხოლოდ საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეებს შეუძლიათ დავის არბიტრაჟში განხილვა, თუმცა არსებობს გამონაკლისები და პრაქტიკაში არსებობს არაერთი შემთხვევა, როდესაც ხელშეკრულებაზე არახელმომწერ მესამე პირზე გავრცელდებულა და მათთვის შესასრულებლად სავალდებულო გამხდარა საარბიტრაჟო შეთანხმება. ასეთ შემთხვევებში დაისმის კითხვა თუ რა არის საარბიტრაჟო შეთანხმების არახელმომწერ მესამე მხარეზე გავრცელების საჭიროება და მიზეზი? ამ კითხვის ერთადერთი პასუხი მდგომარეობს შესაბამისი ფიზიკური პირების, კომპანიებისა და სახელმწიფოების ინტერესებში. ერთ შემთხვევაში, ხელშეკრულების ხელმომწერი მხარის ინტერესში შეიძლება შედიოდეს არახელმომწერი მესამე მხარის საარბიტრაჟო შეთანხმებით დავალდებულება, გამომდინარე იქიდან, რომ ეს უკანასკნელი მიიჩნეოდეს ხელშეკრულების ნამდვილ მხარედ. მეორე შემთხვევაში, თავად ხელშეკრულებაზე არახელმომწერი მხარის ინიციატივით შეიძლება იქნას მოთხოვნილი საარბიტრაჟო შეთანხმების მასზე გავრცელება, თუ მას მიაჩნია, რომ იგი გარკვეულ სარგებელს

² C. B. Lamm, J. A. Aqua, 'Defining the party – Who is a Proper Party in an International Arbitration before the American Arbitration Association?', Int. A.L.R., Vol. 5, issue 3, (2002) 84.

³ სიტყვა „გავრცელებაში“ იგულისხმება არახელმომწერი მხარის საარბიტრაჟო შეთანხმებით დავალდებულება. სხვა სიტყვებით: საარბიტრაჟო შეთანხმება სავალდებულო ხდება არახელმომწერი მესამე პირებისთვის.



მიიღებს.

არბიტრაჟის მთავარი საფუძველი მხარეთა ნების გამოვლენის თავისუფლებაში მდგომარეობს, კერძოდ, იმისათვის, რომ მხარეებმა დავა განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს საჭიროა მათ შორის ნათლად გამოხატული თანხმობა არბიტრაჟის მიერ დავის გადაწყვეტაზე, თუმცა როგორც უკვე აღინიშნა გარკვეული პირობების არსებობის შემთხვევაში საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება გავრცელდეს ხელშეკრულების არახელმომწერ მესამე პირზეც. ასეთი გავრცელების დროს არ არსებობს არახელმომწერი მესამე პირის ნათლად გამოხატული ნება საარბიტრაჟო შეთანხმების დადებაზე. გამომდინარე აქედან, იმისათვის, რომ გამართლებული იყოს საარბიტრაჟო შეთანხმების მესამე პირზე გავრცელება, არბიტრებისა და მოსამართლეების მიერ ხშირად გამოიყენება სხვადასხვა სამართლებრივი თეორიები და დოქტრინები. ყველა ეს თეორია წარმოადგენს იმ გადაწყვეტილების საფუძველს, რაც დაკავშირებულია კითხვასთან თუ ვინ უნდა იქნას განხილული საარბიტრაჟო შეთანხმების მხარედ. არბიტრაჟის კონტექსტში გამოყენებადი ასეთი სამართლებრივი თეორიების უმრავლესობა განვითარდა ვალდებულებით სამართალში და გააჩნია წმინდა სახელშეკრულებო ბუნება (მაგ., წარმომადგენლობა, ცესია), თუმცა შეიძლება არსებობდეს თეორიები, რომელთაც გააჩნიათ არასახელშეკრულებო ხასიათი (მაგ. „ესტოპელი“, „ალტერ - ეგო“).⁴

„გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინა წარმოადგენს სწორედ ერთ-ერთ ზემოთ აღნიშნულ სამართლებრივ თეორიას, რომელიც სასამართლოებისა და საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ გამოყენებულია არახელმომწერ მესამე პირზე საარბიტრაჟო შეთანხმების გავრცელებისთვის, თუ ამისათვის შესაბამისი პირობები არსებობს.

დოქტრინა ცნობილია თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყნის სამართალში. როგორც არაერთხელ აღინიშნა „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინა განვითარდა და არსებობს საკორპორაციო სამართლის თეორიის სახით, თუმცა არბიტრაჟში იგი ტრანსფორმირდა, როგორც პროცესუალური მექანიზმი საარბიტრაჟო შეთანხმების იმ არახელმომწერ მესამე პირზე გავრცელების, რომელთაც პირდაპირი კავშირი აქვთ რომელიმე ხელმომწერ მხარესთან. ისევე, როგორც საკორპორაციო სამართალში, დოქტრინა არბიტრაჟში გამოიყენება იმისათვის, რომ კომპანიის პარტნიორისთვის სავალდებულო შესასრულებელი გახდეს ის საარბიტრაჟო შეთანხმება, რომელიც მოცემულია კომპანიის მიერ დადებულ ხელშეკრულებაში და რომელზედაც პარტნიორს უშუალოდ ხელი არ მოუწერია.

სხვა სამართლებრივი თეორიებისგან განსხვავებით „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინა არ არის დაფუძნებული მხარეთა ნებაზე. გარკვეული პირობების არსებობიდან გამომდინარე საარბიტრაჟო ტრიბუნალები ან სასამართლოები ხელშეკრულებაზე ხელმომწერი კომპანიის ე.წ. „კორპორაციული საფარველის გაჭოლის“ შედეგად საარბიტრაჟო შეთანხმების მხარედ რთავენ არახელმომწერ მესამე პირს, მათი ნების მიუხედავად. ამიტომ, აღნიშნული დოქტრინის გამოყენებისთვის მთავარია აღმოჩენილ იქნას მისი კონკრეტული წინაპირობები.

⁴ G. B. Born, International Commercial Arbitration, Vol. I, Kluwer Law International, 2009, 1141.



„გამჭოლი პასუხისმგებლობა“ წარმოადგენს საკორპორაციო სამართლის უმთავრესი პრინციპიდან - პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმიდან - გამონაკლისს. პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმა საკორპორაციო სამართალში მთავარ სიკეთედ მიიჩნევა, რაც იმას ნიშნავს, რომ კომპანიის პარტნიორები პასუხისმგებლები არ არიან საზოგადოების ვალდებულებებზე. მიუხედავად იმისა, რომ პასუხისმგებლობის შეზღუდვა გარანტირებულია თითქმის ყველა კანონმდებლობით, აღნიშნული წესი მაინც არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას. კომპანიის შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმა შეიძლება იგნორირებულ იქნას „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინის საფუძველზე და კომპანიის პარტნიორები პასუხისმგებლები გახდნენ კომპანიის მიერ დადებული საარბიტრაჟო შეთანხმების შესრულებაზე, ანუ სხვა სიტყვებით, შეიძლება გახდნენ საარბიტრაჟო შეთანხმების მხარე.

„გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინა აღიარებულია არა მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობებისა და პრაქტიკის დონეზე არამედ საერთაშორისო სამართლის პრაქტიკაშიც. საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლო ერთ-ერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ: „კორპორაციული საფარველის გაჭოლვა“, იგივე შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის იგნორირება ჩაითვლება გამართლებულად და სამართლიანად გარკვეულ შემთხვევებში ან გარვეული მიზეზებისთვის. ქვეყნის სამართალში დაგროვებული უხვი პრაქტიკა მოწმობს, რომ კორპორაციული საფარველი უნდა გაიჭოლოს, რათა თავიდან იქნას აცილებული შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის სიკეთის ბოროტად გამოყენება, თაღლითობის ან არამართლზომიერი ქმედების შემთხვევებში, იმისათვის, რომ დაცული იქნას მესამე პირები, როგორც კრედიტორები ან ალკვეთილ იქნას პასუხისმგებლობის ან კანონის მოთხოვნების თავის არიდება.⁵ როგორც უკვე აღინიშნა, არბიტრაჟში „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინა დასაწყის ეტაპზე გამოიყენება, რაც გულისხმობს საარბიტრაჟო შეთანხმების არახელმძღვრ მესამე პირებზე (ანუ კომპანიის პარტნიორზე) გავრცელებას. ზოგიერთი ავტორის განმარტებით, დოქტრინის მოხმობა, როგორც საარბიტრაჟო დათქმის არახელმძღვრ მესამე პირებზე გავრცელების საშუალება არასწორია, ვინაიდან „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინის გამოყენებისას სადავო ხდება კომპანიის იურიდიული ფორმა, იგივე შეზღუდული პასუხისმგებლობა და წარმოიშობა მისი საფარველის გაჭოლვის აუცილებლობა, რის შედეგადაც ყოველგვარი ვალდებულება მიმართული უნდა იქნას მხოლოდ ამ კომპანიის მესაკუთრე პარტნიორზე, რომელიც დგას შეზღუდული პასუხისმგებლობის უკან. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, დოქტრინის შესაბამისად საარბიტრაჟო შეთანხმების მხარე არის კომპანიის პარტნიორი და არა პარტნიორი და კომპანია ერთად.⁶ წარმოდგენილი მიდგომის მიმდევრების თანახმად, „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინას, მისი ზუსტი მნიშვნელობით, არ აქვს სახელშეკრულებო ვალდებულებების, მათ შორის არბიტრაჟში დავის გადაცემის

⁵ Barcelona Traction, Light and Power Company, Limited, (Belgium v Spain), (1970) Judgment, ICJ Reports 1970, Para. 56.

⁶ J-F. Poudret and S. Besson, Comparative Law of International Arbitration, (2nd edn., Sweet & Maxwell, London, 2007) Para 353.



ვალდებულების, სხვა მხარეზე გავრცელების სამართლებრივი შედეგი, არამედ პირიქით დოქტრინის შედეგად ხდება კომპანიის, იგივე ფიქციის, „საფარველის გაჭოლვა“ ანუ მისი შეცვლა მესაკუთრე პარტნიორით. ამრიგად, ამ მიდგომის მიხედვით, მხარე, რომელიც ითხოვს საარბიტრაჟო შეთანხმების გავრცელებას არახელმომწერ მესამე პირზე „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინის საფუძველზე, ვერ იდავებს, რომ კომპანიისთვის, რომლის „საფარველის გაჭოლვა“ ხდება კვლავ სავალდებულოა საარბიტრაჟო შეთანხმება.⁷ აუცილებელია აღინიშნოს, რომ ზემოთ წარმოდგენილ მიდგომებს აქვთ არსებობის უფლება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმების გავრცელება ხელშეკრულების არახელმომწერ მესამე პირზე გაგებულია ძალიან ვიწროდ და პირდაპირი მნიშვნელობით. ასეთი განმარტებით ნათელია, რომ დოქტრინის შესაბამისად, მხოლოდ კომპანიის მესაკუთრე პარტნიორი არის პასუხისმგებელი საარბიტრაჟო შეთანხმების შესრულებაზე, თუმცა, მეორეს მხრივ, საარბიტრაჟო შეთანხმების მესამე პირზე გავრცელებაში ნაგულისხმევია საარბიტრაჟო შეთანხმებისე.წ., „ნამდვილი მხარის“ პოვნისიდეა. შესაბამისად, დოქტრინის გამოყენება ნიშნავს „ნამდვილი მხარის“ აღმოჩენას, რათა მასზე გავრცელდეს საარბიტრაჟო შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები. ამ საკითხთან დაკავშირებული მთავარი სადაო საკითხი მაინც მდგომარეობს იმაში, თუ ვინ იქნება საარბიტრაჟო შეთანხმებით შებოჭილი, მხოლოდ პარტნიორი, რომელსაც არ მოუწერია ხელი ხელშეკრულებაზე, მაგრამ დოქტრინის ძალით გახდა შეთანხმების მხარე, თუ ორივე პარტნიორი და კომპანიაც, რომლის კორპორაციული საფარველი გაიჭოლვა. სავსებით შესაძლებელია საარბიტრაჟო ტრიბუნალმა ან სასამართლომ ხელმომწერი კომპანია ცნოს საარბიტრაჟო შეთანხმებაზე პასუხისმგებლად და ამავე დროს მისი კორპორაციული საფარველის გაჭოლვით საარბიტრაჟო შეთანხმებით დაავალდებულოს პარტნიორი, იმის გათვალისწინებით, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის გამოყენების ყველა პირობა დაკმაყოფილებული იქნება. შვეიცარიის ფედერალურმა სასამართლომ გაიზიარა ეს უკანასკნელი მიდგომა 2009 წლის გადაწყვეტილებაში, რომლითაც დაადასტურა, რომ „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინა შეიძლება გამოყენებულ იქნას საარბიტრაჟო შეთანხმების არახელმომწერი მესამე პირზე გავრცელების მიზნით და ამავე დროს ამ დოქტრინის გამოყენებით საარბიტრაჟო შეთანხმება სავალდებულო იყოს როგორც კომპანიისთვის, ასევე მისი პარტნიორისთვის.⁸

შეჯამების სახით, უნდა აღინიშნოს, რომ „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინა არბიტრაჟში გამოიყენება, როგორც პროცედურული მექანიზმი, რომლის საფუძველზეც საარბიტრაჟო შეთანხმება სავალდებულო ხდება კომპანიის პარტნიორისათვის, რომელსაც უშუალოდ არ მოუწერია ხელი ხელშეკრულებაზე, თუმცა მთელი რიგი პირობებიდან გამომდინარე მასზე ვრცელდება საარბიტრაჟო შეთანხმება. დოქტრინის

⁷ N. Voser, 'Multi-Party Disputes and Joinder of Third Parties' in A. J. Van Den Berg (eds.), *Years of the New-York Convention: ICCA International Arbitration Conference, ICCA Congress Series 2009 Dublin No. 14*, (Kluwer Law International, 2009), 343-410, 378; ასევე იხ. D. Girsberger, N. Voser, *International Arbitration in Switzerland*, (Schulthess, Zurich, 2008) 80.

⁸ Unpublished Decision of 25 August 2009, 4A_160/2009, (Swiss Federal Tribunal), იხ. მითითებულ ვებ გვერდზე: http://www.tavernierschanz.com/uploads/publications/ILO-Arbitration_Agreements_and_Piercing_the_Corporate_Veil.pdf



გამოყენებით ხელშეკრულების არახელმომწერი მხარე ხდება საარბიტრაჟო პროცესის მხარე. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ დოქტრინა საკორპორაციო სამართლის კლასიკური დანიშნულებისგან განსხვავებით, არბიტრაჟის კონტექსტში სრულიად განსხვავებულ ფუნქციას იძენს.

ე.წ. „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ შინაარსი

„გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინის უნიფიცირებული ცნება არ არსებობს. მისი განსაზღვრება განსხვავდება სხვადასხვა კანონმდებლობების შესაბამისად და ეს ლოგიკურიცაა, გამომდინარე იქიდან, რომ დოქტრინა წარმოადგენს კორპორაციული სამართლის ნაწილს. ზოგადად, დოქტრინის დეფინიცია შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „გამჭოლი პასუხისმგებლობა“ გულისხმობს კომპანიის შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის იგნორირებას და მისი პარტნიორისთვის (იქნება ეს ფიზიკური პირი, კომპანია თუ სახელმწიფო) პასუხისმგებლობის დაკისრებას კომპანიის ვალდებულებისათვის.

პრაქტიკაში მიღებულია, რომ „გამჭოლი პასუხისმგებლობას“ შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაშინ, როდესაც ერთი მხარე იმდენად დომინირებს მეორე მხარის საქმიანობაში და იმდენად ბოროტად იყენებს ასეთ კონტროლს, რომ მიზანშეწონილია იგნორირებული იქნას ამ ორი კომპანიის დამოუკიდებელი სამართლებრივი ფორმები და ისინი განხილულ იყვნენ, როგორც ერთი ორგანიზაციული ფორმა.⁹

საერთო სამართლის ქვეყნებში „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინას ასევე მოიხსენიებენ, როგორც „ალტერ ეგო“ (განსაკუთრებით აშშ-ში). მიუხედავად იმისა რომ ეს ორი ტერმინი ურთიერთშემცვლელად იხმარება, ისინი იდენტური შინაარსის მატარებლები არ არიან. „ალტერ ეგო“ არის კომპანიისა და მისი პარტნიორის დამოკიდებულება, ეს არის შემთხვევა, როდესაც არ არსებობს კომპანიის, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაციული ფორმის გაგება და პარტნიორის მიერ კომპანიაზე ხორციელდება ტოტალური კონტროლი და სრული დომინირება.¹⁰ „ალტერ ეგოს“ სიტუაციის არსებობა აუცილებელია „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინის გამოსაყენებლად. ეს ერთგვარი წინაპირობაა გამჭოლი პასუხისმგებლობისა. „ალტერ ეგო“ არის გარემოება, როდესაც კომპანია გამოყენებულია მისი მფლობელის/პარტნიორის მიერ, როგორც ინსტრუმენტი გარკვეული მოქმედებების განხორციელებისა, რომლის დროსაც არ არსებობს კომპანიის დე ფაქტო დამოუკიდებლობა.

კორპორაციული სამართლის ფუძემდებლური პრინციპის მიხედვით, პარტნიორი არ არის პასუხისმგებელი მისი საკუთრებაში არსებული კომპანიის ვალდებულებებზე ანუ მათი პასუხისმგებლობა შეზღუდულია კომპანიის ქონებით, რაც წარმოადგენს მთავარ უპირატესობასა და სამართლებრივ სიკეთეს სამეწარმეო საქმიანობაში. ამიტომაცაა, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალები და სასამართლოები უკიდურესად

⁹ G. B. Born, *International Commercial Arbitration*, Vol. I, Kluwer Law International, 2009, 1154.

¹⁰ *American Fuel Corporation v Utah Energy Development Company Inc.*, 122 F.3d 130 (2d Cir., 1997).



არიდებენ თავს შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის რაიმე სახით დარღვევას,¹¹ თუმცა „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინის მიხედვით, პირისთვის შესაძლოა სავალდებულო გახდეს მის საკუთრებაში არსებული კომპანიის მიერ დადებული საარბიტრაჟო შეთანხმება, მიუხედავად ამ უკანასკნელის მცდელობისა მხოლოდ თავად იყოს ვალდებული, როდესაც მისი ქმედებით ადგილი აქვს შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის უარყოფას და ეს ყველაფერი ხორციელდება არაკეთილსინდისიერად, თაღლითურად, მოტყუებით ან ამ უფლების ბოროტად გამოყენებით.¹² შესაბამისად, მოქმედების არასამართლიანი და არაკეთილსინდისიერი ბუნება გადამწყვეტი პირობაა „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინის გამოყენებისთვის. ამიტომაცაა, რომ პირის მიერ კომპანიის ინსტრუმენტად და ზოგადად შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენება, რათა თავიდან იქნას აცილებული მასზე საარბიტრაჟო შეთანხმების სავალდებულო ძალა, ამართლებს „გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენებას“ და ამით შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის პრინციპის დარღვევას. ამ შემთხვევაში ხდება ორი სამართლებრივი სიკეთიდან უფრო უპირატესი ღირებულების დაცვა. აშშ-ს სააპელაციო სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ „დოქტრინა შეიძლება მოხმობილ იქნას მხოლოდ იქ, სადაც სამართლიანობა საჭიროებს მოქმედებას, მესამე პირების ინტერესების დასაცავად“.¹³ ასევე სამართლიანობის დაცვა იყო დოქტრინის გამოყენების მთავარი მიზეზი ერთ-ერთი საარბიტრაჟო ტრიბუნალისთვის, რომელიც მიუთითებს, რომ „გამჭოლი პასუხისმგებლობა“ ეფუძნებოდა კეთილსინდისიერების პრინციპსა და უფლებების ბოროტად გამოყენების მიუღებლობას, რაშიც იგულისხმება შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის არაკეთილსინდისიერად გამოყენების დაუშვებლობა“.¹⁴

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან შეიძლება ხაზი გაესვას „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინის სამ ელემენტს: (i) იგი ეფუძნება სამართლიანობასა და კეთილსინდისიერებას, (ii) არღვევს (იგნორირებას უკეთებს) კორპორაციული სამართლის პრინციპს - საზოგადოების პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმას; (iii) გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევებში სადაც ადგილი აქვს უფლებების ბოროტად გამოყენებას, მოტყუებას ან თაღლითობას.

აუცილებელია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ სხვადასხვა კანონმდებლობები, ასევე საარბიტრაჟო ტრიბუნალები და სასამართლოები განსხვავებულ მიდგომებს ითვალისწინებენ ზემოთ მითითებული ელემენტებთან მიმართებაში.

გერმანული სასამართლოები განსაკუთრებული სიფრთხილით გამოირჩევიან

¹¹ T. G. Nelson, 'Bridas v Turkmenistan' (2006) Vol. 24, Issue 3, ASA Bulletin, Kluwer Law International, 584-599, 585.

¹² C. A. Corrie, 'Challenges in International Arbitration for Non-signatories', in D. Campbell (eds.), Comparative Law Yearbook of International Business, (Vol. 29, Kluwer Law International, 2007), 56.

¹³ Walton W. McCarthy v Leo L. Azure, 22 F.3d 351 (1st Cir., 1994).

¹⁴ Interim Award of 9 September 1983, in A. J. Van Den Berg (eds.), Yearbook Commercial Arbitration Volume XII – 1987, (Vol. XII, Kluwer Law International, 1987), 63-81, 72.



„გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინის (*Durchgriff*) გამოყენებისას.¹⁵ ისევე როგორც გერმანიაში, ავსტრიაშიც დოქტრინა ეფუძნება უფლებების ბოროტად გამოყენების შეფასებას. ავსტრიის უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ იქნა, რომ „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინა მოქმედებს იმისთვის, რათა არავინ გამოიყენოს შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმა მესამე პირისათვის ზიანის მიყენების ან სამართლის ნორმისთვის თავის არიდების მიზნით.¹⁶

დოქტრინა ასევე ცნობილია ფრანგულ სამართალში, თუმცა მისი გამოყენება ძალიან იშვიათია, გამომდინარე იქიდან, რომ ფრანგული სასამართლო პრაქტიკა ძირითადად ეფუძნება ე.წ. „კომპანიათა ჯგუფის“¹⁷ დოქტრინას, რაც წმინდად ფრანგულ საარბიტრაჟო პრაქტიკაში აღმოცენდა.¹⁸

აშშ-ს სასამართლოები „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინის გამოყენებით შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის შეზღუდვისას, არახელმომწერ მესამე პირზე ავრცელებენ საარბიტრაჟო შეთანხმებას, რის აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევენ იმ მტკიცებულების არსებობას, რაც ადასტურებს, რომ კომპანიის მესაკუთრე ახორციელებს კომპანიის სრულ და ყოვლისმომცველ კონტროლსა და დომინირებას და რომ კორპორაციული ფორმა არასწორად არის გამოყენებული გარკვეული არამართლზომიერი მიზნების შესასრულებლად, რაშიც უპირველესყოვლისა იგულისხმება პარტნიორის თაღლითური ქმედებები.¹⁹

ინგლისის სამართლის მიხედვით, ასევე მოითხოვება შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის დაცვა, თუმცა ინგლისის სააპელაციო სასამართლო ერთ-ერთ საქმეზე განმარტავს, რომ დოქტრინა მოქმედებს იმ შემთხვევაში თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის კორპორაციული სტრუქტურა გამოყენებულ იქნა იმპერატიული ვალდებულებების ან მესამე პირების ლეგიტიმური და ვადამოსული მოთხოვნების აღსრულების თავიდან ასაცილებლად.²⁰

მსოფლიოში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობაც ითვალისწინებს „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინას. „მეწარმეთა

¹⁵ G. B. Born, *International Commercial Arbitration*, Vol. I, Kluwer Law International, 2009, 1156.

¹⁶ T. Schwarz, C. W. Konrad, *The Vienna Rules: A Commentary on International Arbitration in Austria*, (Kluwer Law International, 2009), 349.

¹⁷ ე.წ. „კომპანიათა ჯგუფის“ დოქტრინა ერთ-ერთი საშუალებაა არახელმომწერ მხარეზე საარბიტრაჟო შეთანხმების გავრცელებისა, რომელიც ჩამოყალიბდა და განვითარდა საარბიტრაჟო პრაქტიკიდან. დოქტრინას საფუძვლად დაედო საარბიტრაჟო საქმე (*Dow chemical v Insover Case*), სადაც არბიტრაჟმა განმარტა, რომ: „საარბიტრაჟო დათქმა დადებული ურთიერთდაკავშირებული კომპანიებიდან ერთ-ერთი კომპანიის მიერ სავალდებულო იქნება დანარჩენი კომპანიებისთვის ამავე ჯგუფიდან, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეიტანეს ხელშეკრულების შედგენაში, შესრულებასა და შეწყვეტაში“.

¹⁸ J-F. Poudret and S. Besson, *Comparative Law of International Arbitration*, (2nd edn., Sweet & Maxwell, London, 2007), Para. 257.

¹⁹ T. G. Nelson, 'Bridas v Turkmenistan' (2006) Vol. 24, Issue 3, *ASA Bulletin*, Kluwer Law International, 586.

²⁰ *Adams V Cape Industries p.l.c.* [1990] 2 W.L.R. 657, the *Cambridge Law Journal* (1990) 416.



შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, შეზღუდული პასუხისმგებლობის პარტნიორების კრედიტორის წინაშე პასუხს აგებენ პირადად, თუ ისინი ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს. როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სულ ცოტა ხნის წინ დაადგინა პრაქტიკა კერძოდ, ზემოთ მოყვანილი ზოგიერთი ქვეყნების სასამართლო პრაქტიკისგან განსხვავებით, „გამჭოლი პასუხისმგებლობის” დოქტრინა უფრო ფართოდ განმარტა და მიუთითა, რომ „ნორ-მა ფართოდ განიმარტება და თავის თავში მოიცავს არა მხოლოდ პასუხისმგებლობის შეზღუდვის კორპორაციული ფორმის ბოროტად გამოყენებას (მაგ., კორპორაციის, როგორც მხოლოდ პარტნიორის მიზნის მისაღწევი „ინსტრუმენტის” დანიშნულებით გამოყენება; კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა”; კორპორაციის, როგორც პარტნიორის „ალტერ ეგოს არსებობა), არამედ თავად შეზღუდული პასუხისმგებლობის, როგორც პასუხისმგებლობის ელემენტის, ბოროტად გამოყენებას, რაც გულისხმობს პარტნიორის მიერ პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრივილეგიის მარტოოდენ სხვისი ინტერესების საზიანოდ გამოყენებას და საკუთარი ეკონომიკური რისკებისა და დანაკარგის სხვაზე გადაკისრებას კრედიტორის განზრახ შეცდომაში შეყვანით.”²¹ ამდენად ნათელია, რომ ზემოთ წარმოდგენილი სხვადასხვა ქვეყნების სამართლის ნორმები და სასამართლო პრაქტიკა ძალიან მაღალი სტანდარტით აფასებს და იცავს საკორპორაციო სამართლის ფუნდამენტური პრინციპს - კომპანიის პასუხისმგებლობის შეზღუდვას და მის საფარველის გაჭოლვას ახდენს მხოლოდ განსაკუთრებულად უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, როდესაც საჭიროა უფრო მაღალი სამართლებრივი სიკეთის დაცვა, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა სასამართლო პრაქტიკაში დოქტრინის გამოყენების პირობები განსხვავდება, ზოგიერთ სასამართლო უფრო მეტ მოთხოვნებს აწესებს, ხოლო ზოგიერთი უფრო ნაკლებს.

„გამჭოლი პასუხისმგებლობის” დოქტრინა, როგორც არბიტრაჟის იურისდიქციის განმსაზღვრელი საკითხი

ა) მთავარი ასპექტები

იმის განსაზღვრა თუ ვინ არის საარბიტრაჟო შეთანხმების რეალური მხარე არბიტრაჟში, წარმოადგენს იურისდიქციის საკითხს, რომელიც როგორც წესი განიხილება დავის გადაწყვეტის პროცესის წინარე სტადიაზე. „გამჭოლი პასუხისმგებლობის” დოქტრინა არის არახელმომწერ მესამე პირზე საარბიტრაჟო შეთანხმების გავრცელების სამართლებრივი ინსტრუმენტი, რათა ეს უკანასკნელი ჩართულ იქნას დავაში, როგორც მხარე. შესაბამისად, წმინდა პროცესუალური თვალსაზრისით, „გამჭოლი პასუხისმგებლობის” დოქტრინა არბიტრაჟის კონტექსტში გამოიყენება იურისდიქციის განსაზღვრის მიზნით.

რამდენადაც „გამჭოლი პასუხისმგებლობის” დოქტრინა გამოიყენება იურისდიქციის დადგენისათვის, ასეთ დროს ყოველთვის საინტერესოა კითხვა, თუ ვის

²¹ უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილებები, საქმე #ას-1307-1245-2014.



უფლებამოსილებაში შედის მიიღოს საარბიტრაჟო შეთანხმების მესამე პირებზე გავრცელებისა და შესაბამისად, საარბიტრაჟო დავაში მესამე პირის მხარედ ჩართვის გადაწყვეტილება დოქტრინის საფუძველზე. ეჭვგარეშეა, რომ ე.წ. „კომპეტენცია კომპეტენციისთვის“²² პრინციპი ამლევს საარბიტრაჟო ტრიბუნალ უფლებამოსილებას განიხილოს თავისივე იურისდიქცია და მიიღოს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობისა და არსებობის შესახებ. ერთი შეხედვით, ფართოდ გავრცელებული პრინციპის შესაბამისად, საარბიტრაჟო ტრიბუნალს შეუძლია გადაწყვიტოს საარბიტრაჟო შეთანხმების მესამე პირზე გავრცელების საკითხი „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინის საფუძველზე. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ საკითხი დაკავშირებულია საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობასთან არახელმძღვრეო მესამე პირის მიმართებაში, კითხვა იმის შესახებ, შეუძლია თუ არა საარბიტრაჟო ტრიბუნალს გადაწყვიტოს საარბიტრაჟო შეთანხმების მესამე პირზე გავრცელება დოქტრინის გამოყენებით უფრო რთული და კომპლექსური ხდება. ამისდა მიუხედავად, უმეტეს შემთხვევაში საკითხი არბიტრაჟის სასარგებლოდ განიმარტება და საარბიტრაჟო ტრიბუნალებს ენიჭებათ უფლებამოსილება საკითხის გადასაწყვეტად.²³ ამ კუთხით, ყველაზე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ საარბიტრაჟო შეთანხმების გავრცელება მესამე პირზე „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინის გამოყენებით არის საარბიტრაჟო შეთანხმების ინტერპრეტაციის საკითხი, რათა დადგენილ იქნას საარბიტრაჟო შეთანხმების შესაბამისი მხარეები.

აშშ-ს სასამართლოებს გააჩნიათ განსხვავებული მიდგომა ამ საკითხისადმი. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საქმეზე (First Option of Chicago, Inc V Kaplan)²⁴, აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ თუ მხარეს ხელი არ მოუწერია საარბიტრაჟო შეთანხმებაზე, მაშინ სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს საკითხი გახდება თუ არა არახელმძღვრეო პირი საარბიტრაჟო შეთანხმების მხარე. სასამართლომ მიუთითა, რომ ეს არის მოსამართლისა და არა არბიტრის საბოლოო განსჯის საგანი, არის თუ არა პარტნიორისთვის ის საარბიტრაჟო შეთანხმება სავალდებულო, რომელიც ხელმოწერილია მის საკუთრებაში არსებული კომპანიის მიერ.²⁵

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინა არბიტრაჟთან მიმართებაში წარმოადგენს იურისდიქციის განსაზღვრასთან დაკავშირებულ საკითხს და ისევე როგორც იურისდიქციას მიკუთვნებული ყველა საკითხი, კომპეტენცია კომპეტენციისთვის პრინციპის შესაბამისად, განიხილება

საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ, გარდა რამდენიმე გამონაკლისისა, როგორიცაა აშშ, სადაც მხოლოდ სასამართლოს აქვს უპირატესი უფლება განიხილოს აღნიშნული

²² ე.წ. „კომპეტენცია კომპეტენციისთვის“ პრინციპი არის საერთაშორისო დონეზე აღიარებული დებულება, რომელიც გულისხმობს, არბიტრთა უფლებას გადაწყვიტონ/იმსჯელონ თავისი კომპეტენციის/განსჯადობის შესახებ.

²³ W.W. Park, 'Non-Signatories and International Contracts: An Arbitrator's Dilemma' in PCA (eds), Multiple Party Actions in International Arbitration, (Oxford University Press, New York, 2009), 33.

²⁴ First Option of Chicago, Inc V Kaplan, 514 U.S 943 (1995).

²⁵ W. W. Park, 'Determining an Arbitrator's Jurisdiction "Timing and Finality in American Law', (Fall 2007), Vol. 8 Nev. L. Rev. 158.



საკითხი.

ბ) კორპორაციული საფარველის გაჭოლვა: (i) „ვალდებულებებისთვის“ და (ii) „იურისდიქციის დასადგენად“

„გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინის თავისებურებებისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ იგი წარმოადგენს საკორპორაციო სამართლის თეორიას, არბიტრაჟის კონტექსტში აუცილებელია მკაფიო ხაზი გაველოს „პასუხისმგებლობის გაჭოლვას“ ვალდებულებებისათვის და „პასუხისმგებლობის გაჭოლვას“ იურისდიქციის დადგენისთვის. ერთი მხრივ, „გამჭოლი პასუხისმგებლობა“ გამოიყენება დავის მატერიალური საკითხის გადასაწყვეტად, კერძოდ მის საფუძველზე ხდება ვალდებულების დაკისრება სადაო მოთხოვნაზე. მეორე მხრივ, „კორპორაციული საფარველის გაჭოლვა“ ხდება არბიტრაჟის იურისდიქციის დასადგენად, რომლის გამოყენებით, არახელმომწერი მესამე პირისთვის საარბიტრაჟო შეთანხმება ხდება სავალდებულო. აქედან გამომდინარე, ვალდებულებისათვის „პასუხისმგებლობის გაჭოლვას“ და იურისდიქციის დასადგენისათვის „პასუხისმგებლობის გაჭოლვას“ შორის განსხვავების დადგენა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, თუ მოხდა კომპანიის კორპორაციული საფარველი გაჭოლვა „ვალდებულებებისთვის“ ეს ავტომატურად არ ნიშნავს, რომ კომპანიის პარტნიორზე აუცილებლად გავრცელდება ის საარბიტრაჟო შეთანხმება, რომელიც მოცემულია კომპანიის მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებაში.²⁶

ვალდებულებისათვის „პასუხისმგებლობის გაჭოლვას“ შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს, როდესაც პარტნიორი სცნეს ვალდებულად მის საკუთრებაში არსებული კომპანიის მიერ ჩადენილ მოქმედებებისთვის, იმ სამართლებრივი საფუძველებზე დაყრდნობით, რომელიც სცდება იმ ხელშეკრულების ფარგლებს, რომელშიც მოცემულია საარბიტრაჟო შეთანხმება (მაგ., კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა, არაკეთილსინდისიერება). ასეთ შემთხვევებში პარტნიორისთვის არ იქნება სავალდებულო საარბიტრაჟო შეთანხმება, თუმცა გადაწყვეტილება შეიძლება შეეხოს პასუხისმგებლობის ნაწილში.²⁷

1996 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებაში შვეიცარიის ფედერალურმა სასამართლომ ნათლად განსაზღვრა, რომ პარტნიორის პასუხისმგებლობა არ გულისხმობს, რომ მისთვის სავალდებულოა საარბიტრაჟო შეთანხმება. სასამართლომ განასხვავა შემთხვევები, სადაც კომპანიის შეზღუდული პასუხისმგებლობა იქნა გაუქმებული და პარტნიორისთვის სავალდებულო გახდა საარბიტრაჟო შემთხვევა და სიტუაცია,

როდესაც პარტნიორი მისი კომპანიასთან ერთად პასუხისმგებელი გახდა მატერიალურ ვალდებულებებზე. ზოგჯერ, შესაძლებელია, რომ მიუხედავად იმ

²⁶ W.W. Park, 'Non-Signatories and International Contracts: An Arbitrator's Dilemma' in PCA (eds), Multiple Party Actions in International Arbitration, (Oxford University Press, New York, 2009), 19, para. 1.60.

²⁷ N. Voser, 'Multi-Party Disputes and Joinder of Third Parties' in A. J. Van Den Berg (eds.), Years of the New-York Convention: ICCA International Arbitration Conference, ICCA Congress Series 2009 Dublin No. 14, (Kluwer Law International, 2009), 378-379.



ფაქტისა, რომ პარტნიორი არ არის საარბიტრაჟო შეთანხმების მხარე და ამავე დროს არც საარბიტრაჟო პროცესის მონაწილე, შეიძლება დადგეს შედეგი და პარტნიორი პასუხისმგებელი გახდეს გარკვეული თანხის გადახდაზე დამოუკიდებლად ან მის კომპანიასთან ერთად, თუ მისი კომპანია, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების ხელმომწერია, ვერ ახერხებს ასეთი თანხების გადახდას. აღნიშნული შემთხვევა შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც ვალდებულებისათვის „პასუხისმგებლობის გაჭოლვის“ ტიპური მაგალითი. შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ დოქტრინის გამოყენების ფარგლები და ის ფაქტი, რომ პარტნიორი პასუხისმგებელი იქნება მისი კომპანიის მოქმედებებზე დამოუკიდებლად თუ კომპანიასთან ერთად, მიუხედავად იმის წარმოდგენს თუ არა იგი საარბიტრაჟო პროცესის მხარეს, უპირატესად დამოკიდებულია მარეგულირებელ სამართალზე და სასამართლო პრაქტიკაზე.

დასკვნა

წინამდებარე სტატიით ზოგადად წარმოდგენილი იქნა „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინის არბიტრაჟში გამოყენებისას წამოჭრილი საკითხები და დამახასიათებელი თავისებურებები. ნათლად წარმოჩინდა, რომ საარბიტრაჟო პროცესში დოქტრინის მოქმედების მიზანი და ფუნქცია სახეცვლილია იმასთან შედარებით, რაც მას გააჩნია, სასამართლოს მიერ მისი გამოყენების შემთხვევაში, როდესაც იგი მოხმობილია კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების პარტნიორისთვის დაკისრებისთვის. თუმცა ამასთან აღსანიშნავია, რომ დოქტრინასთან დაკავშირებულ რიგ საკითხებს იგივე აქტუალობა გააჩნია არბიტრაჟში, როგორც სასამართლოში, მაგალითად, დოქტრინის გამოყენების აუცილებელი პირობების შეფასებასა და განმარტებას.

მიუხედავად იმისა, რომ „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინის უმთავრეს მიზანს არბიტრაჟში, არახელმომწერი მესამე პირის საარბიტრაჟო შეთანხმების მხარედ გახდომის შედეგად საარბიტრაჟო პროცესში ამ უკანასკნელის ჩართვა წარმოადგენს, თავად, დოქტრინის გამოყენების პირობების სტანდარტი იდენტურია იმისა როდესაც იგი გამოიყენება, ზოგადად პასუხისმგებლობის პარტნიორზე დაკისრების დროს. განსხვავება მხოლოდ დოქტრინის გამოყენების მიზნობრიობაშია. თუ ერთ შემთხვევაში დოქტრინა გამოიყენება დავის არსებით ნაწილში, სადაო ვალდებულების პარტნიორისთვის დაკისრებისთვის, არბიტრაჟში იგი საჭიროა საწყის ეტაპზე, პარტნიორის საარბიტრაჟო პროცესის მხარედ ჩართვისთვის, რაც შემდეგ ავტომატურად იწვევს, მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას თუკი დავის განხილვის შედეგად პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლები არსებობა დადგინდება.

ამდენად არბიტრაჟში დოქტრინის გამოყენებასა და მის პირობებზე მსჯელობა ხორციელდება დავის დასაწყის სტადიაზე, არბიტრაჟის იურისდიქციის განსაზღვრის ეტაპზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინას არბიტრაჟთან მიმართებაში პროცესუალური დატვირთვა გააჩნია.



სიფა წარმოადგენს კოალიცია "დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართმსაჯულებისთვის" წევრ ორგანიზაციას. კოალიცია შედგება 34 არასამთავრობო ორგანიზაციისგან. კოალიციის მიზანია მიმდინარე სასამართლოს რეფორმების მონიტორინგისა და დამოუკიდებელი და გამჭვირვალე სასამართლოსთვის ადვოკატირების პროცესში პროფესიული იურიდიული ასოციაციების, იურიდიული უფლებების სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ბიზნეს და პროფესიული ასოციაციების ძალისხმევის გაერთიანება.

სიფა ასევე არის საქართველოს სავაჭრო პალატის საბჭოს წევრი. საქართველოს სავაჭრო პალატა წარმოადგენს წევრობაზე დაფუძნებულ საჯარო სამართლის კორპორაციას, რომელიც აერთიანებს რეგიონულ სავაჭრო-სამრეწველო პალატებს და მეწარმე სუბიექტებს. მისი მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას მეწარმე სუბიექტების საქმიანობის მხარდაჭერით.

2015 წლის 15 სექტემბერს სიფა გახდა დამფუძნებელი წევრი ეკონომიკური პოლიტიკის ადვოკატირების კოალიციის (EPAC). კოალიცია შეიქმნა USAID-ის პროექტის „მმართველობა განვითარებისთვის“ (G4G) მხარდაჭერით და მისი მიზანია ხელი შეუწყოს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას კერძო და საჯარო სექტორებს შორის დიალოგის საშუალებით.

2015 წლის 15 ოქტომბერს სიფა გახდა საქართველოს „პრო ბონო ქსელის“ დამფუძნებელი წევრი. საქართველოს „პრო ბონო ქსელი“ წარმოადგენს საქართველოში მოქმედი ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიების არაფორმალურ გაერთიანებას, რომელთაც სურთ საკუთარი ექსპერტიზისა და პროფესიული რესურსების ჩართვა საზოგადოებრივი მიზნების განხორციელებაში. „პრო ბონო ქსელის“ საქმიანობის საექსპერტო და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას ახორციელებს „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“ (CSRDG).



საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის ფარგლებში შეიქმნა ადვოკატთა კლუბი, რომელიც წარმოადგენს წევრი იურიდიული კომპანიების ადვოკატების გაერთიანებას და მიზნად ისახავს კლუბის წევრი ადვოკატების, თვეში ერთხელ, არაფორმალურ გარემოში შეკრებას. დატვირთული სამუშაო გრაფიკისგან განტვირთვისა და ადვოკატებს შორის ურთიერთობების განმტკიცების მიზნით, სიფა ორგანიზებას უწევს ადვოკატთა კლუბის შეხვედრებს. კლუბის წევრები აქტიურად ერთვებიან სხვადასხვა სახის შეჯიბრში. ფორმატი ითვალისწინებს, როგორც გასართობ ასევე ინტელექტუალურ თამაშებს.





ASSOCIATION OF LAW FIRMS OF GEORGIA



საერთაშორისო იურიდიული ფირმების ასოციაცია



ASSOCIATION OF LAW FIRMS OF GEORGIA



საერთაშორისო იურიდიული ფირმების ასოციაცია



ASSOCIATION OF LAW FIRMS OF GEORGIA

მის: მარჯანიშვილის ქ. №5
0102, თბილისი, საქართველო
ტელ.: (+995 32) 2 20 60 80
ელ-ფოსტა: office@alfg.ge